ლელო

№044 (12 420) 23 თებერვალი შაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთისთვის უკვე გაზაფხულია



23 თებერვალი. პორტუგალია-საქართველო

# პორტუგალიას თავხედობა არ უნდა შევარჩინოთ!

დღეს, თბილისის დროით 19 საათზე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ლისაბონის "ესტადიო უნივერსიტარიოზე" პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ჩვენს მორაგბეებს გუშინ მატჩისწინა ვარჯიში ამავე სტადიონზე უნდა გაემართათ. თუმცა, როგორც ნაკრების მენეჯერმა **ვასილ აბაშიძემ** გვითხრა, მშვენიერი, მზიანი ამინდის მიუხედავად, "ბორჯღალოსნები" მინდორზე არ შეუშვეს და სანაცვლოდ, იქვე, სათადარიგო მოედანი დაუთმეს. "ესტადიო უნივერსიტარიოზე" კი მხოლოდ დამრტყმელებმა ივარჯიშეს.

პორტუგალიელთა თავხედობა და უყურადღებობა ისედაც საბრძოლველად განწყობილ ქართველებს კიდევ უფრო უმძაფრებს მეტოქის გვემის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია, გუნდი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

პორტუგალიელთა მწვრთნელ **ტომაშ მორაეშის** წუწუნს კი ბოლო არ უჩანს. ერთ-ერთი იქაური ვებგვერდის ცნობით, "ლაბუშებს" ხუთი წამყვანი მოთამაშე დააკლდებათ. მათ კლუბები არ უშვებენ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ. აი, ეს მორაგბეებიც: **ვასკო უვა, გონსალო უვა** (მონპელიე), **დევიდ პენალვე, კრისტიან სპაშუკი** (ბლანიაკი) და **ჟოზე პინტუ** (ბენეტონი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს ნაკრები**

15. ოთარ ბარკალაია, 14. გიორგი შკინინი, 13. რეზო გიგაური, 12. დავით კაჭარავა, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე.

1. გოდერძი შველიძე, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კახაბერ უჩავა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. რატი ურუშაძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. დავით დადუნაშვილი, 17. ანტონ ფეიქრიშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. სიმონ მაისურაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ალექსანდრე თოდუა, 22. ირაკლი ყიასაშვილი.

## დღეს საქართველოს ჩემპიონატი არასრული ტურით განახლდება

მთავარი მატჩები:

**დღეს, ეროვნულზე** დინამო-ოლიმპი

**ხვალ, მცხეთაში** ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

მეორე წრის წინ 2-4



8

# მარკო ვან ბასტენი აიაქსში ბრუნდება

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მშობლიურ კლუბში

# მუჯირმა ათიანში მოარტყა

5 ინტერვიუ



მსოფლიო თასი 2011

# ზელანდიამდე გზა გამარტივდა

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) მსოფლიოს 2011 წლის თასის გათამაშების განთესვისა და კვალიფიკაციის სისტემა შეიმუშავა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სიახლე ისაა, რომ ერთა თასზე პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა მსოფლიოს თასზე ასპარეზობის გარანტია. ანუ, სისტემა გამარტივდა და ერთა თასსაც ფასი აეწია.

Rugby World Cup Ltd ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ მსოფლიო თასის პულებში განთესვა IRB-ს რეიტინგის მიხედვით მოხდება, ოღონდ, ეს მხოლოდ იმ 12 ნაკრებს შეეხება, რომლებიც ავტომატურად მოხვდნენ ახალ ზელანდიაში. პულებში განთესვა 2008 წლის 1 დეკემბრის რეიტინგის მონაცემით მოხდება.

"დღეისათვის, IRB-ის რეიტინგი იმდენად კარგადაა ჩამოყალიბებული, რომ მისით ხელმძღვანელობა სპორტული პრინციპისთვისაც შეიძლება. საფრანგეთის მსოფლიო თასზე გამოვლენილი 12 საუკეთესო გუნდი, რეიტინგის მიხედვით, ზელანდიაში ოთხ პულში განითესება", - განაცხადა RWCL-ის შეფმა **სიდ მილარმა**. ეს 12 ქვეყანაა: **სამხრეთი აფრიკა, ინგლისი, არგენტინა, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფიჯი, შოტლანდია, იტალია, ტონგა, უელსი და ირლანდია.**

მსოფლიო თასის ალაფის იდეა, რომელიც აქტუალური იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი მონაწილე ნაკრებთა რიცხვს 16-მდე შეამცირებდნენ და 2010 წელს ჩაატარებდნენ, დავიწყებას მიეცა. საკვალიფიკაციო სისტემა კი ევროპული ნაკრებებისთვის გაიოლდა. ერთა თასის 2009/10 წლის სეზონი გადამწყვეტი იქნება მსოფლიო თასის კვალიფიკაციისთვის. პირველ-მეორე ადგილზე გასული ნაკრებები პირდაპირ ახალი ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე მოხვდებიან. საგზურის მოპოვების შანსი ექნება მესამე ადგილზე გასულ ნაკრებსაც, რომელიც პლეი ოფში ამერიკის ზონის მესამე გუნდს შეხვდება.

მსოფლიო თასზე გუნდები კალათებში ასე განაწილდებიან: პირველი კალათი (რეიტინგში პირველ ოთხ ადგილზე მყოფი ნაკრებები 12 გუნდიდან), მეორე კალათი (მეხუთე-მერვე), მესამე კალათი (მეცხრე-მეთორმეტე), მეოთხე კალათი (ოკეანეთი I, ევროპა I, ევროპა II, ამერიკა I), მეხუთე კალათი (აფრიკა I, აზია I, ამერიკა II, და პლეი ოფი ევროპა I-ამერიკა III-ს შორის).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# სხვადასხვა მიზანი და ამბიცია

## მარადიული პრობლემები

დღეს, საქართველოს XIX ჩემპიონატის მეორე წრე იწყება; იწყება ორთვენახევრიანი შესვენების შემდეგ და გარკვეული სიახლეებით. სიახლეა, აბა, რა არის, როცა ამიერიდან სატურნირო ცხრილში თითქმის ყველა ადგილს შესაბამისი ფინანსური მოტივაცია ექნება. ანუ, რაც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს გუნდი, მით მეტ ფინანსურ სარგებელს ნახავს. თანაც, ეს წესი არა მხოლოდ პრიზიორებზე ვრცელდება, არამედ სხვა ადგილებზეც. ერთის მხრივ, იქნებ, ამ ფინანსურმა დაინტერესებამ მაინც "შეძლოს" სეზონის ბოლოსკენ უცნაური მატჩების შემცირება...

... სიახლეებზე ვსაუბრობთ და "კოლხიდაც" არ დავივიწყოთ: უკვე დღეიდან ეს კომპანია ქართულ ტელესივრცეში შემოვა და ყველა ტურში ერთ მატჩს პირდაპირი ეთერით შემოგვთავაზებს. ამას გარდა, როგორც ცნობილია, ყოველი ტურის დასრულების მერე ტელემაყურებელი იხილავს სპეციალურ გადაცემას, სადაც ყველა შეხვედრის მიმოხილვა იქნება. ვერაფერს ვიტყვით - საქარველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ბევრ კარგ საქმეს აკეთებს (უპირველეს ყოვლისა, სპონსორების მოზიდვას ვგულისხმობთ); მაგრამ, იმ ყბადაღებულ თემას, ჩვენი მოედნების მდგომარეობა რომ ჰქვია, ვინ და როგორ გადაჭრის? აი, უკვე მეცხრამეტე ჩემპიონატს ვატარებთ და საფეხბურთო მინდვრების მდგომარეობა უარესი და უარესი ხდება. აი, ხუთიოდე დღის წინ "ოლიმპისა" და "ზესტაფონის" სათასო მატჩი ისეთ მოედანზე ჩატარდა, საფეხბურთოსგან ძალიან შორს რომ იყო. ახლა, ცალკე სტიქიამაც რომ შემოგვიტია?! ჰო, ბევრ მოედანზე ჯერაც თოვლი დევს, მერე, როდის გადნება და ასე შემდეგ..

... თუ არ ვცდებით, ოთხიოდე ნლის ნინათ იყო, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილთან ინტერვიუში ჩემპიონატის ჩატარების ვადების შეცვლაზე რომ ვისაუბრეთ. ამ სტრიქონების ავტორი მაშინაც და ახლაც დარწმუნებულია, რომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა "გაზაფხული-შემოდგომის" სისტემაზე გადავსულიყავით. მით უმეტეს, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირების ტენდენცია მიდის (ასეც უნდა იყოს - ჩვენი ჩემპიონატისთვის 10-12 გუნდზე მეტი საჭირო არ არის). მოკლედ, დავიწყებთ ჩემპიონატს მარტის შუა რიცხვებში და დავასრულებთ ნოემბრის ბოლოსკენ. სხვათა შორის, სკანდინავიის ქვეყნებისა და რუსეთის გარდა, ასეთივე პრინციპით ტარდება ჩემპიონატი ირლანდიაშიც. თუმცა, ეს თემა სამომავლო საქმეა და ვიმედოვნებთ, ჩვენი ფეხბურთის მესვეურები ამ საკითხზე დაფიქრდებიან და გადაწყვეტილებას ისე მიიღებენ.

... მეორე წრე არაერთ ინტრიგას გვპირდება; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, "დინამოსა" და "ზესტაფონის" დასწრებულ-დაუსწრებელი "დუელი" ერთ რამედ ღირს. ამბიციური "ვიტ-ჯორჯიაც" არ დავივიწყოთ - ამ სეზონში მედლების რეალური კანდიდატები რომ არიან. ცხრილის საპირისპირო მხარეს გაზაფხულზე ნამეტანი "ჩამოცხება": როგორი საქმეა, როცა ორი გუნდი ავტომატურად პირველ ლიგაში მიდის, კიდევ ორს კი პლეი ოფი უწევს.

დაბოლოს, კიდევ ერთ უკვე დამკვიდრებულ არასასიამოვნო ტენდენციაზეც. პირველი წრის მერე ქართველი ფეხბურთელების მასიური გადინება მოხდა აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთსა და რუსეთის პირველ ლიგაში. და რაც მთავარია, ეროვნულ ჩემპიონატში აღარ ითამაშებს ლევან ყენია - ქართველი ტალანტით გერმანელი ქომაგები დატკბებიან!..

## დინამო


მიხეილ ხუციშვილი

სეზონის დაწყებამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი იქნებოდა. პირველმა წრემ ეს ნათლად დაადასტურა: "დინამომ" ერთის გარდა ყველა მატჩი მოიგო და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა "შემოდგომის ჩემპიონის" არაოფიციალური წოდება. **დუშან უპრინის** გუნდი მეორე წრისთვისაც ერთობ ნაყოფიერად მოემზადა (უცხოურ შეკრებებს ვგულისხმობთ) და, ალბათ, ყველანი (კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, ფეხბურთელები) ერთად შეეცდებიან ორწლიანი ნავსის გატეხვას. ჰო, არ დავივიწყოთ - ზედიზედ ორი სეზონი "დინამო" უტიტულოდ რჩებოდა! გუნდში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა: ვინც წავიდა (**სანდრო კობახიძე, გიორგი ფეიქრიშვილი, სოსო გრიშიკაშვილი**), ძირითადის ფეხბურთელებად არ მოიაზრებოდნენ; სამაგიეროდ, "ბორჯომიდან" დაბრუნდა ორი ნიჭიერი ნახევარმცველი - **გიორგი ნერგაძე** და **შოთა გრიგალაშვილი**, რითაც "დინამოს" შუახაზი ერთობ გაძლიერდა და კონკურენციაც "არანორმალური" იქნება. სხვა მხრივ კი, "დინამოს" საჩემპიონო და სათასო ამბიციები ბევრად იქნება დამოკიდებული გუნდის ლიდერების თამაშზე. ასეთებად კი პირველ წრეში **მიხეილ ხუციშვილი, გიორგი მერებაშვილი, დიდიე ოვონო** და **მილოშ კრშკო** მივიჩნიეთ.

## ვიტ ჯორჯია


ნესტორ მუმლაძე

პირველი წრის ყველაზე სასიამოვნო მოულოდნელობა "ვეტერინართა" ჩინებული ასპარეზობა იყო. თემურ მახარაძის მსგავსად, **ნესტორ მუმლაძეც** სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად. სწორედ "ვიტ-ჯორჯია" იყო ის ერთადერთი გუნდი, "დინამოს" ძლევამოსილი სვლა რომ შეაჩერა და მისსავე მოედანზე მოუგო. არც ის ფაქტი იყო შემთხვევითი, **კლაუს ტოემიოლერმა** ამ გუნდიდან სამ ფეხბურთელს რომ მისცა ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი - **ლექსო კვახაძეს, დავით ლომაიასა** და **ნიკა გელაშვილს**. თანაც, როგორც უკვე ტრადიციად იქცა, "ვიტ ჯორჯია" ორმა ლიდერმა დატოვა - **გელაშვილმა** და **პაატა დათუნაიშვილმა**; მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ მუმლაძის გუნდი ასეთი სერიოზული დანაკლისის მიუხედავად ევროტურნირების საგზურისათვის იბრძოლებს. ახალწვეული კი გუნდში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელია - "ბორჯომიდან" უნივერსალი **ამირან ყველაშვილი** გადმოვიდა, "ამერიდან" კი ფორვარდი **ბაჩანა ცხადაძე**.

## ბორჯომი

ჩემპიონატის დაწყების წინ ვივარაუდეთ, რომ თუ ვინმე იქნებოდა გუნდი-სურპრიზი, "ბორჯომი" უნდა ყოფილიყო. ასეც მოხდა - გამოცდილმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** ზედ სეზონის წინ სოლიდური შევსება მიიღო ერთი-მეორეზე უკეთესი და გამოცდილი ფეხბურთელების სახით. შედეგმაც არ დააყოვნა და "ბორჯომი" დამსახურებულად მოხვდა ლიდერთა გარემოცვაში და თასზეც წარმატებით ითამაშა. მაგრამ, კლუბის ხელმძღვანელობას, ალბათ, ზაფხულშივე უნდა ეფიქრათ, იმ სიტუაციაზე, როცა გუნდში მისულ ფეხბურთელებს ექვსთვიანი იჯარა დაუმთავრდებოდათ. ახლა კი, რა ხდება? რა ხდება და გუნდიდან 12 (!) ფეხბურთელი წავიდა და როგორც ყოველთვის, ხაჩიძეს ისევ ახალი გუნდის შექმნა მოუწევს. ეგ კი არა, გორის "დილასთან" სათასო მატჩის მერე ვლადიმერ ხაჩიძემ ჩვეული პირდაპირობით განაცხადა: ჩემი გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობა ახლა გავიცანიო...

მოკლედ, რომ არა პირველ წრეში დაგროვილი ქულები, "ბორჯომს" უმაღლესი ლიგიდან გავარდნაც დაემუქრებოდა. ეგ კი არა, რომ არა ამ გუნდის ბოლო წლების სტრატეგიული პარტნიორის კეთილი ნება, მეორე წრეში "ბორჯომს" სამატჩოდ 11 ფეხბურთელიც ვერ შეეგროვებინა. მაგრამ, ახლა, ალბათ, ხაჩიძე მოკლე ხანში შეძლებდა ახალწვეულების (ანუ, მთელი გუნდის) გაცნობას და თბილისის "დინამოდან" განათხოვრებულ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც თავის წარმოჩენის ჩინებული შანსი ეძლევათ. ერთ ფეხბურთელზე კი ცალკე შევჩერდებით - კარგია, რომ 34 წლის სოსო გრიშიკაშვილი კარიერის დასრულებას არ აპირებს და თავისი შესაძლებლობების დამტკიცებას "ბორჯომში" შეეცდება.

## ზესტაფონი


თემურ მახარაძე

"დინამოს" უპირველესი კონკურენტი, რაღა თქმა უნდა, "ზესტაფონი" იქნება. თანაც, იმერული კლუბი, "დინამოს" მსგავსად, "დუბლისკენ" მიისწრაფვის და უტიტულოდ დარჩენა, ალბათ, წარუმატებლობად ჩაითვლება. "ზესტაფონს" ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ გუნდმა მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს: ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი, გამოცდილი და პერსპექტიული ფეხბურთელების ჩინებული სინთეზი, პლუს უაღრესად გამოცდილი მწვრთნელი. ჰო, **თემურ მახარაძეზე** მოგახსენებთ - თავის კოლეგებში, უდავოდ, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სპეციალისტზე. ისე, "ზესტაფონს", ხარისხობრივად, ალბათ, ყველაზე სერიოზული დანაკლისი აქვთ: ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით გუნდი დატოვა კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა**, რომელიც თავის პოზიციაზე (დაცვის მარცხენა ფლანგზე) პირველ წრეში საუკეთესო იყო; ამას გარდა იჯარა დაუმთავრდა **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს** - პირველი წრის ასევე გამორჩეულ ფეხბურთელს. ბუნდოვანია კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის - **გოგა ფიფიას** მომავალიც. ამასთან, შეკრებაზე უმძიმესი ტრავმა მიიღო გუნდის ახალწვეულმა **ნიკა გელაშვილმა** და თემურ მახარაძის გუნდის შედარებით სუსტი რგოლიც თავდასხმა რჩება.

## ოლიმპი

მოქმედი ჩემპიონისთვის პირველის გარდა, ნებისმიერი სხვა ადგილი წარუმატებლად ფასდება. "ოლიმპმა" კი პირველი წრე ერთობ არასტაბილურად იასპარეზა და თამაშის ხარისხითაც ვერ დაიკვეხნიდა (გამონაკლისი მხოლოდ "ამერთან" მესამე ტურის მატჩი იყო). მოქმედი ჩემპიონის წარუმატებელ ასპარეზობას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი, ალბათ, არასწორი საკადრო პოლიტიკაც იყო. კლუბის ხელმძღვანელობამ, ალბათ, იჩქარა, როცა ყაზახურ "ასტანასთან" და "დინამოსთან" წაგებების გამო მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** თანამდებობიდან გადააყენა. რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, უკრაინელმა სპეციალისტმა **ანატოლი პისკოვეცმა** შესაბამისი შედეგი ვერ აჩვენა. ვერც ლეგიონერებმა გაამართლეს, ბევრი წამყვანი ფეხბურთელიც (ეს უფრო ახალგაზრდებს ეხებათ) საქმეს არასერიოზულად უდგებოდა და სუპერთასზე "ამერთან" განადგურების მერე ცხადი იყო, რომ "ოლიმპში" რაღაც უნდა შეცვლილიყო. ჰოდა, "რაღაც" კი არა, ლამის საკადრო "რევოლუცია" მოხდა - პისკოვეცმა თითქმის ნახევარი გუნდი დაითხოვა, მაგრამ ახალწვეულებიდან ვინ გაუმართლებს, ჯერჯერობით, უცნობია. ძნელი წარმოსადგენია, რომ "ოლიმპი" საჩემპიონო დავაში ჩაერიოს და გუნდისათვის მთავარი ამოცანა მესამე ადგილისთვის ბრძოლა იქნება. თანაც, თასზეც ვერ იყოჩაღეს რუსთაველებმა - პირველ მეოთხედფინალურ მატჩში საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ "ზესტაფონთან". ისე, ყველაზე სერიოზული დანაკლისი, ალბათ, **რეზო ჯიქია** არის - პირველ წრეში "ოლიმპის", უდავოდ საუკეთესო ფხებურთელი და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი.

## ამერი


დავით ბოლქვაძე

"ოლიმპის" მსგავსად პირველი წრის მთავარი იმედგაცრუება "ამერის" ასპარეზობა უნდა მივიჩნიოთ. პროგნოზი რთული საქმე რომ არის, ვიცით, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, თუ ასე მწარედ შევცდებოდით. ჰო, სეზონის წინ ხმამაღლა ვამტკიცებდით: ჩემპიონობის რეალური კანდიდატი "ამერი" იქნებაო. ახლა კი რა ხდება? რა ხდება და მეორე წრის დასაწყისს ეს ამბიციური გუნდი მეექვსე ადგილზე ხვდება. თანაც, შესუსტებული შემადგენლობით - **დავით ბოლქვაძე** და **გიზო ჯელაძე** ნახევარდაცვის ლიდერები იყვნენ და **გიორგი ჩიხრაძეს** მათი სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა მოუწევს. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მთელ რიგ თამაშებში "ამერის" ფეხბურთელების თვალებში ცეცხლი არ იგრძნობოდა; თანაც, "ამერმა" ყველა პრინციპული მატჩი წააგო! რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფორვარდებისა (**წინამძღვრიშვილი, ჩიმაკაძე**) და გამოცდილი თავდამსხმელის **სულიკო დავითაშვილის** ტრავმებმაც დიდი როლი ითამაშა გუნდის ასპარეზობაზე; ცოტა არ იყოს, "ჩაიკარგნენ" ლიდერებიც - **გრიგოლ დოლიძე** და **დიმიტრი ტატანაშვილი**. თუმცა, გასული წელი "ამერმა" მაინც რიხით დაასრულა, როცა ლამაზ სტილში მოიგო სუპერთასი. "ბორჯომიდან" გადმოსულ მარჯვენაფლანგელ **გიორგი მემარნიშვილს** თუ არ ჩავთვლით, "ამერს" ახალი არავინ დაუმატებია. ძირითადი აქცენტი კი გუნდს, რა თქმა უნდა, თასზე ექნება - "ამერი", ფაქტობრივად, ნახევარფინალშია გასული. მერე, ხომ შეიძლება, კენჭისყრისას გაუმართლდეთ და "დილა"-"ბორჯომის" წყვილში გამარჯვებულს შეხვდნენ. ჰოდა, ეგეც თქვენი ზედიზედ მესამე ფინალი და, ვინ იცის, ზედიზედ მესამე თასიც...

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. მეორე წრის წინ

### მესხეთი

"ამერზე" შევცდით და ვაღიარეთ კიდეც; აი, "მესხეთის" შანსებზე სეზონის წინაც არცთუ პესიმისტურად ვსაუბრობდით და "გამოვიცანით" კიდეც. პირდაპირ უნდა ვთქვათ: უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ღირსეულად ითამაშა და ქულათა სოლიდური მარაგიც დამსახურებულად მოაგროვა. თანაც, ახალციხელთა გუნდი უმაღლეს ლიგაში ყველაზე "ხანდაზმული" გახლდათ და გამოცდილმა ფეხბურთელებმა დიდი სამსახური გაუწიეს **კობა თედიაშვილის** გუნდს. მეორე წრეში "მესხეთისგან" სასწაულს არავინ ელის და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც არ უნდა გაუჭირდეთ. სხვა საქმეა, რამდენად შეძლებენ ახალწვეულები გუნდიდან წასულ ფეხბურთელთა შეცვლას. არადა, ვინც წავიდა (**ალექსანდრე კაიდარაშვილი, გიორგი თურმანიძე, ზვიად ჩხეტიანი, გიგა ჟვანია**), პირველ წრეში "მესხეთის" წამყვან ფეხბურთელად ითვლებოდა.

### მგლები

"მესხეთის" მსგავსად, თავი არც მეორე დებიუტანტს შეურცხვენია - ზუგდიდის "მგლებმა" პირველ წრეში ღირსეულად იასპარეზა. თუმცა, ძნელი სათქმელია, რა იქნება მეორე წრეში, რამეთუ გუნდის მთავარ მწვრთნელ **ბესო შეროზიას** ერთობ სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. ყოველ შემთხვევაში, გუნდიდან წასული სამი წამყვანი ფეხბურთელის (**ჭედია, ხუბუა, ფარულავა**) სრულფასოვანი შემცვლელი ჯერ არავინ გამოჩენილა. მოკლედ, "მგლებს" დიდი ძალისხმევა დასჭირდება, უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნოს. მით უმეტეს, რომ უშუალო კონკურენტები საგრძნობლად გაძლიერდნენ

### სიონი



კახა ჩხეტიანი

"ოლიმპისა" და "ბორჯომის" მსგავსად ყველაზე მეტი ცვლილება ბოლნისურ კლუბში მოხდა. სამწუხაროდ, გარკვეულ სიტუაციათა გამო საქართველოს ექსჩემპიონის წინაშე ლოკალური ამოცანა დგას - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ჩვენი აზრით, "სიონს" დაქვეითების საფრთხე არ უნდა დაემუქროს. ამის ხმამაღლა თქმის საბაბს კი ბოლნისელთა ნამეტნავი აქტიურობაც იყო ქართულ "სატრანსფერო ბაზარზე". თანაც, **გიორგი ყიფშიძემ** გუნდში ისეთი ფეხბურთელები მიიწვია, წასულებზე ბევრად მაღალი კვალიფიკაცია რომ აქვთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **კახა ჩხეტიანი** და **შოთა ჯიქია** საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე "ჩვეულებრივ" ფეხბურთელებად ნამდვილად არ ითვლებიან. **მიხეილ კობაურისა** და **ლევან შავგულიძის** დაბრუნებამაც უნდა გააძლიეროს გუნდი; ამას გარდა, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ფორვარდების - **ერიკ რომეო ჩასემისა** და **ბესო ქარდავას** საგოლე ალღოზე.

*P.S. ნუხელ ცნობილი გახდა რომ კახა ჩხეტიანი აზერბაიჯანში გაემგზავრა კარიერის გასაგრძელებლად.*

### სპარტაკი

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჩემპიონატში წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით დაშვებულ გუნდს არაერთი პრობლემა ექნებოდა. და მაინც, მიგვაჩნია, რომ ყველაფრის მიუხედავად, "სპარტაკმა" პირველ წრეში ღირსეულად იასპარეზა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **კობა ჟორჟიკაშვილს** ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა. თუმცა, მეორე საკითხია, რამდენად შეძლებენ ახალგაზრდა ფეხბურთელები მეორე წრეში სტაბილურად ასპარეზობასა და ბევრად გამოცდილ და გაძლიერებულ კონკურენტებთან პაექრობას. მით უმეტეს, რომ "სპარტაკი" სახიფათო ზონიდან მხოლოდ ორი ქულით არის დაშორებული.

### მერანი

პირველ წრეში "მერანმა" თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ყველაზე მეტმა ფეხბურთელმა ითამაშა ამ გუნდის მაისურით. ისე, ცოტა არ იყოს, უცნაურია 13 შეხვედრაში 33 (!) ფეხბურთელს რომ გამოცდი. სანამ მწვრთნელები (ჯერ - **თამაზ კოსტავა**, მერე - **დავით ეჯიბიშვილი**) ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში იყვნენ, ძვირფასი ქულები იკარგებოდა. თუმცა, სეზონის დაწყებამდეც ნათელი იყო, რომ "მერანის" მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო. რამდენად შეძლებს ამას გუნდი, ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი ცხადია - "მერანის" ნებისმიერი წარმატება-წარუმატებლობა დიდად იქნება დამოკიდებული **რევაზ თევდორაძეზე**. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ გუნდის ლიდერობა უნდა იტვირთოს...

### ლოკომოტივი



ლევან ყენია

გახსოვთ, "ლოკომოტივმა" ჩემპიონატი როგორ დაიწყო? როგორ და "ამერს" სენსაციური მარცხი რომ აგემა. მაგრამ, მერე ამ მოგებას მხოლოდ ორი გამარჯვებალა მოჰყვა და გუნდიც სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ დაიძირა. "ლოკომოტივი" პირველ წრეში ნეგატიური კუთხითაც გამოირჩა - როგორც უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო გუნდი. ისე, ალბათ, თავშივე უნდა გვეთქვა - დარწმუნებული ვართ, "ლოკომოტივი" ბევრად უფრო მაღლა იქნებოდა ცხრილში, **ლევან ყენიას** რომ უფრო მეტი თამაში ჩაეტარებინა. სამწუხაროდ, 17 წლის ტალანტმა მხოლოდ ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მერე გერმანიას მიაშურა. ახლა კი ახალგაზრდა მწვრთნელებს - **გიორგი კიკნაძესა** და **ზაზა ზამთარაძეს** სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. ყოველ შემთხვევაში, თითოეულ ქულას მათი გუნდისთვის "ოქროს" ფასი ექნება. ეს კი ფაქტია, რომ "მესხეთიდან" დამატებული **ალექსანდრე კაიდარაშვილი** და **ზვიად ჩხეტიანი** გუნდს გააძლიერებენ. ისე, როგორც **მიხეილ ალავიძე**, რომელმაც გუნდის კაპიტანი **დავით გვარამაძე** (კარიერა დაასრულა) უნდა შეცვალოს. ალავიძეს ბოლო დროს მწვრთნელები აღარ ენდობოდნენ (ჯერ - **ძოძუაშვილი**, მერე - **პისკოვეცი**), თორემ ამ ბიჭმა რომ მეკარეობა იცის, წინა ჩემპიონატის პირველ წრეში, ჩინებულად დაამტკიცა. ერთი მომენტიც: "ლოკომოტივის" კლუბის ხელმძღვანელებს სამომავლოდ ერთობ სერიოზული პროექტები აქვთ გათვალისწინებული და, ალბათ, გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებიც ყველა ღონეს იხმარენ, უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნონ.

### დილა

დღეს, უმაღლეს ლიგაშია, ხვალ - პირველში, ზეგ - ისევ უმაღლესში... ასე გრძელდება უკვე მეორე ათეული წელიწადი. ახლაც იგივე სურათია - "დილა" უმაღლესში დარჩენისთვის იბრძვის. ძალიან, ძალიან გაუჭირდება ამ ამოცანის შესრულება **ზურაბ ხორგუაშვილს**, რომელსაც პირველი წრის ბოლოსკენ უხმეს საშველად. ვისი იმედი უნდა ჰქონდეს "დილას" მთავარ მწვრთნელს? ისევ და ისევ, ადგილობრივი გამოცდილი ფეხბურთელების - **გიორგი ბალაშვილის, საბა სულთანიშვილის, ქრისტეფორე შატაკიშვილის, თამაზ ილურიძის, ბექა ჩიტაიასი...**

### ბათუმი



გიორგი თურმანიძე

ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო; ანუ, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ "ბათუმი" ნელ-ნელა კი არა, ჩქარი ტემპით ჩაძირულიყო. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვივარაუდეთ, რომ ამ გუნდს მეტისმეტად გაუჭირდებოდა. გახსოვთ, ალბათ, გუნდი ძლივს შეიკრიბა და პროფესიულ ლიგაში ფინანსური გარანტიებიც სულ ბოლოს რომ წარადგინა. ამას, სტადიონის პრობლემაც დაემატა და ერთ დროს ქართული ფეხბურთის ლიდერთაგანი უიმედო აუტსაიდერად მოგვევლინა. რა თქმა უნდა, ლოგიკურიც იყო, **ნუკრი გოგიტიძე** თანამდებობიდან რომ წავიდა; ანდა, რომელი მწვრთნელი უშველიდა ამ გუნდს? არადა, შეგახსენებთ, რომ პირველი ჩემპიონატიდან დღემდე ორი გუნდილა შემორჩა, უმაღლესი ლიგა რომ არ დაუტოვებია: თბილისის "დინამო" და "ბათუმი". და, როგორ არ გვინდა, "ბათუმმაც" რომ ქუთაისის "ტორპედოს", ლანჩხუთის "გურიას", ფოთის "კოლხეთისა" და "სამტრედიის" ბედი გაიზიაროს... თუმცა, ზედ მეორე წრის დაწყების წინ, ბათუმიდან დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის. გუნდის მთავარ მწვრთნელს **ავთანდილ კუნჭულიას** თქმით, "ბათუმთან" კონტრაქტები გააფორმეს **ზვიად სტურუამ** და **ზვიად ქუთათელაძემ**; უფრო ადრე მივიდა გუნდში უაღრესად გამოცდილი **გიორგი თურმანიძე**. ეგ კი არა, დიდი შანსია, რომ მეორე წრე "ბათუმში" გაატარონ **გოგი ფიფიამ** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ**. ასეთი სოლიდური შევსებით კი ნამდვილად შესაძლებელი იქნება წარმატებული ასპარეზობა. წარმატებად კი მხოლოდ ის ჩაითვლება, თუ გუნდი უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს.

**გვერდები მოამზადა გია ტუხაშვილმა**

### დღეს

**14:00 დინამო-ოლიმპი**

თბილისი. ეროვნული.

**პირველ წრეში: 2:0**

დისკვალიფიკაცია: **ოვონო** (დინამო); **გაბედავა** (ოლიმპი)

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

**ვარლამ კილასონია**

(ოლიმპის მწვრთნელი):

- მეორე წრის სასტარტო ტურშივე დაძაბული მატჩი გველის. ჩვენ ამ მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. ვფიქრობ უკომპრომისო თამაში იქნება, ქომაგები რომ ისიამოვნებენ, ისეთი. სამწუხაროდ, ორი ფეხბურთელი დაგვაკლდება. ავადმყოფობის გამო ხუბუა არ გვეყოლება, გაბედავა კი დისკვალიფიცირებულია.

**- მეტოქეზე რას იტყოდით?**

- თბილისის "დინამოს" მაღალი კლასის ფეხბურთელები და გამორჩეული მწვრთნელი ჰყავს. ეს გუნდი ჩემპიონობისა და თასის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. "დინამოსთან" პირველ წრეში შინ კი დავმარცხდით, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თბილისში მოვიგოთ. რაც უნდა იყოს, მოქმედი ჩემპიონები ვართ და სასურველი შედეგის მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- "დინამო" მასპინძელია და ვფიქრობ, უპირატესობა მის მხარესაა. თუმცა, მეტოქეს 60%-ზე მეტს არ მივცემდი. 40% კი ჩვენია და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**14:00 ბათუმი-დილა**

ბათუმი. ადელი

**პირველ წრეში: 0:1**

დისკვალიფიკაცია: **ა. კუნჭულია** (ბათუმის მთავარი მწვრთნელი), **კ. მახარაძე, ოქრუაშვილი** (ბათუმი)

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

### ხვალ

**14:00 ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი**

მცხეთა. არმაზი

**პირველ წრეში: 1:1**

დისკვალიფიკაცია: **მიქაბერიძე** (ვიტ ჯორჯია); **კესანი** (ზესტაფონი)

არბიტრი: **ლ. ფანიაშვილი**

**14:00 ამერი-ლოკომოტივი**

თბილისი. ამერი

**პირველ წრეში: 1:2**

დისკვალიფიკაცია: **ჩიხრაძე** (ამერის მთავარი მწვრთნელი), **კვანტალიანი** (ამერის ადმინისტრატორი), **ქვაჩახია, ელბაქიძე** (ამერი); **ზ. ჩხეტიანი** (ლოკომოტივი)

არბიტრი: **მ. ურუშაძე**

**14:00 მერანი-ბორჯომი**

თბილისი. მერანი

**პირველ წრეში: 0:1**

დისკვალიფიკაცია: **სარალიძე** (მერანი)

არბიტრი: **გ. კიკაჩეიშვილი**

### 26 თებერვალი

**14:00 მგლები-მესხეთი**

ზუგდიდი. თუთბერიძე

**პირველ წრეში: 0:1**

დისკვალიფიკაცია: **მ. თაყაძე** (მესხეთი)

არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

**14:00 სპარტაკი-სიონი**

გორი. ქართლი

**პირველ წრეში: 1:1**

დისკვალიფიკაცია: **თარხნიშვილი** (სპარტაკი)

არბიტრი: **ო. ხეცაძე**

გახსენი...
# ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge


# ფეიქრიშვილი მენთეშაშვილთან


გიორგი ფეიქრიშვილი

ლატვიურ "ვენტსპილსში" ვინძლო **ზურაბ მენთეშაშვილის** გარდა კიდევ ერთი ჩვენებური ჩაირიცხოს - 24 წლის ნახევარმცველი **გიორგი ფეიქრიშვილი** ანთალიაში ჩავიდა, რათა იქ შეკრებაზე მყოფ "ვენტსპილსს" თავი მოაწონოს.

ფეიქრიშვილი წინა სეზონის შუაში გადავიდა "ვიტ ჯორჯიიდან" თბილისის "დინამოში", თუმცა **დუშან უჰრინის** გუნდში ფეხი მყარად ვერ მოიკიდა - ჩეხი მწვრთნელი მას დიდად არ ენდობოდა, ფეიქრიშვილი ალბათ მის მონახაზში თუ გემოვნებაში ვერ ჩაჯდა, თორემ ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო შუახაზელად ითვლებოდა.

"ვენტსპილსის" თავკაცი **რომან გრიგორშჩუკი** ფეიქრიშვილს ალბათ საკონტროლო მატჩებშიც გამოცდის. ნახევარდაცვის ცენტრში ან მარჯვენა ფლანგზე - გიორგის ამ პოზიციებზე ხელეწიფება თამაში. მისი "ვენტსპილსში" ტრანსფერი მაქსიმუმ ერთ კვირაში გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**


დავით კვირკველია

ლეგიონერები

# კვირკველიას რუბინული დებიუტი

## რევიშვილმა ძირითადში ითამაშა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის, **დავით კვირკველიას** დებიუტი ყაზანის "რუბინში" გუშინ შედგა. ესპანურ შეკრებაზე ყაზანელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი ლა-მანგაში ნორვეგიულ კლუბ "ოლესუნთან" გამართეს. კვირკველიამ შეუცვლელად ითამაშა, ყაზანელებმა კი 2:0 მოიგეს.

ეს გუშინ "რუბინის" მიერ გამართული მეორე საკონტროლო მატჩი გახლდათ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** გუნდი ორად გაყო და თამაშის საშუალება ყველა ფეხბურთელებს მისცა. დილით "რუბინმა" მეორე პრემიერლიგელი, სამარის "კრილია სოვეტოვი" 3:1 დაამარცხა. ტრავმის შემდეგ, ყაზანელთა კარში პირველად დადგა **ნუკრი რევიშვილი**. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. 90 წუთი ითამაშა **ლაშა სალუქვაძემაც**.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# მარტის თვეა შენი...

**კლაუს ტოპმიოლერთან** კონტრაქტის გაგრძელება შარშან დეკემბრიდან მოყოლებული რამდენჯერმე გადაიდო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ საქმეს არც თებერვალში დაადგება საშველი.

მორიგი მატჩი ჩვენს ეროვნულ გუნდს 26 მარტს აქვს - ბელფასტში ამხანაგურად გაეჯიბრება ჩრდილოეთ ირლანდიას. ტოპი საამმატჩო სამზადისისთვის 15 მარტს ჩამოვა საქართველოში და ვინძლო მაშინ გაფორმდება ახალი ორწლიანი კონტრაქტი გერმანელ მწვრთნელსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის.

**დავით თავართქილაძე**


კლაუს ტოპმიოლერი

# კობახიძე კიევის დინამოსთან?

**სანდრო კობახიძეს** დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად სერიოზული ბრძოლა ელის. მისი კონკურენტები უკრაინის ნაკრების ნახევარმცველი **რუსლან როტანი** და არგენტინელი **ოსკარ ფერეირა** არიან. როტანი ზამთარში "დნეპრს" კიევის "დინამოდან" დაუბრუნდა, სადაც კარიერა ვერ აეწყო.

დაბრუნებამდე კიეველებსა და დნეპროპეტროვსკელებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, "დინამოს" წინააღმდეგ როტანს თამაში ეკრძალება. უკრაინის საგაზაფხულო სეზონი კი 2 მარტს დნეპროპეტროვსკში სწორედ ამ ორი კლუბის თამაშით გაიხსნება.

ეს შეთანხმება როტანის კონკურენტების, სანდრო კობახიძისა და ოსკარ ფერეირას წისქვილზე ასხამს წყალს. ასე რომ, შესაძლოა, "დნეპრის" ძირითადში სანდრომ დებიუტო შეხვედრა 2 მარტს ჩაატაროს.

**მერაბ მამულაშვილი**


სანდრო კობახიძე


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ილ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
[illegible]
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!


# ჩიხრაძეს კრილია ჩაეშალა


ალექსანდრე ჩიხრაძე

მცველი **ალექსანდრე ჩიხრაძე**, რომლის მიწვევასაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელები, ერთი პერიოდი, სერიოზულად ფიქრობდნენ, კლუბის შეცვლას იმედოვნებდა. თუმცა საბოლოოდ ეს ვერ მოახერხა.

ვლადივოსტოკის "ლუჩში' ნალჩიკის "სპარტაკიდან" გადასული მეკარისთვის სეზონი წარმატებით დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ ჩეხმა მეკარე **მარეკ ჩეხმა** სათადარიგოთა სკამზე დასვა და ჩიხრაძეც კლუბის შეცვლაზე დაფიქრდა.

მისით რუსეთის პრემიერლიგის ორი კლუბი დაინტერესდა, ერთი მათგანი სამარის "კრილია სოვეტოვი" იყო. სამარელთა პრეზიდენტი **გერმან ტკაჩენკო** მოსკოვში მეკარეს შეხვდა და კონკრეტული საკონტრაქტო პირობებიც შესთავაზა.

*"ეს იყო კონკრეტული შემოთავაზება. სამარელთა ინტერესი ვლადივოსტოკის "ლუჩის" ხელმძღვანელობას გავუმხილე. ისინი ჩემს გასაყიდად თეორიულად მზად იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ, კლუბებმა ვერ მოილაპარაკეს. თუმცა ეს უკვე საინტერესო აღარაა, - სეზონს ვლადივოსტოკში დავასრულებ"* - განუცხადა "სპორტ-ექსპრესს" ჩიხრაძემ.

გაჭირვებულს ქვა ალმართში დაეწიაო, 31 წლის მეკარეს ისე მოუვიდა. ახალ გუნდში ხომ არ გაუშვეს და ამას ტრავმაც დაემატა - თურქულ შეკრებაზე ხელი მოიტეხა. თუმცა ზოგი ჭირი მარგებელია და ანთალიაში უსაქმოდ დარჩენილმა ოჯახის წევრები ჩაიყვანა და უზომოდ კმაყოფილია, ეს ყველაზე კარგი შვებულებააო.

**მერაბ მამულაშვილი**

# მუჯირმა ლოკომოტივის ათიანში მოარტყა

## ჩერჩესოვს უკეთესად ვიცნობდი, მაგრამ სპარტაკში მიმიწვია?

არიან ფეხბურთელები, რომლებიც ამა თუ იმ კლუბის ისტორიაში განსაკუთრებულ კვალს ტოვებენ. მოსკოვის "ლოკომოტივისთვის" ასეთები იყვნენ სერგეი ოვჩინიკოვი, ვადიმ ევსეევი და დმიტრი ლოსკოვი, რომლის 10-ნომრიან მაისურას ამიერიდან ქართველი დავით მუჯირი მოირგებს.

მოსკოვის "ლოკომოტივში" გადასვლის შემდეგ, დათო მუჯირს ინტერვიუ პირველად ჩამოვართვით.



**- დათო, როდესაც ახალწვეულს კლუბის გამორჩეული ფეხბურთელის მაისურას მოგარგებენ, ეს ძალიან დიდ ნდობას ნიშნავს...**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ ატყდა რუსეთში ამის გამო ასეთი ამბავი. მე ვიკითხე, რომელი ნომრები იყო თავისუფალი. თავიდან ოცი ნომერი მსურდა, მაგრამ ის დაკავებული აღმოჩნდა და ძალიან გამიხარდა, თავისუფალ ნომრებში ათიანი რომ დამისახელეს.

**- საერთოდ, ნომერს შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს?**

- 20 ნომერს მართლა ავილებდი, რადგან ნაკრებშიც და "კრილიაშიც" ამ ნომრით ვთამაშობდი, ათიანზე ასე არ ვფიქრობდი. საერთოდ კი, ჩემს პოზიციას 10 ნომერი უფრო შეეფერება.

**- თურმე "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვთან ნაცნობობა ჯერ კიდევ ავსტრიიდან გაკავშირებდა. იქიდან მოყოლებული მეგობრობთ?**

- მეგობრობის რა გითხრათ და ურთიერთობა ნამდვილად გვქონდა. თქვენ თუ თვლით, რომ მეგობრობის გამო მიმიწვია, მაშინ გეტყვით, რომ ავსტრიაში გაცილებით უკეთესი კავშირი ჩერჩესოვთან მქონდა, მაგრამ "სპარტაკში" ამიყვანა?

**- არა, ეს არ გვიგულისხმია, უბრალოდ, ჩვენთვის უცნობი ფაქტი იყო, რომ "შტურმში" რახიმოვის რეკომენდაციით ჩაირიცხე. შენ ამ დროს მოლდოვაში თამაშობდი და საიდან გიცნობდა?**

- გადასვლის დროს ნაღდად არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემზე სხვებისგან გაეგო. თავად რახიმოვს "შტურმში" მშვენივრად იცნობდნენ და აზრი ჰკითხეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე იყო "კრილია სოვეტოვში" ჩემი გადასვლის დროსაც. გაჯი გაჯიევმა სტანისლავ ჩერჩესოვს დაურეკა და აზრი ჰკითხა. რახიმოვმა კარგად კი დამახასიათა, თუმცა "შტურმში" ორკვირიანი გასინჯვის შემდეგ ამიყვანეს.

**- "ლოკომოტივს" და "კრილიას" შორის, უპირველესად, რა განსხვავება დაინახე?**

- ჯერ ერთი, ეს ჩემს კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯია. გუნდში ისეთი დონის ფეხბურთელები არიან, ლიგაზე მოსახვედრად შეგვიძლია ბრძოლა. "ლოკომოტივი" უფრო ამბიციური კლუბია და ესაა ჩემთვის მთავარი.

**- ლატვიასთან კლაუს ტოპმიოლერმა ფორმიდან ამოვარდნილი მოგიწვია. ამიტომ თქვი უარი?**

- ტრანსფერის გამო, სირბილი მომიხდა და მთელი ათი დღე გამიცდა. ტოპმიოლერს ეს ყველაფერი არგუმენტირებულად ავუხსენი, პროფესიონალია და გამიგო. ახლა შეუძლებელიცაა, რუსული კლუბის ფეხბურთელი საუკეთესო ფორმაში იყოს.

**- ახლა უკვე შეიძლება იმის თქმა, "ლოკომოტივის" გარდა, კიდევ რომელი გუნდები გიწვევდა?**

- წარსულზე ლაპარაკი არ მიყვარს. ისე იყო ვარიანტები. 2006 წელს "კრილიას" ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ რუსეთის ტოპ გუნდი მიწვევდა, მაგრამ არ გამიშვეს. რომელი გუნდი, ეს აღარ უთქვამთ.

**- მეტი რაღა გინდა, რუსეთში სამი ტოპგუნდია და ერთ-ერთში ჩაირიცხე.**

- რა თქმა უნდა, ეს მე ძალიან მიხარია.

**- "ლოკომოტივში" ლოსკოვი, ასე ვთქვათ, შავ სამუშაოს ასრულებდა. რახიმოვი ფლეიმეიქერობას გავალებს?**

- ჯერ აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი, მეოთხე შეკრებაზე კი გამოიკვეთება, რახიმოვი რა ტაქტიკური მონახაზით აპირებს თამაშს და კონკრეტულად რა დავალებებს მოგვცემს.

ისე, ძირითადში ადგილი გარანტირებული არ მექნება. წლეულს რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, "ლოკომოტივში" წინა ხაზში რუსეთის ნაკრების ბევრი კანდიდატი თამაშობს.

**- შენ თამაშობ დინიარ ბილიალეტდინოვის პოზიციაზე, რომელსაც რუსეთის ნაკრების იმედს უძახიან. ეროვნული ფაქტორი მწვრთნელზე გავლენას არ მოახდენს?**

- როდესაც მიწვევდნენ, ამაზე წინასწარ იფიქრებდნენ. კონკურენტებს ორი-სამი თავით თუ არ ვაჯობე, არ მათამაშებენ. თუმცა ქართველების საწინააღმდეგო აქ არაფერი აქვთ. პირიქით, ძალიან კარგად მიმიღეს და უკვე თავს შინაურად ვგრძნობ.

**- ამბიციურ გუნდში თამაში კარგია, მაგრამ შენი მეუღლე და შვილები კი გაწვალდნენ ალბათ - ჯერ ტირასპოლში ცხოვრობდით, შემდეგ გრაცსა და სამარაში, ახლა კი მოსკოვში გიწევთ გადასვლა.. მოკლედ, შენი ცხოვრება გაუთავებელი მოგზაურობები და შეკრებებია. ოთხ-ხუთ ენას უკვე შენი შვილებიც აითვისებდნენ.**

- რას ვიზამ, ფეხბურთელობა რთულია პროფესია. სხვა რა გზაა? თუკი კარიერაზე ფიქრობ, სირთულეებიც უნდა აიტანო.

**მერაბ მამულაშვილი**

## კორღალიძის გოლი, დვალის დუბლი

კიშინიოვის "დაჩიამ". სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდის ამხანაგურ მატჩში გუშინ "ამკარი" 4:2 დაამარცხა, სადაც ორივე ქართველმა - **ჯაბა დვალმა** და **ლევან კორღალიძემ** მიიღო მონაწილეობა და კიშინიოველთა გამარჯვებაში საკუთარი წვლილიც შეიტანეს. გატანილი 4 გოლიდან სამი ქართველების ანგარიშზეა - დვალმა დუბლი მიითვალა, კორღალიძემ კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

## ბაბუნაშვილი გამოჯანმრთელდა

მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ლატვიურმა "დინაბურგმა" ბარნაულის "დინამოს" 3:1 მოუგო. ლატვიელთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილი**. შეგახსენებთ, რომ ის ერთი კვირის წინათ დაშავდა, მაგრამ გამოჯანმრთელება მოასწრო. შოთა ბაბუნაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ტესტირებაზე მყოფი მცველი **გიორგაძე** კი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში.

**ზურაბ მენთეშაშვილის** გარეშე ლატვიურმა "ვენტსპილსმა" გდანსკის "ლეხთან" 0:1 წააგო. ქართველ ნახევარმცველს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

**დავით ცაბაძე**



## ასათიანი დღემდე ვერ ვარჯიშობს

6 თებერვალს ლატვიის ნაკრებთან წაგებამ საქართველოს არა მარტო მორალური ზარალი მიაყენა, არამედ "მატერიალურიც.

საქმე ისაა, რომ **მალხაზ ასათიანი** ლატვიასთან მიღებულ ტრავმას დღემდე მკურნალობს. მოსკოველთა პრესატაშე **სერგეი მეშჩერიაკოვის** თქმით, მინიმუმ, სამი დღე დაისვენებს და საერთო ჯგუფს მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდება.

*"ასათიანი ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს. ტრავმა ძალიან არ აწუხებს, მაგრამ აჯობებს, დატვირთვებს დროებით მოვარიდოთ,"* - ეს განცხადება მეშჩერიაკოვმა ჯერ კიდევ ასათიანის მოსკოვში ჩასვლისთანავე გააკეთა.

მისი პროგნოზი მეტად ოპტიმისტური გამოდგა. გავიდა გაცილებით მეტი დრო და ქართველი ლეგიონერი არამარტო "ლოკომოტივის" საკონტროლო შეხვედრებში, ვარჯიშებზეც არ გამოჩენილა.

ეს გუშინ მალხაზის თანაგუნდელმა დათო მუჯირმა "ლელოს" უთხრა: *"ასათიანს ტრავმა გაუმიზეზდა და დღემდე ვერ ვარჯიშობს"*.

შეგახსენებთ, მალხაზმა ლატვიის ნაკრებთან შეხვედრისას ფეხი დასაწყისშივე იტკინა და ლამის შესაცვლელი გახდა. მერე კი გააგრძელა თამაში, მაგრამ საბოლოოდ, ტრავმამ მაინც დაასვენა იძულებით. სავარაუდოდ, ასათიანი ვარჯიშს მომავალ კვირაში განაახლებს.

**მერაბ მამულაშვილი**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

## იტალია. სერია A. XXIV ტურის წინ

# რეაბილიტაციის შანსი

**დღეს**

ტორინო-პარმა
რეჯინა-იუვენტუსი

**ხვალ**

სამპდორია-ინტერი
რომა-ფიორენტინა
უდინეზე-ჯენოა
ატალანტა-სიენა
კალიარი-ლაციო
ლივორნო-ნაპოლი
ემპოლი-კატანია
მილანი-პალერმო

"პარმასთან" საშინაო მატჩში "ტორინომ" უნდა დაამტკიცოს, რომ ბოლო პერიოდში მოპოვებული ქულები (თუმც ძირითადად ფრეების ხარჯზე) თამაშის ხარისხის მცირედით გაუმჯობესებას უკავშირდება და არა უბრალო შემთხვევითობას. ამ შეხვედრით იწყება სერია A-ს მორიგი ტური, რომელმაც ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. კონკრეტულად კი, პირველ მატჩს რომ დავუბრუნდეთ, აქ გასარკვევია ის, არის თუ არა მზად "პარმა", ელიტაში დარჩენისთვის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოს. პრინციპში, ეს ბრძოლა **მიმო დი კარლოსა** და მის კრებულს კარგა ხნის დაწყებული უნდა ჰქონდეთ, მაგრამ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ემილიური კლუბის მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, მეტად არასახარბიელოა. სხვა საქმეა, რა შანსები აქვთ გუნდებს უშუალოდ დღევანდელ დაპირისპირებაში.

"პარმას" 3 წამყვანი მოთამაშე აკლია: განაპირა მცველი **ფერდინანდ კოლი** და იმედისმომცემი ნახევარმცველი **ლუკა ჩიგარინი** ტრავმირებულები არიან, კიდევ ერთი შუახაზელი **დანიელე დესენა** კი დასჯილია. მართალია, პრობლემები **ვალტერ ნოველინოსაც** აქვს, მაგრამ მისი მდგომარეობა გაცილებით იოლია. ერთადერთი, ვისი შეცვლაც მას მოუწევს, ხორვატი თავდამსხმელი **საშა ბელანოვიჩია** (ტრავმა).

შაბათს სალამოსვე, "იუვენტუსი" გასვლით მატჩს გამართავს "რეჯინასთან", რომლის მწვრთნელ **რენცო ულივიერის** დათხოვნა ემუქრება. ვერ ვიტყვით, რომ გამოცდილ სპეციალისტს მაინცდამაინც "ქალბატონთან" შესაძლო მარცხს არ აპატიებენ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ახლა თითოეული ნაგება სიკვდილის ტოლფასია. კალაბრიელები ბოლოსწინა ადგილზე არიან. თუმცა მათი შანსი რამდენადმე იზრდება, თუ გავითვალისწინებთ "იუვეს" მძიმე საკადრო კრიზისს. თავად განსაჯეთ, **კლაუდიო რანიერის** ძირითადი შემადგენლობის 5 მოთამაშე ჰყავს დაშავებული. მწვრთნელის უპირველესი საფიქრალი **ჯანლუიჯი ბუფონის** ტრავმაა. მას კვლავ ზურგი აწუხებს. შანსი იმისი, რომ ბუფონმა ითამაშოს, მიზერულია. ბოლო დღეებში ვერ ივარჯიშეს **დავიდ ტრეზეგემ** და **ვინჩენცო იაკვინტამაც**. შესაბამისად, რანიერი **ალესანდრო დელ პიეროსთან** შესაწყვილებლად **რაფაელე პალადინოს** ამზადებს. ტრავმირებული **ჯონათან ზებინას** ადგილს კი ჩეხი **ზდენეკ გრიგერა** დაიკავებს. ნამდვილად გამოტოვებს თამაშს მარჯვენა ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო**, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

კვირას, "ინტერს" მძიმე გასვლა ელის გენუაში, სადაც "სამპდორიას" უნდა შეხვდეს. **ვალტერ მაძარის** გუნდი აღმავლობის გზაზეა და უეფას ზონაში მოსახვედრად იბრძვის. საკუთარ კედლებში კი გამორჩეულად კარგად ირჯება. "ინტერის" წინაშე კი რეაბილიტაციის საკითხი დგას. **რობერტო მანჩინის** შეგირდებმა ლივერპულში 0:2 წააგეს და ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ. მართალია, ამგვარი პერსპექტივა გუნდს სერია A-ზე კონცენტრირების საშუალებას მისცემს, მაგრამ აქ პრესტიჟშიცაა საქმე. ამბიციური "შავ-ლურჯებისთვის" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა უთუოდ ფიასკოს ტოლფასი იქნება. მანჩინიმ უკვე მიიღო "გაფრთხილება", როცა ლივერპულის აეროპორტში, შინ დაბრუნების წინ, საქმე კინაღამ ფანებთან ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. მანჩინის მთავარი დანაკლისი **ივან კორდობა** იქნება. კოლუმბიელ მცველს ტრავმა აქვს. "სამპს" ნახევარდაცვის ლიდერი **სერჯო ვოლპი** ჰყავს დისკვალიფიცირებული. ტრავმის გამო არ იქნება კიდევ ერთი ნახევარმცველი **პაოლო სამარკოც**, ასევე, გამოცდილი მცველი **ლუიჯი სალა**.

ტურის მთავარი მატჩი კვირას, "ოლიმპიკოზე" გაიმართება. "რომა", რომელმაც სამშაბათს "რეალი" დაამარცხა, კარგ ხასიათზეა და ახლა ფლორენციელთა ძლევისთვის ემზადება. **ლუჩანო სპალეტის** გამარჯვება აუცილებლად სჭირდება. არ არის გამორიცხული, "ინტერი" ერთგვარი კრიზისის წინაშე იყოს, ხოლო "ჯალოროსიმ" ამით ისარგებლოს, ლიდერთან დისტანცია შეამციროს და სერია A-ს მომაკვდავი ინტრიგა გააცოცხლოს. სპალეტის ერთადერთი დანაკლისი **ამანტინო მანსინია**, რომელიც ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის. მის ადგილს ან **ლუდოვიკ ჟიული** დაიკავებს, ან **მირკო ვუჩინიჩი**. საბრძოლო შემადგენლობითაა "ფიორენტინაც". ეგ არის, რომ ტრავმა აქვს **კრისტიან ვიერის**, რაც იმას ნიშნავს, რომ **ჩეზარე პრანდელის** რეზერვში სერიოზული კოზირი არ ექნება. ამ გუნდების შარშანდელი რომაული დაპირისპირება მასპინძელთა გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

დავარღვიოთ ქრონოლოგია და კვირის ბოლო მატჩზე გადავხტეთ. წესით, საინტერესო თამაში უნდა იყოს: "მილანი" "პალერმოს" მიიღებს. გამომდინარე იქიდან, რომ "როსონერის" წელს საკუთარ კედლებში თამაში ძალიან უჭირს (მხოლოდ 2 გამარჯვება), სიცილიელებს არცთუ მცირე შანსი აქვთ იმისი, რომ "სან სიროდან" ქულა მაინც წაიღონ. ცხადია, ეს არ იქნება ადვილი თუნდაც იმიტომ, რომ **ფრანჩესკო გვიდოლინს** წამყვანი ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი** დააკლდება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ **კარლო ანჩელოტის** ამ მხრივ უფრო ცუდად აქვს საქმე. კვლავ არ იქნება ძირითადი მეკარე **ნელსონ დიდა**, ვერ ითამაშებს **ალესანდრო ნესტა**, რომელიც "არსენალთან" მატჩში დაშავდა, და **რონალდო**, რომლის ამბავიც უკვე იცით. ამას გარდა, მეტად საეჭვოა, ითამაშებს თუ არა **ალეშანდრე პატო**, რომელსაც, ასევე "არსენალთან" შეხვედრაში, კუნთი დაეჭიმა.

"უდინეზეს" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ოცნება ჯერაც არ ასვენებს, თუმცა **პასკუალე მარინოსთვის** წარმატება იქნება უეფას თასზე გასვლაც, საითკენაც ერთ-ერთი რიგითი ნაბიჯი "ჯენოას" დამარცხება უნდა იყოს. მაშინ, როცა გენუელები საბრძოლო შემადგენლობით არიან, მასპინძლებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლიათ. ერთ-ერთი მათგანია ფორვარდი **სიმონე პეპე**, რომელიც დისკვალიფიცირებულია, ხოლო მცველ **ჯანდომენიკო მესტოს**, ნახევარმცველ **კრის ობოდოსა** და განელ თავდამსხმელ **გიან ასამოას** ტრავმები აწუხებთ.

"ლაციოსთან" ნაგების (0:3) შემდეგ, "ატალანტას" ძალების მოკრება მართებს, რათა ევროტურნირისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვიოს. "სიენასთან" ბრძოლა მას წამყვანი ცენტრალური მცველის **მორის კაროციერის** (ტრავმა) გარეშე მოუწევს. სერიოზული დანაკლისი აქვს ტოსკანურ კლუბსაც, რომელსაც ფორვარდი **მასიმო მაკარონე** ჰყავს დაშავებული.

აუტსაიდერ "კალიარისთვის" "ლაციოსთან" მატჩი ერთ-ერთი ბოლო შანსია. **დავიდე ბალარდინის** განკარგულებაში არ იქნებიან ნახევარმცველი **დანიელე კონტი** (დისკვალიფიკაცია) და მცველები, **მიკელე ფერი** და **მიკელე კანინი** (ორივე ტრავმირებულია). "ლაციალე" კი ნელ-ნელა ძლევს საკადრო კრიზისს, თუმცა შუა ხაზის ლიდერების, **მასიმო მუტარელისა** და **ლუჩანო ძაურის** არყოფნა მაინც სერიოზული მინუსია.

"ლივორნო" და "ნაპოლი" ხვალინდელ მატჩს მძიმე პრობლემებით ხვდებიან. ტრამის გამო, მასპინძლებს დამრტყმელი ძალა, ფორვარდი **ფრანჩესკო ტავანო** გამოაკლდათ. ტრავმირებულია კიდევ ერთი თავდამსხმელი **ფაუსტო როსინიც**, ასევე, გამოცდილი ნახევარმცველი **ჯულიანო ჯანიკედა**. ბევრი აქვს საფიქრალი ნეაპოლელთა **თავკაც ედოარდო რეიასაც**. ფორვარდ **მარსელო სალაიეტას** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. სასჯელს იხდის წამყვანი მცველი **მაურიციო დომიციც**, ხოლო ძირითადი მეკარე **ჯენარო იეცო** და მცველი **ანდრეა კუპი** მკურნალობენ.

"ემპოლის" ფორვარდ **ნიკოლა პოცის** (ტრავმა) გარეშე მოუწევს "კატანიასთან" გამკლავება. თავის მხრივ, სიცილიელებს ორი მცველი - **ანდრეა სოტილი** და **კრისტიან სილვესტრი**, აგრეთვე, ნახევარმცველი **ჯაკომო ტედესკო** დააკლდებათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 18 | 5 | 0 | 48-13 | 59 |
| 2. რომა | 23 | 14 | 6 | 3 | 40-23 | 48 |
| 3. იუვენტუსი | 23 | 13 | 8 | 2 | 43-19 | 47 |
| 4. ფიორენტინა | 23 | 11 | 8 | 4 | 36-22 | 41 |
| 5. მილანი | 23 | 10 | 8 | 5 | 34-17 | 38 |
| 6. უდინეზე | 23 | 10 | 6 | 7 | 28-28 | 36 |
| 7. სამპდორია | 23 | 10 | 4 | 9 | 30-26 | 34 |
| 8. პალერმო | 23 | 8 | 7 | 8 | 31-38 | 31 |
| 9. ატალანტა | 23 | 7 | 9 | 7 | 34-35 | 30 |
| 10. ჯენოა | 23 | 7 | 8 | 8 | 23-30 | 28 |
| 11. ნაპოლი | 23 | 7 | 6 | 10 | 34-37 | 27 |
| 12. ლაციო | 23 | 6 | 8 | 9 | 27-31 | 26 |
| 13. ტორინო | 23 | 4 | 13 | 6 | 23-26 | 25 |
| 14. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 20-28 | 23 |
| 15. ლივორნო | 23 | 5 | 8 | 10 | 25-36 | 23 |
| 16. ემპოლი | 23 | 5 | 7 | 11 | 19-30 | 22 |
| 17. სიენა | 23 | 4 | 9 | 10 | 25-32 | 21 |
| 18. პარმა | 23 | 4 | 9 | 10 | 25-33 | 21 |
| 19. რეჯინა | 23 | 3 | 9 | 11 | 19-37 | 18 |
| 20. კალიარი | 23 | 3 | 6 | 14 | 18-41 | 15 |





პირველი წრის მატჩი (1:1): მოჰამედ ზიდანი ანგარიშს ათანაბრებს

## გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის წინ

# დერბი ლიდერების გარეშე?

### ბაიერნში რიბერის, ჰამბურგში კი ვან დერ ვაარტის თამაშია საეჭვო

**გუშინ**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ჰანოვერი | 2:1 |

**დღეს**

ლევერკუზენი-შალკე
აინტრახტი-ვერდერი
ვოლფსბურგი-ჰერტა
შტუტგარტი-კარლსრუე
ბორუსია-ჰანზა
არმინია-დუისბურგი

**ხვალ**

ბაიერნი-ჰამბურგი
ნიურნბერგი-კოტბუსი

ბუნდესლიგის 21-ე ტური უაღრესად დამაინტრიგებელია. თავად განსაჯეთ: დღეს ერთმანეთის უშუალო კონკურენტები და სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდები ხვდებიან: "ლევერკუზენი" "შალკეს" მასპინძლობს. საინტერესო იქნება "კარლსრუესა" და "შტუტგარტის" დუელიც, სადაც საქმე პრესტიჟს ეხება – მოქმედი ჩემპიონის პრესტიჟს. "არმინია" და "დუისბურგი" გადარჩენისთვის იბრძოლებენ. ხვალ კი, მიუნხენში ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა: "ბაიერნი" "ჰამბურგს" მასპინძლობს.

"ლევერკუზენსა" და "შალკეს" 35-35 ქულა აქვთ და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ერთმანეთის კონკურენტები არიან. ევროტურნირებზე ორივე გუნდმა ითამაშა, მაგრამ ამ მხრივ უპირატესობა "შალკეს" აქვს, რადგან "ბაიერს" ძალების ალსადგენად მხოლოდ 44 საათი ჰქონდა. "ფარმაცევტებმა" უეფას თასზე "გალათასარაი" გაანადგურეს (5:1) და შესანიშნავ ხასიათზე არიან. ამიტომაცაა, "ბაიერის" საყრდენი ნახევარმცველი **სიმონ როლფესი** რომ ამბობს, "შალკეც" ზედ უნდა მივაყოლოთო. შალკელმა **ჰაიკო ვესტერმანმა** კი, მეტოქეს სისუსტეები დაცვაში აღმოუჩინა. აღსანიშნავია, რომ აქამდე "ბაიერმა" შინ მხოლოდ ერთი თამაში წააგო. მხოლოდ ერთი მატჩი დათმეს გელზენკირხენელებმაც (სტუმრად).

მოქმედი ჩემპიონი ბადენ ვიურტემბერგში ჩადის. "შტუტგარტი" მე-10 ადგილზეა, რაც ამ გუნდისთვის შარშანდელი მიღწევის კვალობაზე ძალიან ნეგატიური შედეგია. "კარლსრუეს" შვაბურ კლუბზე 5 ქულით მეტი აქვს დაგროვებული და შესაბამისად, მიმდინარე სეზონის უმთავრესი აღმოჩენაა. ასე რომ, "შტუტგარტს" შელახული რეპუტაციის გამოსწორება სურს – მით უმეტეს, რომ პირველი წრის შეხვედრა **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა მოიგო (1:0 გოტლიბდაიმლერშტადიონზე). *"დროა, "კარლსრუემ" წააგოს!"* – ამბობს შვაბთა ნახევარმცველი **თომას ჰიტცლშპერგერი**. ბალანსი "შტუტგარტის" უპირატესობაზე მეტყველებს: ბადენელებს შვაბენლანდში ბოლო შვიდი თამაშიდან შვიდივე ნაგებული აქვთ.

"არმინიისა" და "დუისბურგის" წყალწალებულთა ჯახია. ბილეფელდურ კლუბს ვერც მწვრთნელის შეცვლამ (**მიხაელ ფრონტცეკი ერნსტ მიდენდორპის** ნაცვლად) უშველა – "არმინიას" გასავარდნ ზონას მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულაღა აშორებს. "დუისბურგს" უფრო უარესად აქვს საქმე. თანაც, "ზებრებმა" ბოლო ხუთ თამაშში ოდენ 2 ქულას მოუყარეს თავი, წინა კვირას კი "შტუტგარტთან" ბოლო წამს გაშვებული გოლის გამო დამარცხდნენ. დუისბურგელთათვის დღეს ნაგება არ შეიძლება. მართალია, მარცხის შემთხვევაში მათი ბედი გადაწყვეტილი ჯერ არ იქნება, მაგრამ მაინც – თუკი ელიტაში დარჩენა სურთ, "ზებრებმა" ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ეს თამაში არ დათმონ.

დღესვე, "ვერდერი" "აინტრახტს" სტუმრობს. ბრემენელებს უნდათ, რომ სატურნირო ცხრილში "ბაიერნს" გაუსწორდნენ და მიუნხენური გიგანტიც კვირის მატჩამდე წნეხის ქვეშ მოაქციონ. ფრანკფურტელების სურვილი კი ის გახლავთ, რომ წინა კვირას განცდილი მარცხის გამო (როსტოკში 0:1) საკუთარ ქომაგებს "ვერდერთან" კარგი თამაშითა და რაღა თქმა უნდა, მიღწეული შედეგით მოუბოდიშონ. "ჰანზა" დორტმუნდის "ბორუსიას" სტუმრობს და უნდა ითქვას, რომ ფრანკ პაგელსდორფის შეგირდები მშვიდად არიან, რადგან წინა ტურში გასავარდნ ზონას 5 ქულით მოშორდნენ. შაბათის ბოლო მატჩი კი "ვოლფსბურგისა" და "ჰერტას" დაპირისპირებაა, სადაც "გამგელებული" **მარსელინიო** ყოფილ გუნდს ეთამაშება...

ხვალ კი განსაკუთრებული მატჩია: "ბაიერნი"..."ჰამბურგს" მასპინძლობს და ამ შეხვედრაში მწვრთნელები **ოტმარ ჰიტცფელდი** და **ჰუუბ სტევენსი** ერთმანეთს სავარაუდოდ უკანასკნელად შეერკინებიან. სამწუხაროდ, დიდი შანსია, რომ ორივე გუნდს ლიდერები დააკლდნენ: "ბაიერნში" **ფრანკ რიბერის** თამაშია საეჭვო, "ჰამბურგში" კი რაფაელ **ვან დერ ვაარტისა**.

ხვალვე, "ნიურნბერგი" "კოტბუსს" მასპინძლობს და შეიძლება ითქვას, რომ ფრანკებისთვის ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უეფას თასიდან გავარდნის შემდეგ ნიურნბერგელებს შეუძლიათ, აქცენტი მთლიანად ბუნდესლიგაზე გადაიტანონ და ასე ვთქვათ, მთავარს მიხედონ – რათა მეორე ბუნდესლიგაში არ დაქვეითდნენ. ფრანკებს ლაზარეთიდან **ანგელოს ხარისტეასი** და **მარეკ მინტალი** დაუბრუნდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 20 | 12 | 7 | 1 | 37-10 | 43 |
| 2. ვერდერი | 20 | 12 | 4 | 4 | 46-27 | 40 |
| 3. ჰამბურგი | 20 | 10 | 7 | 3 | 29-15 | 37 |
| 4. ლევერკუზ. | 20 | 10 | 5 | 5 | 38-21 | 35 |
| 5. შალკე | 20 | 9 | 8 | 3 | 34-22 | 35 |
| 6. კარლსრუე | 20 | 9 | 6 | 5 | 25-25 | 33 |
| 7. ვოლფსბურგი | 20 | 8 | 5 | 7 | 35-32 | 29 |
| 8. აინტრახტი | 20 | 7 | 8 | 5 | 24-25 | 29 |
| 9. ჰანოვერი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-36 | 29 |
| 10. შტუტგარტი | 20 | 9 | 1 | 10 | 29-34 | 28 |
| 11. ბოხუმი | 21 | 7 | 5 | 9 | 32-35 | 26 |
| 12. ჰერტა | 20 | 8 | 2 | 10 | 23-28 | 26 |
| 13. ბორუსია (დ) | 20 | 7 | 4 | 9 | 33-36 | 25 |
| 14. ჰანზა | 20 | 6 | 3 | 11 | 19-29 | 21 |
| 15. არმინია | 20 | 5 | 3 | 12 | 20-42 | 18 |
| 16. ნიურნბერგი | 20 | 4 | 4 | 12 | 22-33 | 16 |
| 17. კოტბუსი | 20 | 3 | 7 | 10 | 22-35 | 16 |
| 18. დუისბურგი | 20 | 4 | 2 | 14 | 20-34 | 14 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტურის წინ

# კიგანი: პირველი მოგება მანჩესტერთან?


კევინ კიგანი წარუმატებელი სერიის დასრულებას მრისხანე მეტოქესთან აპირებს

**დღეს**

**ბირმინგემი-არსენალი**
**ფულჰემი-ვესტ ჰემი**
**ლივერპული-მიდლსბრო**
**პორტსმუთი-სანდერლენდი**
**ვიგანი-დერბი**
**ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.**

**ხვალ**

**რედინგი-ასტონ ვილა**
**ბლექბერნი-ბოლტონი**

**ზეგ**

**მანჩესტერ სიტი-ევერტონი**
**ტოტენჰემი-ჩელსი** გადაიდო

უცნაური დამთხვევაა: პრემიერლიგის 27-ე ტურში ლონდონური დერბი უნდა გამართულიყო: "ტოტენჰემს" "ჩელსისათვის" უნდა ემასპინძლა. ისე მოხდა, რომ ამ გუნდებმა ლიგის თასის ფინალში გააღწიეს და ხვალ ნეიტრალურ მოედანზე, "უემბლიზე" გაარკვევენ ურთიერთობას. სათასო ფინალის შესახებ ცალკე წაიკითხავთ. აქ ინგლისის ჩემპიონატის მომავალ ტურზე ვისაუბროთ.

**კევინ კიგანის** "ნიუკასლში" დაბრუნებიდან ხუთი კვირა გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ჯორდებს ერთხელაც არ მოუგიათ. გუნდის წარუმატებელი სერია ორი თვეა გრძელდება. ბოლო ტურში "ნიუკასლმა" "ასტონ ვილასთან" 1:4 წააგო. კიგანის შეგირდები მე-13 ადგილზე იმყოფებიან. მათ გასავარდნი ზონისაგან ექვსი ქულა აშორებთ. დღეს "სენტ ჯეიმს პარკს" "მანჩესტერ იუნაიტედი" ესტუმრება. იანვარში, "ოლდ ტრეფორდზე" ამ გუნდების მატჩი "ნიუკასლის" განადგურებით დასრულდა. იმ დროს **სემ ელერდაისი** ახალი წასული იყო, ხოლო კიგანს კონტრაქტი ჯერ არ ჰქონდა გაფორმებული. ბოლო ტურში "იუნაიტედმა" შინ "მანჩესტერ სიტისთან" წააგო, 1:2. მერე ასოციაციის თასზე "არსენალს" 4:0 ასიამოვნა, ჩემპიონთა ლიგაში კი "ლიონთან" სტუმრად ფრეს მიაღწია, 1:1. "მენიუს" "არსენალისაგან" ხუთი ქულა აშორებს. პრემიერლიგაში 12 ტური დარჩა. "იუნაიტედს" ქულების განიავების უფლება აღარ აქვს.

"ნიუკასლს" ირლანდიელი გოლკიპერი **შეი გივენი** გამოუჯანმრთელდა. მწყობრში არიან აფრიკის ერთა თასიდან დაბრუნებული **ბეიე, ფაიე** და **ჯერემი**. ვერ ითამაშებს წამყვანი მცველი **სტივ კარი** და ნახევარმცველი **ემრე**. ტერფი აწუხებს აფრიკის თასიდან დაბრუნებულ **ობა მარტინსს**. დისკვალიფიკაცია მოიხადა ფრანგმა თავდამსხმელმა **შარლ ნზოგბიამ**. მანჩესტერელებს ყველა ჯანმრთელად ჰყავთ. ლიონში ნატკენი მუხლი მოიშუშა **რაიან გიგზმა** და მინდორზე გასასვლელად მზად არის.

"არსენალმა" პრემიერლიგის ბოლო რვა მატჩიდან შვიდი მოიგო. დღეს ის ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფი "ბირმინგემის" სტუმარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ "მეთოფეებს" უფრო ნაკლები პრობლემა შეექმნებათ, ვიდრე ოთხშაბათს, "მილანთან" მატჩისას. ლონდონელებს **კოლო ტურე** ვერ დაეხმარება. ის ჩემპიონთა ლიგაში დაშავდა და ორი კვირა დაისვენებს. სასჯელს იხდის მისი თანამემამულე **ემანუელ ებუე**. ეს ბიჭი "მანჩესტერ იუნაიტედთან" სათასო მატჩისას გააძევეს. გამოჯანმრთელდა ესპანელი გოლკიპერი **მანუელ ალმუნია**. მწყობრში არიან **ალექსანდ გლები** და **ემანუელ ადებაიორი**, რომლებიც "მილანთან" შეხვედრის შემდეგ ფეხს იტკიებდნენ. "ბირმინგემს" საუკეთესო ბომბარდირი **ოლივიე კაპო** დაუბრუნდება. მას "ვესტ ჰემთან" ბოლო ტურის მატჩი გაუცდა, რადგან ხუთი ყვითელი ბარათი მოხვეჭა მოახერხა, ეს კი ავტომატურ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს.

სამშაბათს "ლივერპულმა" "ინტერს" მოუგო და სული მოითქვა. მერსისაიდელები "მიდლსბროს" მასპინძლობენ. გამარჯვების შემთხვევაში ისინი თანაქალაქელ "ევერტონს" გადაასწრებენ. ევერტონელები "მანჩესტერ სიტის" ორშაბათს ხვდებიან. "ლივერპულს" პრემიერლიგის ბოლო შვიდ შეხვედრაში ერთი გამარჯვება აქვს. გასულ უქმეებზე ისინი ინგლისის ლიგის თასსაც გამოეთიშნენ. **რაფა ბენიტესს** დაცვაში პრობლემები აქვს. **ჯეიმი კარაგერი** დისკვალიფიკაციას იხდის. **მარტინ შკრტელს** ტრავმა აქვს. **დანიელ აგერს** ტრავმის მოშუშების შემდეგ ჯერ არ უთამაშია. დაცვის ცენტრში **სემი ჰიიპიას** გვერდით, შეიძლება, **ალვარო არბელოა** ვიხილოთ.

"მიდლსბროს" **დევიდ ვიტერი** დაუბრუნდა (სასჯელი მოიხადა). **რობერტ ჰუთისა** და **თუნჯაი სანლის** თამაშის საკითხი მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდება. ჰუთს "შეფილდ იუნაიტედთან" სათასო პაექრობა გაუცდა. თუნჯაიმ ტრავმა თითქმის მოიშუშა და მსუბუქად ვარჯიშობს.

"ევერტონი" "მანჩესტერ სიტის" ესტუმრება და შეეცდება, დაამტკიცოს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის ღირსია. "სიტი" ჩინებულ განწყობაზეა. ორი კვირის წინ მან "იუნაიტედი" დაამწუხრა. ნახევარმცველმა **ელანო ბლუმერმა** და მცველმა **ვედრან კორლუკამ** სასჯელები მოიხადეს, რის გამოც მანჩესტერული დერბი გაუცდათ. გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი **მაიკლ ჯონსონი**, რომელსაც ორი თვეა, არ უთამაშია. ევერტონელებს ნიგერიელი მცველი **ჯოზეფ იობო** დაუბრუნდებათ. ის "ბრანთან" უეფას თასის მატჩში არ ათამაშეს, რადგან გაფრთხილების შემთხვევაში, მომდევნო რაუნდის გამოტოვება მოუწევდა.

"ასტონ ვილას" ახალგაზრდა თავდამსხმელი **გაბრიელ აგბონლაორი** გამოუჯანმრთელდა. მუხლის ტრავმის გამო მან შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშა. ბირმინგემელები "რედინგს" სტუმრობენ. **მარტინ ონილს** სხვა საკადრო პრობლემები არ აქვს. ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება მათ მეტოქესაც.

"პორტსმუთს" "სანდერლენდის" გამასპინძლებაში **ჯერმეინ დეფო** დაეხმარება. მან "პრესტონთან" ასოციაციის თასზე ვერ იასპარეზა, რადგან ამ ტურნირში "ტოტენჰემის" შემადგენლობაში აქვს ნათამაშევი. "სანდერლენდს" ნახევარმცველი **კირან რიჩარდსონი** დააკლდება. ექვსი კვირის წინ, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში "პორტსმუთს" ორივე გოლი რიჩარდსონმა გაუტანა.

ვიგანელებს იმედი აქვთ, რომ "დერბისთან" **ემილ ჰესკი** ითამაშებს. "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს ზურგის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენა თავი. "ბოლტონი", რომელმაც უეფას თასზე მადრიდის "ატლეტიკო" დაამარცხა, ბლექბერნში ჩავა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 26 | 19 | 6 | 1 | 54-18 | 63 |
| 2. მანჩ. იუნ | 26 | 18 | 4 | 4 | 50-14 | 58 |
| 3. ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38-17 | 55 |
| 4. ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41-23 | 47 |
| 5. ლივერპული | 25 | 11 | 11 | 3 | 40-17 | 44 |
| 6. ასტონ ვილა | 26 | 12 | 8 | 6 | 48-34 | 44 |
| 7. მანჩ. სიტი | 26 | 12 | 8 | 6 | 34-29 | 44 |
| 8. პორტსმუთი | 26 | 11 | 8 | 7 | 36-26 | 41 |
| 9. ბლექბერნი | 26 | 10 | 9 | 7 | 32-33 | 39 |
| 10. ვესტ ჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 30-23 | 37 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 26 | 7 | 8 | 11 | 23-38 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 26 | 7 | 7 | 12 | 29-47 | 28 |
| 14. სანდერლ. | 26 | 7 | 5 | 14 | 26-45 | 26 |
| 15. ბოლტონი | 26 | 6 | 7 | 13 | 26-35 | 25 |
| 16. ვიგანი | 26 | 6 | 5 | 15 | 24-42 | 23 |
| 17. ბირმინგემი | 26 | 5 | 7 | 14 | 25-38 | 22 |
| 18. რედინგი | 26 | 6 | 4 | 16 | 30-53 | 22 |
| 19. ფულჰემი | 26 | 3 | 10 | 13 | 25-44 | 19 |
| 20. დერბი | 26 | 1 | 6 | 19 | 13-55 | 9 |

ინგლისის ლიგის თასი. ფინალი

# ჩელსისთვის რიგითი, ტოტენჰემისთვის განსაკუთრებული

## ლიგის თასის მფლობელმა კლუბმა ტიტული უკანასკნელად 1990 წელს შეინარჩუნა...


ხუანდე რამოსი სათასო ტურნირების დიდოსტატად ითვლება

**ტოტენჰემი-ჩელსი**

დღევანდელი ფინალი "ჩელსისათვის", შეიძლება, ბევრს არაფერს ნიშნავდეს. "ტოტენჰემისათვის" კი თასის დაუფლება დიდი პროგრესის ნიშანი იქნება. ამ კლუბების ურთიერთობას საინტერესო ისტორია აქვს. თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში "ტოტენჰემი" "ჩელსიზე" უფრო მდიდარი და პრესტიჟული კლუბი იყო. მაგრამ დროება შეიცვალა. დღეს "მამლების" ფინანსური რესურსები "არისტოკრატების" სიმდიდრესთან ახლოსაც ვერ მოვა. ბოლო წლებში "ჩელსი" ევროპული ფეხბურთის გრანდად იქცა. "ტოტენჰემი" კი ინგლისშიც საშუალო დონის კლუბია.

**ავრამ გრანტის** გუნდი ოთხი ტიტულისათვის იბრძვის და ლიგის თასს პრიორიტეტების ნუსხაში უკანასკნელი ადგილი უკავია. **ხუანდე რამოსის** გუნდი უეფას თასის 1/8 ფინალშია, მაგრამ ევროპულ ტიტულამდე ოთხი ეტაპის გადალახვაა საჭირო. ლიგის თასის დაუფლებამდე კი ერთი ნაბიჯია. გამარჯვების შემთხვევაში, "მამლები" ბოლო ცხრა წელიწადში პირველ ჯილდოს მოიპოვებენ.

ბოლო ცხრა წელიწადში "არისტოკრატებმა" ორჯერ გაიმარჯვეს პრემიერლიგაში, ორჯერ დაეუფლნენ ასოციაციის თასს და კიდევ ორჯერ - ლიგის თასს, მათ შორის გასულ სეზონშიც, როდესაც ფინალში კიდევ ერთი თანაქალაქელი "არსენალი" დაამარცხეს. სტატისტიკის თანახმად, "ჩელსი" "ტოტენჰემისათვის" ერთ-ერთი ურთულესი მეტოქეა. 1990 წლის შემდეგ ამ გუნდებმა 42 მატჩი ჩაატარეს. "მამლებმა" მხოლოდ ორჯერ მოახერხეს გამარჯვება.

ლიგის თასის შარშანდელი ფინალი კარდიფის "მილენიუმ სთედიუმზე" გაიმართა. განახლებული "უემბლი" პირველ ინგლისურ სათასო ფინალს უმასპინძლებს. ამ ისტორიულ შეხვედრაში "ჩელსი" უპირობო ფავორიტია. ზემოთ მოყვანილ სტატისტიკას რომ თავი დავანებოთ, "არისტოკრატები" ისედაც იშვიათად აგებენ. ამ სეზონში ჩატარებული 41 მატჩიდან გუნდმა მხოლოდ სამი დათმო - უკანასკნელად "არსენალთან" 16 დეკემბერს. "ჩელსის" წაუგებელი სერია 16 მატჩს მოიცავს.

გუნდს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. **დიდიე დროგბა** და **მიკაელ ესიენი** აფრიკის თასიდან დაბრუნდნენ. **ჯონ ტერიმ** და **ფრენკ ლემპარდმა** მძიმე ტრავმები მოიშუშეს. "არისტოკრატებმა", "ტოტენჰემისაგან" განსხვავებით, ახალ "უემბლიზე" ორჯერ ითამაშეს: შარშანდელი ასოციაციის თასის ფინალში "მანჩესტერ იუნაიტედთან" და იმავე მეტოქესთან ინგლისის სუპერთასზე (ქომიუნითი შილდი).

მაგრამ დღევანდელი "ტოტენჰემი" ბევრად აღემატება იმ გუნდს, რომელმაც წლევანდელი სეზონი დაიწყო. **ხუანდე რამოსმა** გუნდი საგრძნობლად გააძლიერა. მიმომხილველები ამას მკაცრ დიეტასა და ფიზმომზადების დონის ამაღლებას მიაწერენ. "ტოტენჰემის" სიძლიერეზე მეტყველებს ლიგის თასის ნახევარფინალში დატრიალებული ამბები - "მამლებმა" "არსენალს" ორი თამაშის ჯამში 6:2 მოუგეს. რამოსის დანიშვნის შემდეგ "ტოტენჰემმა" 27 ჩაატარა და მხოლოდ ხუთი წააგო. ესპანელ მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ დააყენოს კარში: ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე **პოლ რობინსონი**, თუ **რადეკ ჩერნი**. დაშავებულია ცენტრალური მცველი და კაპიტანი **ლედლი კინგი**, აგრეთვე წამყვანი ცენტრალური ნახევარმცველი **მაიკლ დოსონი**.

ამ გუნდების მეტოქეობას 99-წლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მათ 135 მატჩი გამართეს, მაგრამ სათასო ფინალში მხოლოდ ერთხელ უთამაშიათ. ეს შორეულ 1967 წლის ასოციაციის თასის ფინალში მოხდა. "ტოტენჰემმა" 2:1 მოიგო. "ჩელსის" რევანში აქვს ასაღები, თანაც მისი თავკაცი ავრამ გრანტი პირველ ინგლისურ ტიტულს მოიპოვებს. მისმა წინამორბედმაც ასე დაიწყო. **ჟოზე მოურინიოს** პირველი ინგლისური ჯილდო 2005 წლის ლიგის თასი გახლდათ.

დასასრულს, რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია სტატისტიკის მოყვარულთათვის: დღეს ინგლისის ლიგის თასის 48-ე ფინალი გაიმართება. თასის მფლობელმა ტიტული მხოლოდ ხუთჯერ შეინარჩუნა: "ნოტინგემ ფორესტი" მას 1978 და 1979, აგრეთვე 1989 და 1990 წლებში დაეუფლა, ხოლო "ლივერპული" ლიგის თასის უცვლელი მფლობელი იყო ოთხი წლის განმავლობაში — 1981-84 წლებში. "ჩელსის" ეს თასი ოთხჯერ აქვს მოგებული. რეკორდსმენია "ლივერპული" — შვიდი მოგება. მას ხუთი მოგებით "ასტონ ვილა" მოსდევს. "ტოტენჰემის" მუზეუმში სამი თასი ინახება. "ჩელსიცა" და "ტოტენჰემიც" ლიგის თასის ფინალში მეექვსედ ითამაშებენ. ფინალში გასვლა უფრო ბევრჯერ "ლესტერმა" (10), "ასტონ ვილამ" (7), "არსენალმა", "მანჩესტერ იუნაიტედმა" და "ნოტინგემ ფორესტმა" (6) მოახერხეს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, რიკარდო კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, ესიენი, მაკელელე, ბალაკი, ლემპარდი, ჯო კოული, დროგბა.

**ტოტენჰემი:** რობინსონი (ან ჩერნი), ჰატონი, კინგი, ვუდგეიტი, შიმბონდა, ლენონი, ჰადლსტონი, ჯენასი, მალბრანკი, რობი კინი, ბერბატოვი.

**მსაჯი:** მარკ ჰელსი


ავრამ გრანტი პირველი ინგლისური ტიტულის დაუფლებას აპირებს

უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# გერმანელების ევროტურნირი

## მერვედფინალში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ბუნდესლიგას ჰყავს...

უეფას თასზე გერმანული კლუბების ჰეგემონია გრძელდება. 1/16 ფინალში ბუნდესლიგის 5 წარმომადგენელი იყო და მერვედფინალში მხოლოდ ერთმა (ნიურნბერგი) ვერ გააღწია, მაგრამ დარჩენილი 16 გუნდიდან ყველაზე მეტი მაინც გერმანიიდანაა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ "ლევერკუზენმა" და "ბაიერნმა" გამანადგურებელი ანგარიშებით (5:1) მოიგეს. თუმცა დაფიქსირდა კიდევ უფრო სასტიკი შედეგიც: "ევერტონმა" "ბრანს" 6 გოლი გაუტანა და მხოლოდ ერთი მიიღო. სენსაცია ფაქტობრივად არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ "ბოლტონისა" და "ატლეტიკოს" წყვილში ექსპერტები უფრო ესპანური კლუბის გამარჯვებას ელოდებოდნენ...



რეინჯერსი მერვედფინალში ნოვოს ამ გოლმა გაიყვანა

| ხუთშაბათი | |
|---|---|
| ლევერკუზენი-გალათასარაი | 5:1 (0:0) |
| ჰამბურგი-ციურიხი | 0:0 (3:1) |
| სპარტაკი-მარსელი | 2:0 (0:3) |
| პანათინაიკოსი-რეინჯერსი | 1:1 (0:0) |
| ბაიერნი-აბერდინი | 5:1 (2:2) |
| ჰელსინგბორგი-ეინდჰოვენი | 1:2 (0:2) |
| ტოტენჰემი-სლავია | 1:1 (2:1) |
| ფიორენტინა-რუსენბორგი | 2:1 (1:0) |
| ხეტაფე-აეკ | 3:0 (1:1) |
| ატლეტიკო-ბოლტონი | 0:0 (0:1) |
| ბორდო-ანდერლეხტი | 1:1 (1:2) |
| ვილიარეალი-ზენიტი | 2:1 (0:1) |
| ევერტონი-ბრანი | 6:1 (2:0) |
| ბაზელი-სპორტინგი | 0:3 (0:2) |
| ნიურნბერგი-ბენფიკა | 2:2 (0:1) |
| ბრაგა-ვერდერი | 0:1 (0:3) |

ბუნდესლიგელთაგან ყველაზე უარეს მდგომარეობაში "ნიურნბერგი" იყო. ფრანკებს ლისაბონის "ბენფიკასთან" ჰქონდათ საქმე და პირველი თამაში პორტუგალიის დედაქალაქში 0:1 წააგეს. თუმცა ეს არ იყო გამოუვალი მდგომარეობა და ისიც უნდა ითქვას, რომ **თომას ფონ ჰეეზენის** შეგირდებმა იმის კვალობაზე, რომ გერმანიის ჩემპიონატში ძალიან ცუდად გამოიყურებიან, "ბენფიკასთან" საკმაოდ კარგად ითამაშეს. "ნიურნბერგს" ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმში რამდენჯერმე შეეძლო, მაგრამ ჯერ **ხარისტეასმა** (მე-40 წუთი), მერე კი **საენკომ** (45) კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს. ლისაბონელთაგან კი, პირველ ნახევარში საუკეთესო შანსი **პეტიტს** მიეცა, რომელმაც ასევე ვერ ივარგა.

შესვენების შემდეგ "ნიურნბერგმა" უკანმოუხედავად შეუტია და "ბენფიკა" საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა, რამაც შედეგი მალევე გამოიღო: 58-ე წუთზე ხარისტეასმა ლისაბონელთა მეკარე **კუიმს** ბურთი ფეხებშუა გაუტარა - 1:0. შვიდი წუთის შემდეგ **პინოლას** დარტყმული "ბენფიკის" კარის ძელს მოხვდა, მაგრამ დამატებაზე საენკომ ივარგა და სხვაობა ორამდე გაზარდა. ფრანკებმა ანგარიში 89-ე წუთამდე შეინარჩუნეს და ის ის იყო, "ფრანკენშტადიონზე" შეკრებიმა ქომაგებმა სიმღერა შემოსძახეს, რომ ჯერ **კარდოსომ** სხვაობა შეამცირა, რის შემდეგაც ნიურნბერგელებმა მოლოდინისამებრ დაცვის არსებობა დაივიწყეს და თავქუდმოგლეჯილები უტევდნენ, მერე კი **დი მარიამ** მეორეჯერ დალაშქრა **იარომირ ბლაჟეკის** კარი და მასპინძლები საბოლოოდ დაამშვიდა.

"ლევერკუზენს" სტამბულში ერთი საგოლე მომენტიც კი არ ჰქონია და შეგახსენებთ, რომ ის მატჩი 0:0 დასრულდა. სამაგიეროდ, **მიხაელ სკიბეს** შეგირდები დანაკლისის ანაზღაურებას საპასუხო მატჩში გეგმავდნენ, რაც იდეალურად გამოუვიდათ, თანაც იმ განსხვავებით, რომ მომენტები გამოიყენეს კიდეც. **რენე ადლერის** გარეშე დარჩენილი "ბაიერი" (ლევერკუზენელთა კარს სათადარიგო კიპერი **ფერნანდესი** იცავდა) თავიდანვე შეუდგა გოლების გატანას. მე-11-დან 22-ე წუთამდე მასპინძლებმა სამი გოლის გატანა შეძლეს - **სერგეი ბარბარესმა** დუბლი შეასრულა, ერთიც **შტეფან კისლინგმა** გაიტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "გალათასარაიმ" სკიბეს გუნდს ვერაფერი დაუპირისპირა - თურქებმა ვერც მეორე ტაიმში მოახერხეს გარდატეხის შეტანა და უფრო მეტიც: კიდევ ორი გოლი მიიღეს (**ჰაგი, შნაიდერი**). ერთადერთი, რაც თურქულმა კლუბმა შეძლო, 87-ე წუტზე **ბარუსოს** მიერ გატანილი პრესტიჟის გოლი (პენალტით) გახლდათ. შესაბამისი იყო "გალათასარაის" მთავარი მწვრთნელის, **კარლ-ჰაინც ფელდკამპის** კომენტარიც, რომელმაც ნამატჩევს თქვა, ერთი წუთის მანძილზეც კი ვერ ვითამაშეთ გამართული ფეხბურთიო.

"ჰამბურგმა" "ციურიხთან" თავი დაზოგა, რაც მოსალოდნელიც გახლდათ, რადგან HSV-ს ხვალ უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს "ბაიერნთან". თანაც, **ჰუუბ სტევენსის** გუნდს პირველი მატჩი (სტუმრად) 3:1 ჰქონდა მოგებული. ჰოდა, არცაა გასაკვირი, ჰამბურგელებმა ამჯერად მხოლოდ თამაშის კონტროლი რომ იკმარეს და გოლების გასატანად თავი რომ არ მოუკლავთ. საბოლოოდ 0:0, რითაც მერვედფინალში სტევენსის გუნდი გავიდა და აი, ყველაზე საინტერესო დეტალიც: მერვედფინალში "ჰამბურგი" "ლევერკუზენს" უნდა შეხვდეს. ანუ, გერმანული ჯახი იქნება!

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემები არც "ბაიერნს" შეექმნა და ისიც უნდა ითქვას, რომ **ოტმარ ჰიტცფელდის** ბიჭებს, რომლებიც "აბერდინს" მასპინძლობდნენ, ჰამბურგელებისგან განსხვავებით თავი არ დაუზოგავთ. საინტერესო ისაა, რომ ჰიტცფელდმა ძირითად შემადგენლობაში **კროოსი, ოტლი, იანსენი** და **პოდოლსკი** ათამაშა. პირველი ორი გოლი მცველებმა, **ლუსიომ** (ჯარიმით) და **ვან ბუიტენმა** გაიტანეს. მერე იყო პოდოლსკის დუბლი, ბოლო გოლი კი **ვან ბომელის** ანგარიშზეა. მანამდე, მიუნხენელებმა მეტოქეს ერთი გოლი "გაატანინეს"...

მარსელის "ოლიმპიკი" და გლაზგოს "რეინჯერსი" მერვედფინალში დიდი ბრძოლის შედეგად გავიდნენ. ფრანგულმა კლუბმა მოსკოვში "სპარტაკთან" 0:2 წააგო, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გააღწია, რადგან პირველი თამაში 3:0 ჰქონდა მოგებული. მოსკოველთაგან გოლები **პავლენკომ** და **პავლიუჩენკომ** გაიტანეს. ამ უკანასკნელმა 84-ე წუთზე იხეირა, მაგრად რუსებს მესამე გოლისთვის დრო აღარ ეყოთ. შოტლანდიელებმა კი საბერძნეთში ფრეს (1:1) მიაღწიეს და რაკი შინ "პანათინაიკოსთან" 0:0 ჰქონდათ ნათამაშები, მერვედფინალში გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ბერძნები ფაქტობრივად მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ და გლაზგოელებმა წონასწორობის აღდგენა ოდენ 81-ე წუთზეღა შეძლეს (**ნოვო**).

"ფიორენტინამ" ნორვეგიული "რუსენბორგი" უპრობლემოდ, ძალების ზედმეტი დახარჯვის გარეშე დაიფრინა. სტუმრად 1:0 მოგების შემდეგ, ფლორენციელებმა ტრონდჰეიმელები საკუთარ მოედანზეც დაამარცხეს (2:1) - გოლები **ლივერანისა** და **კაჩას** ანგარიშზეა. **კონეს** საპასუხო გოლი კი უბრალოდ მატჩის კოსმეტიკა გახლდათ და მეტი არაფერი. "ფიორენტინა" უეფას თასზე შემორჩენილი ერთადერთი იტალიური კლუბია, რომელიც მერვედფინალში ინგლისურ "ევერტონს" შეხვდება. ლივერპულელებმა თავის მხრივ "ბრანს" გაუთენეს შავი დღე (6:1) - **იაკუბუ აიეგბენიმ** ჰეთ-თრიკი შეასრულა. აქვე გეტყვით, რომ პრემიერლიგის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა "ბოლტონმა" "ატლეტიკო" გამოაგდო. ინგლისელებს შინ 1:0 ჰქონდათ მოგებული და მადრიდში უგოლო ფრეს მიაღწიეს.

მომდევნო ეტაპზე გააღწია ჰოლანდიურმა "ეინდჰოვენმაც" - პსვ-მ გზიდან შვედური "ჰელსინგბორგი" ჩამოიშორა. ესპანურმა "ხეტაფემ" ბერძნული აეკ გაანადგურა (3:0) და ასევე მერვედფინალში იასპარეზებს ("ბენფიკას" შეხვდება). მაგრამ "ხეტაფეს" "ატლეტიკოს" დარად ვერც კიდევ ერთმა ესპანურმა კლუბმა "ვილიარეალმა" აუბა მხარი - ეს უკანასკნელი სანკტ პეტერბურგის "ზენიტთან" გავარდა. "ტოტენჰემმა" და "სლავიამ" ფრედ 1:1 ითამაშეს, მაგრამ პირველი მატჩი "მამლებს" 2:1 ჰქონდათ მოგებული.

ბოლო (ყველაზე გვიანი) მატჩი კი როგორც ყოველთვის, პორტუგალიაში შედგა - "ბრაგამ" ბრემენის "ვერდერს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. "მუსიკოსთაგან" ერთადერთი გოლი **ივან კლასნიჩმა** გაიტანა. ამრიგად, "ვერდერი" უეფას თასისთვის ბრძოლად აგრძელებს და შეგახსენებთ, რომ **თომას შააფის** ბიჭები ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრებიან. მერვედფინალში "მუსკოსთა" მეტოქე "რეინჯერსი" იქნება. კიდევ ერთმა პორტუგალიურმა კლუბმა "სპორტინგმა" კი შვეიცარიული "ბაზელის" ბარიერი გადალახა.



ბაიერნი-აბერდინი. ვან ბუიტენს გააქვს გოლი შოტლანდიელთა კარში

| 1/8 ფინალი |
|---|
| ანდერლეხტი-ბაიერნი |
| რეინჯერსი-ვერდერი |
| ბოლტონი-სპორტინგი |
| ლევერკუზენი-ჰამბურგი |
| ხეტაფე-ბენფიკა |
| ფიორენტინა-ევერტონი |
| ტოტენჰემი-ეინდჰოვენი |
| მარსელი-ზენიტი |

*პირველი მატჩები 6 მარტს გაიმართება, საპასუხო 13 მარტს*

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXV ტურის წინ

# შუსტერს ყოფილი გუნდი ესტუმრება

**დღეს**

ვალენსია-რეკრეატივო
სევილია-სარაგოსა

**ხვალ**

ოსასუნა-ატლეტიკო
ბილბაო-ვილიარეალი
რასინგი-ალმერია
მურსია-ვალიადოლიდი
მალიორკა-ბეტისი
დეპორტივო-ესპანიოლი
ბარსელონა-ლევანტე
რეალი-ხეტაფე

"რომასთან" მარცხის შემდეგ **ბერნდ შუსტერს** გვარიანი შრომა დასჭირდა იმისთვის, რომ ჯერ თავად დაეძლია მცირე დეპრესია და შემდეგ საკუთარ შეგირდებს დახმარებოდა განწყობის გაუმჯობესებაში. გერმანელის ძალისხმევამ კარგი შედეგი გამოიღო. "რეალის" ფეხბურთელები ახლა ილიმიან და ჩვეული შემართებით ემზადებიან. "ხეტაფესთან" საშინაო შეხვედრაში სამეფო კლუბი, რა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მადრიდელებს პრობლემა საერთოდ არ აწუხებთ. სამედიცინო შტაბის გადაწყვეტილებით, **გუტისა** და **მიჩელ სალგადოს** ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიში აეკრძალათ. მათ მიკროტრავმები აწუხებთ, ამიტომ ფიზმომზადების სპეციალისტების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ინდივიდუალურად ვარჯიშობენ. ამასობაში, ჰერ შუსტერს კიდევ ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია შეატყობინეს. საქმე ამჯერად **სერხიო რამოსს** ეხება. მადრიდული გრანდის ახალგაზრდა მცველს პარასკევის ვარჯიშზე ფეხი გადაუბრუნდა და კოჭი გაუსივდა. თუ ექიმები კვირამდე სასწაულს არ მოახდენენ, რამოსი "ბერნაბეუზე" გასვლას ვერ მოახერხებს. "დიარიო მარკას" ჟურნალისტების ვარაუდით, შუსტერი **ვან ნისტელროის** ჯანმრთელობითაც არ გარისკავს და ახლახან ტრავმამომუშებულ ჰოლანდიელს სათადარიგოთა სკამზე დასვამს. მის ნაცვლად კი **ხავიერ სავიოლას** ათამაშებს. ვერ გეტყვით რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა, მაგრამ "დიარიო მარკა" აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სამეფო კლუბიდან ინკოგნიტო ინფორმატორის წყალობით მოიპოვეს.

"სელტიკთან" გასვლით საჩემპიონთალიგო შეხვედრაში გამარჯვებითა და პრიმერა დივიზიონში "რეალთან" სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირებით გახარებული "ბარსელონა" "კამპ ნოუზე" "ლევანტესგან," ალბათ, არაფერს დატოვებს. რა თქმა უნდა, კატალონიური გრანდი უპირობო ფავორიტია. სხვათა შორის, გარკვეული საკადრო პრობლემა **ფრენკ რაიკაარდსაც** შეექმნა. საინფორმაციო სააგენტო "ეფეს" თუ დავუჯერებთ, **რაფაელ მარკესის** თამაში გამოირიცხა. მექსიკელმა მცველმა "სელტიკთან" შეხვედრისას მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. ბარსელონაში დაბრუნების შემდეგ რაფას ტკივილმა უმატა. პარასკევს კი ექიმებმა მას ბარძაყის არეში დიდი ჰემატომა აღმოუჩინეს. საბედნიეროდ, ფეხბურთელს კუნთი არ გაწყვეტია, თუმცა "ლევანტესთან" მაინც ვერ ითამაშებს. მიკროტრავმები **ტიერი ანრისა** და **დეკუსაც** აწუხებდათ, მაგრამ მათ მატჩის გამოტოვების საფრთხე არ ემუქრებათ. მარკესს თუ არ ჩავთვლით, რაიკაარდს საშუელება აქვს, პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერებს საუკეთესო შემადგენლობა დაუპირისპიროს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 24 | 18 | 2 | 4 | 54-20 | 56 |
| 2. ბარსელონა | 24 | 15 | 6 | 3 | 44-16 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 24 | 13 | 4 | 7 | 41-34 | 43 |
| 4. ატლეტიკო | 24 | 12 | 5 | 7 | 39-25 | 41 |
| 5. ესპანიოლი | 24 | 11 | 6 | 7 | 35-30 | 39 |
| 6. სევილია | 24 | 11 | 3 | 10 | 46-33 | 36 |
| 7. ალმერია | 24 | 10 | 6 | 8 | 21-21 | 36 |
| 8. რასინგი | 24 | 9 | 8 | 7 | 23-25 | 35 |
| 9. ვალენსია | 24 | 10 | 4 | 10 | 27-34 | 34 |
| 10. სარაგოსა | 24 | 7 | 8 | 9 | 36-38 | 29 |
| 11. მალიორკა | 24 | 6 | 11 | 7 | 33-35 | 29 |
| 12. ბილბაო | 24 | 7 | 8 | 9 | 22-24 | 29 |
| 13. ხეტაფე | 24 | 8 | 5 | 11 | 28-32 | 29 |
| 14. ბეტისი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-35 | 28 |
| 15. რეკრეატივო | 24 | 7 | 7 | 10 | 23-33 | 28 |
| 16. ვალიადოლ. | 24 | 7 | 7 | 10 | 31-42 | 28 |
| 17. ოსასუნა | 24 | 7 | 5 | 12 | 25-30 | 26 |
| 18. დეპორტივო | 24 | 6 | 6 | 12 | 26-37 | 24 |
| 19. მურსია | 24 | 5 | 8 | 11 | 20-33 | 23 |
| 20. ლევანტე | 24 | 4 | 4 | 16 | 19-42 | 16 |

ვარსკვლავი

# გასკოინი დააპატიმრეს

## პოლიციის მარწუხებში უცნობი დროის განმავლობაში

ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **პოლ გასკოინი** პოლიციაში მიაბრძანეს. ის ლონდონის "ჰილტონის" სასტუმროში დააპატიმრეს, თუმცა იქ არაფერი დაუშავებია. სამართალდამცველებს ნიუკასლის "მალმეზონის" სასტუმროდან დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ გაზა გამომწვევად იქცეოდა და სხვა სტუმრებს საფრთხეს უქმნიდა.

"სანის" მიმომხილველმა მაშინვე "მალმეზონში" დარეკა. სასტუმროს ადმინისტრატორმა ინციდენტის დეტალები დაწვრილებით გაიხსენა: *"მისტერ გასკოინი ჩვენთან ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა. წინა დღეებში საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს. ის ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა, მაგრამ ერთ საღამოს პორტიეს დაემუქრა. მეორე დილით მას დამ მოაკითხა და წაიყვანა."*

პოლი ლონდონში გაემგზავრა და "ჰილტონში" გაჩერდა. მაგრამ იქ ღამის გათენებაც კი ვერ მოასწრო. "ჰილტონში" პოლიციის ზარი გაისმა. სამართალდამცველებმა იკითხეს, მათ სასტუმროში ცხოვრობდა თუ არა გასკოინი. სასტუმრომ პოლიციას, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. ისინიც "ჰილტონს" ეწვივნენ და ხულიგნობაში ეჭვმიტანილი ვარსკვლავი უხმაუროდ დააპატიმრეს. გაზას პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მის დაპატიმრებას უთვალავი ვიდეო და ფოტო- კამერა აფიქსირებდა. უცნობია, როგორ შეიტყო ბრიტანეთის ყვითელმა პრესამ, რომ ოპერაცია ზუსტად იმ დროს და ზუსტად იმ სასტუმროში ტარდებოდა.

"ჰილტონის" წარმომადგენელმა "სანს" ბევრი ვერაფერი უამბო - პოლი ჩვენთან იმ დღეს გაჩერდა. ის სხვა სასტუმროში მომხდარი ამბის გამო დააკავეს. მე მხოლოდ ის შემიძლია, მოგახსენოთ, რომ პოლიციასთან ვითანამშრომლეთ და მას ყველანაირი დახმარება აღმოვუჩინეთ. პოლიციის პრესმდივანმა დაადასტურა ინფორმაცია 40 წლის მამაკაცის დაკავების შესახებ, მაგრამ დეტალებზე საუბრისაგან თავი შეიკავა. გასკოინის მამისა და დის სახლებში ტელეფონს არავინ უპასუხა, რომ დაპატიმრების შესახებ ოჯახის წევრების აზრი მოესმინათ.



პოლ გასკოინი




მარკო ვან ბასტენი
მშობლიურ აიაქსში ბრუნდება

დანიშვნა

# ვან ბასტენი: აიაქსში ოთხი წლით

მომავალი სეზონიდან "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** იქნება. ჰოლანდიურმა სააგენტოებმა ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელეს. ვან ბასტენის დანიშვნა მოსალოდნელი იყო.

ამსტერდამულ გრანდში მასშტაბური ცვლილებები ხდება. მთლიანად იცვლება გუნდის სტრუქტურა და მმართველობა. ორიოდე დღის წინ "აიაქსის" დირექტორატი მთელი შემადგენლობით გადადგა. იმავე დღეს გავრცელდა ცნობა "აიაქსში" **იოჰან კრუიფის** დაბრუნების თაობაზე. ლეგენდარულ ჰოლანდიელს სპორტულ დირექტორად დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. მაშინვე გამოითქვა მოსაზრება, რომ თუ კლუბის გაძღოლას კრუიფს დააკისრებდნენ, ის მთავარ მწვრთნელად ვან ბასტენს მიიწვევდა.

და აი, ვარაუდი ახდა. მარკო ამ სეზონს ჰოლანდიის ნაკრებში ჩაამთავრებს და გუნდს ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს. ტურნირის დასრულების შემდეგ, იმის მიუხედავად, თუ რას მიაღწევენ "ნარინჯისფერები", ვან ბასტენი ნაკრებს გამოეთხოვება და "ამსტერდამ არენაზე" განაგრძნობს კარიერას. კონტრაქტი უკვე გაფორმდა. მარკო "აიაქსში" მომდევნო ოთხ სეზონს გაატარებს. მისი ასისტენტები **ჯონ ვანტ სხიპი** და **რობ ვიჩგე** იქნებიან, ვისთან ერთადაც ჰოლანდიის ნაკრებში მუშაობს. 43 წლის ვან ბასტენი **ედრი კოსტერს** შეცვლის. ამ უკანასკნელს გუნდის გაძღოლა გასულ ზაფხულს, **ჰენკ თენ კეიტის** "ჩელსიში" წასვლის შემდეგ დააკისრეს.

მარკო "აიაქსში" 1981-87 წლებში თამაშობდა. 1987 წელს მან "მილანს" მიაშურა, სადაც 1995 წლამდე დარჩა. 2000 წელს ის მშობლიურ კლუბში, მეორე გუნდის მთავარ მწვრთნელად დაბრუნდა. 2004 წელს კი ჰოლანდიის ნაკრები ჩააბარეს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენზემას ესპანეთი და იტალია მოსწონს

## მანჩესტერმა ლიონს გარიგება შესთავაზაო...

"ლიონის" თავდამსხმელმა **ქარიმ ბენზემამ** ფრანგ ჟურნალისტებს განუცხადა, ინგლისურზე მეტად, ესპანურ და იტალიურ ფეხბურთს ვაფასებო: *"ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზ ფეხბურთს ესპანეთში თამაშობენ. მეორე ადგილზე იტალიას ვაყენებ. პრემიერლიგაზე არასოდეს მიოცნებია, მაგრამ ინგლისში დიდი გუნდები თამაშობენ და არ გამოვრიცხავ, კარიერა რომელიმე მათგანში გავაგრძელო."* სპეკულაციების თანახმად, ბენზემას შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედს" სურს. ოთხშაბათს "ეშმაკებმა" "ლიონთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი გამართეს (1:1). ბენზემამ მეტოქეს გოლი უძღვნა. ინგლისელი მიმომხილველების ცნობით, "იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ შემთხვევით ისარგებლა და ფრანგებს ფორვარდის ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა.

ბენზემას ესპანური გრანდების შეფასება სთხოვეს. აი, მისი მოსაზრება: *"ყველაზე მეტად "ბარსელონა" მომწონს. ჩემი აზრით, ის ყველაზე ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს. თანაც „ბარსაში" გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ. ახალგაზრდებს ყოველთვის ეძლევათ თავის გამოჩენის შანსი. „რეალიც" შესანიშნავი გუნდია, მაგრამ ხანდახან ის აქცენტს დაცვაზე ათებს. „ბარსელონა" კი საკუთარ სტილს არასოდეს ღალატობს."*




ქარიმ ბენზემა

### ტრაპატონი მაისში დაიწყებს

**ჯოვანი ტრაპატონი** ირლანდიის ნაკრების გაწვრთნას მაისში შეუდგება. ის მომავალ შეგირდებს პორტუგალიაში გაიცნობს. გადაწყდა, რომ მაისის შუა რიცხვებში, იმ დროს, როცა ევროპაში საკლუბო სეზონი დამთავრებული იქნება, ირლანდიელები პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ალგარვეში შეიკრიბებიან. ეს იტალიელი მაესტროს ხელმძღვანელობით გამართული პირველი საწვრთნელი შეკრება იქნება. 24 მაისს ტრაპი სადებიუტო მატჩს ჩაატარებს. მისი შეგირდები სერბეთს ამხანაგურად შეხვდებიან. აგვისტოში დაგეგმილია კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი - სტუმრად ნორვეგიასთან. სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. ტრაპატონის ირლანდიაში ჩასვლამდე დუბლინს მიაშურებს მისი ასისტენტი **მარკო ტარდელი**. ის ნაკრების კანდიდატებს ირლანდიის, შოტლანდიისა და ინგლისის ჩემპიონატებში დააკვირდება.

### გიგზი მწვრთნელობას აპირებს

**რაიან გიგზმა** მწვრთნელობა გადაწყვიტა. 34 წლის უელსელს უეფას სამწვრთნელო ლიცენზიის მოპოვება სურს. **სერ ალექს ფერგიუსონმა** შეგირდს "მანჩესტერ იუნაიტედის" სამწვრთნელო შტაბში რაიმე პოსტი აღუთქვა. გიგზი სწავლას ამ ზაფხულს, კარდიფში შეუდგება. ის დღევანდელი "იუნაიტედის" ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია და პენსიაში გასვლაზე ჯერ არ ფიქრობს. ფერგი მწვრთნელობას კიდევ ორ შეგირდს - **გარი ნევილსა** და **პოლ სქოულზს** უწინასწარმეტყველებს. **ოლე გუნარ სოლსკიაერი** უკვე "მენიუს" ახალგაზრდულ გუნდში საქმიანობს. **როი კინი** კი სულ მთლად პრემიერლიგის მწვრთნელია. მოგეხსენებათ, ის "სანდერლენდის" დამრიგებელია.

### მინიატურული არგენტინელი იუვენტუსში

"იუვენტუსი" მზადაა, კონტრაქტი გაუფორმოს "ესტუდიანტესის" შემტევ ნახევარმცველ **პაბლო პიატის**. ის 18 წლისაა და მინიატურული აღნაგობა აქვს. პიატის სიმაღლე სულ რაღაც 163 სანტიმეტრია. "ტუტოსპორტის" ცნობით, ის არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. თუ "იუვენტუსი" მის შეძენას მოახერხებს, ეს მომავალზე გათვლილი ჩინებული ინვესტიცია იქნება. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. კლუბებს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

### პალოპი ვალენსიაში ბრუნდება?

"ვალენსიამ" გადაწყვიტა, სევილიელი მეკარე **ანდრეს პალოპი** შეიძინოს. 34 წლის ვეტერანი "ვალენსიის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მან ფეხბურთის თამაში ამ კლუბში დაიწყო, თუმცა პირველი პროფესიული კონტრაქტი "ვილიარეალთან" გააფორმა. 1999 წელს ის "ვალენსიაში" დაბრუნდა და "მესტალიაზე" ექვსი სეზონი გაატარა. 2005 წლის ზაფხულში ის "სევილიას" გადაულოცეს. ახლა კი დღის წესრიგში დადგა მისი დაბრუნება. მოგეხსენებათ, "ღამურების" თავკაცმა **რონალდ კუმანმა სანტიაგო კანისარესზე** უარი თქვა. ესპანური სააგენტოების ცნობით, ის დანარჩენი მეკარეების, **ტიმო ჰილდებრანდისა** და **ხუან ლუის მორას** გაშვებასაც აპირებს. სანაცვლოდ მინიმუმ ორი გოლკიპერის შეძენა იგეგმება. "ასის" თანახმად, ერთი მათგანი პალოპი იქნება.

### კოულმენმა ფულჰემი ჩაიბარა

"ფულჰემის" ყოფილი თავკაცი **კრის კოულმენი** "ქოვენთრის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 37 წლის სპეციალისტმა სეზონი ესპანეთში, "რეალ სოსიედადის" დამრიგებლის რანგში დაიწყო. ერთი თვის წინ ის ინგლისში დაბრუნდა. კოულმენი თითქოს "ნიუკასლის" მეორე მწვრთნელად უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. ამასობაში, "ქოვენთრის" კარისაკენ მიუთითა **იან დოუის** და ვაკანტური პოსტი კრისს შესთავაზა. "ქოვენთრის" ჩემპიონატში მე-20 ადგილი უკავია. მას გასავარდნი ზონისაგან ოთხი ქულა ჰყოფს. ბოლო ტურში "ქოვენთრიმ" "ვესტ ბრომვიჩთან" 0:5 წააგო. დოუის დათხოვნა სწორედ ამ ანგარიშმა დააჩქარა.

### ბუნდესლიგა: 2009 წლიდან 3 თამაში კვირას

გერმანიის საფეხბურთო ლიგის გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან ბუნდესლიგაში კვირაობით, ორის ნაცვლად სამი მატჩი გაიმართება ხოლმე. თანაც, ცნობილია, რომ სამივე თამაში ერთდროულად არ დაიწყება.

### ფრანგები ნაიკის ბანაკში გადადიან

კომპანია "ნაიკმა" დიდი გამარჯვება მოიპოვა. სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ამერიკული გიგანტი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური სპონსორი ხდება. შვიდწლიანი კონტრაქტი 2011 წლის 1 იანვარს ამოქმედდება. "ადიდასთან" შეთანხმებას 2010 წლის 31დეკემბერს გასდის ვადა. გერმანული კომპანია 70-იანი წლების შემდეგ ფრანგების უცვლელი მოკავშირე და პარტნიორი იყო, მაგრამ თანამედროვე საფეხბურთო სამყაროში ყველაფერს ფული წყვეტს. "ნაიკი" "მამლებს" შვიდი წლის განმავლობაში 320 მილიონ ევროს გადაუხდის. ამას გარდა, ყველა ასაკის ნაკრებს წელიწადში 2.5 მილიონი ევროს ღირებულების ეკიპირებით მოამარაგებს. გათვალისწინებულია დამატებით ხარჯებიც. თუ კონტრაქტის პერიოდში ფრანგები მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონები გახდებიან, "ნაიკი" ფედერაციას სოლიდურ პრემიას გადაუხდის.

ესპანეთის ნაკრები

# რაული და არაგონესი შერიგდნენ

## გონსალეს ბლანკომ პირადი ინტერესები სელექციონის სამსხვერპლოზე მიიტანა...

**ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში ყველასთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელი შეხვედრა მოეწყო. რაულ გონსალეს ბლანკომ და ლუის არაგონესმა ერთობლივი პრესკონფერენცია მოაწყვეს. როგორც გაირკვა, შეხვედრა "რეალის" კაპიტნის ინიციატივით შედგა. რაული არაგონესს მისი მენეჯერის მეშვეობით დაუკავშირდა და შესთავაზა, ნაკრების კეთილდღეობისთვის შეხვედროდნენ და ურთიერთობა გაერკვიათ. ბუნებრივია, პრესკონფერენციამდე მწვრთნელმა და ფეხბურთელმა დახურულ კარს მიღმა პირისპირ ისაუბრეს. ამის შემდეგ კი ფედერაციაში საგანგებოდ გამოძახებული ჟურნალისტებისთვისაც მოიცალეს.**

პრესკონფერენცია ზუსტად დანიშნულ დროს, საღამოს 7 საათზე დაიწყო. მედიის წარმომადგენლების წინაშე თავდაპირველად რაული წარდგა. სამეფო კლუბის ვარსკვლავმა საზოგადოებას შეხვედრის ორგანიზების მოტივები განუმარტა: *"დამეთანხმებით, ბოლო თვეებია ესპანეთის ნაკრების გარშემო არანორმალური ატმოსფერო შეიქმნა. დაძაბულობა იმდენად დიდია, რომ მთავარ მწვრთნელს ფაქტობრივად კვირაში ერთხელ უწევს თავდასხმების მოგერიება. ცხადია, ამგვარი სიტუაცია "სელექსიონს" სიკეთეს ვერ მოუტანს. პირიქით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაპირისპირება გუნდს სერიოზულად დააზარალებს. როგორც პატრიოტები და ქვეყნის მოყვარულები ვალდებულები ვართ, "სელექსიონი" საფრთხეს ავარიდოთ. ამიტომ, გადავწყვიტე ლუის არაგონესს შევხვედროდი და ეგრეთ წოდებული მშვიდობის აქტი გაგვეფორმებინა. თქვენი დახმარებისა და გაგების გარეშე მშვიდობა ვერ დაისადგურებს. აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტს ვთხოვ, შეწყვიტოს დებატი, უნდა ითამაშოს თუ არა რაულმა ეროვნულ გუნდში. ამ თემაზე საუბრის უფლება მე უფრო მაქვს ვიდრე სხვას, მაგრამ ვიმეორებ, რომ "სელექსიონის" ინტერესების გამო ხმას აღარ ამოვიღებ. მოდით, ნაკრებზე წინ არაფერი დავაყენოთ."*

ჟურნალისტებმა რაულის მონოდება კარგად გაიგეს, მაგრამ ამით მათი ცნობისმოყვარეობა არ დაკმაყოფილებულა. ყველას აინტერესებდა, რაზე ისაუბრეს მათ. გონსალეს ბლანკო იძულებული გახდა, არასასურველ თემაზე ესაუბრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასმედიელთა უნდობელ მზერას თავს ვერ დააღწევდა: *"მრავალ საკითხს შევეხეთ. გავიხსენეთ ის დრო, როცა ნაკრებში ვთამაშობდი. შეუძლებელია, ორ ადამიანს ყველა მოვლენაზე აბსოლუტურად იდენტური შეხედულება ჰქონდეს. იყო საკითხები, რომელზეც უპრობლემოდ შევთანხმდით, თუმცა ისეთ თემებსაც შევეხეთ, რაზეც ვერასოდეს გავიზიარებთ ერთმანეთის მოსაზრებას. ალბათ, ძალიან გაინტერესებთ, რას უკავშირდება ჩვენი უთანხმოება. ვგონებ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუმცა მორჩილად გთხოვთ, ამ ჯოჯოხეთს ნულარ დავუბრუნდებით. ესესაა გთხოვეთ, რომ ესპანეთის ნაკრების ინტერესების გამო დებატი შევწყვიტოთ. მოდით, არაგონესს მშვიდად მუშაობის საშუალება მივცეთ. დაე, თავად გადაწყვიტოს ვინ გამოიძახოს და ვინ არა. ბუნებრივია, მე არანაირი უფლება არ მაქვს გთხოვოთ ან მოგიწოდოთ, ისე იფიქროთ, როგორც მე მსურს, უბრალოდ ძალიან მინდა, რომ "სელექსიონი" დიდი ხნის ნანატრ სიმშვიდეს ეღირსოს. ეს არის და ეს. რეზიუმეს სახით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მე და სენიორ ლუისს ძალიან გულწრფელი და პირდაპირი საუბარი გვქონდა. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვუთხარით ერთმანეთს სათქმელი და პირობა დავდეთ, რომ თავდასხმებს არ მივმართავთ. პრინციპში, რაულსა და არაგონესს არასოდეს უჩხუბიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ შევრიგდით. ყველაფერი გავარკვიეთ. ახლა მთავარია, გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადოს. ღმერთმა ქნას, ბიჭებმა ნავსი გატეხონ და ტიტული მოიპოვონ. ესპანეთი ხომ მუდმივად ხელმოცარული ბრუნდებოდა მუნდიალებიდან და კონტინენტის ჩემპიონატებიდან. იქნებ, 2008 წელი გამონაკლისი აღმოჩნდეს და მთელმა ქვეყანამ უზომოდ გაიხაროს? ჩემი აზრით, "სელექსიონს" შესწევს საამისო უნარი, რომ ევროპის პირველობაზე გაიმარჯვოს. ახლა კი მე დავემშვიდობებით და სენიორ არაგონესსთან დაგტოვებთ."*

ჟურნალისტებმა რაულს კითხვა დაუსვეს, როგორ ფიქრობთ, "სელექსიონი" რაულთან ერთად უფრო ძლიერი ხომ არ იქნებაო. რა თქმა უნდა, საინტერესო და ლოგიკური კითხვა იყო, მაგრამ გონსალეს ბლანკომ დიპლომატიურად გაილიმა და საპრესკონფერენციო დარბაზი მოკლე რეპლიკით დატოვა, ჩემს თხოვნას ნუ დაივიწყებთო. კორესპონდენტებს ისღა დარჩენოდათ, ლუის არაგონესისკენ მიბრუნებულიყვნენ და პრესკონფერენცია გაეგრძელებინათ. "სელექსიონის" დამრიგებელმა ვრცელი განცხადება გააკეთა: *"რაულის ჩემდამი დამოკიდებულება ყოველთვის მოკრძალებული და რაინდული იყო. მეც სწორედ ასე ვეპყრობოდი მას. თავად არ დაუკონკრეტებია, მაგრამ მე ნამდვილად მსურს, მოგახსენოთ: შემხვდა თუ არა პირველი ის მითხრა, მნიშვნელობა არ აქვს, ვიქნები თუ არა "სელექსიონში", თავს ვალდებულად ვთვლი, გუნდს ნებისმიერ შემთხვევაში დავეხმაროო. თუ განაცხადში მოვხვდები, ყველაფერს გავაკეთებ, რათა სასარგებლო როლი შევასრულო, ხოლო თუ არ გამომიძახებთ, შევეცდები, ჩემი პერსონისადმი არსებული აჟიოტაჟი ჩავაცხრო და მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება შეგიქმნათო. სიმართლე გითხრათ, აღფრთოვანებული დავრჩი. აი, ეს არის ნამდვილი პროფესიონალიზმი. არ შემიძლია, რაული კომპლიმენტებით არ ავავსო. მის ადგილზე სხვა აუცილებლად გაბოროტდებოდა და ჩამისაფრდებოდა... თუმცა გონსალეს ბლანკომ შესანიშნავად იცის, რომ უბედურება ლუის არაგონესის წაფორხილება არ არის. მთავარი მწვრთნელის წარუმატებლობა ეროვნული გუნდის ფიასკოა. სწორედ ეს აღელვებს რაულს და ამით ამტკიცებს, რომ ესპანეთის სამაყო შვილია. მეც გთხოვთ, რომ დებატები დავასრულოთ. ვინ იცის, იქნებ ამის შემდეგ სიტუაცია შეიცვალოს კიდეც. ბოლო ამხანაგური შეხვედრა მალაგაში ჩავატარეთ. ტრიბუნებზე კარგად ორგანიზებული ჯგუფები ისხდნენ და ომახიანად გაჰყვიროდნენ, ლუის, დაგვიბრუნე ჩვენი ბედნიერება, ათამაშე რაულიო. ღრმად მწამს, რომ ეს ჟურნალისტების მიერ ორგანიზებული აქცია იყო. ნუ უარყოფთ, რადგან თავად ყველაზე კარგად იცით, რომ აბსოლუტურ სიმართლეს ვამბობ. სწორედ, ასეთი თავდასხმები უქმნის ნაკრებს საფრთხეს. რაულმა ეს შესანიშნავად დაინახა და გასაოცარი ნაბიჯი გადადგა. თუ "სელექსიონის" წარმატება გვსურს, ზავი უნდა დავდოთ და ერთად შევეცადოთ საქმის გაკეთებას. მართლაც განუმეორებელი შანსი გაგვაჩნია იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე სერიოზულ წარმატებას მივაღწიოთ."*

ჟურნალისტებმა მაინც ვერ მოითმინეს და ამავე პრესკონფერენციაზე იკითხეს, აქვს თუ არა რაულს ნაკრებში მოხვედრის შანსი. არაგონესს კითხვა აშკარად არ მოეწონა, მაგრამ პასუხი მაინც გასცა: *"რა თქმა უნდა, აქვს. ნაკრებში თამაშის შანსს არავის წავართმევ. სეგუნდა ან ტერსერა დივიზიონის მოთამაშე რომ მომეწონოს და მის შესაძლებლობებში დავრწმუნდე, ეროვნული გუნდის კარს გავუღებ. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დროა. ასე რომ, "სელექსიონში" ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. მე და რაული არ ვართ დაპირისპირებული ადამიანები. ჩვენი მტრობის შესახებ პრესა ავრცელებს ხმებს. არადა, ერთმანეთისთვის კარგზე მეტი არასოდეს არაფერი გვისურვია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნაკრებში თამაშის შანსს ყველა ფლობს. თითოეული ესპანელი პროფესიონალი ფეხბურთელი. როგორც კი დავინახავ, რომ ერთი ფეხბურთელი მეორეს სჯობს, არ დავფიქრდები და განაცხადში, რა თქმა უნდა, საუკეთესოს შევიყვან. შესაძლოა, პრესის სტატიებმა დათრგუნეს, ან თავგზა აებნა, რადგან ფიქრობდა, რომ მე მას მიზანმიმართულად ვებრძოდი. კიდევ კარგი, გულწრფელად და მოწმეების გარეშე ვისაუბრეთ. ჩემი არგუმენტებისა და მოსაზრებების მოსმენის შემდეგ რაული დარწმუნდა, რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი არასოდეს დაუკარგავს. მას ახლაც აქვს საამისო შესაძლებლობა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მჯერა, ცდუნებას ერთბაშად ვერ დაძლევთ და შიგადაშიგ მაინც მიკბენთ ხოლმე, მაგრამ პატივცემულო ჟურნალისტებო, გაიგეთ, რომ "სელექსიონს" ახლა სიმშვიდესა და ჰარმონიაზე მეტად არაფერი სჭირდება."*



რაული და ლუის არაგონესი: მოსწავლე და მასწავლებელი შერიგდნენ

**ილია ნიკოლაიშვილი**



ვალენსიის პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი და დავიდ ალბელდა

ვალენსია

# საქმე მაინც სასამართლომდე მივიდა

## თუმცა მოსამართლემ მხარეებს შესათანხმებლად ვადა მისცა

**"ვალენსიაში" არსებულ დაძაბულ სიტუაციაზე ჩვენი გაზეთი ყოველთვის ოპერატიულად გაწვდიდათ ახალ ინფორმაციას. ბოლოს მოგახსენებდით, რომ "ღამურების" ხელმძღვანელობამ დავიდ ალბელდას სასამართლო გარჩევის თავიდან აცილების მიზნით მოლაპარაკებას სთავაზობდა. მხარეები ერთმანეთს ჯერ კიდევ სამშაბათს შეხვდნენ და პირობა დადეს, რომ ხუთშაბათსაც ისაუბრებდნენ და სასამართლო მოსმენამდე სადავო საკითხების გარკვევას შეეცდებოდნენ. შეხვედრა მართლაც შედგა, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. შედეგად, დავიდ ალბელდა და "ვალენსიის" პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი ერთმანეთს პარასკევს სასამართლო დარბაზში შეხვდნენ...**

მოსამართლემ საქმის არსი გულისყურით მოისმინა. მან არა მარტო ყოფილ კაპიტანსა და პრეზიდენტს, არამედ ელგერას, ვილიას, კანისარესსა და მეორე მწვრთნელ ხოსე მარია ბაკეროსაც დაუსვა კითხვები. ამის შემდეგ პატივცემულმა მოსამართლემ დაპირისპირებულ მხარეებს მორიგების შანსი მისცა და შესათანხმებლად ვადა განუსაზღვრა. თუ საერთო ენას ვერ გამონახავენ, ისინი კვლავ სასამართლო დარბაზში დაბრუნდებიან.

პროცესის დასრულების შემდეგ დავიდ ალბელდამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"ამ ყველაფერს იმისთვის ვაკეთებ, რომ ხალხმა სიმართლე გაიგოს. შესაძლოა, ვინმე ფიქრობს, ალბელდას ფულის შოვნა სურსო. მათი ნებაა, ასე იფიქრონ, მაგრამ მე ეს მოტივი არ მამოძრავებს. "ვალენსია" საშინელი ხალხის ხელშია და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ფართო საზოგადოებამ კარგად დაინახოს. ჩემთვის არავის უთქვამს კონკრეტულად რა დანაშაულისთვის მომკვეთეს და რატომ მომაყენეს ამხელა შეურაცხყოფა. კუმანმა მხოლოდ ის მომახალა, ძირითად შემადგენლობაში თამაშის იმედი ნულარ გექნებაო. ჩემი დამცირება ამის შემდეგაც არ შემწყდარა. ფორმის შესანარჩუნებლად "ვალენსიის" ბაზაზე ვვარჯიშობ. ხელმძღვანელობა ისე მეპყრობა, როგორც გუნდის მტერს. მოღალატესავით მომკვეთეს. არც მწვრთნელები და არც დირექტორატის წევრები ხმას არ მცემენ. ძალიან მაინტერესებს, ასეთი დამოკიდებულება რითი დავიმსახურე. არ დაგავიწყდეთ, რომ გაგდების შემდეგ სხვა გუნდში გადაბარგების შესაძლებლობაც არ მომცეს. სწორედ ამ შეურაცხყოფების გამო მივმართე სასამართლოს. მოსამართლემ კანონიერი უფლება გამოიყენა და მოსარიგებლად ვადა დაგვიდგინა. ძალიან მეეჭვება, მათ რაიმეზე შევუთანხმდე. ელემენტარულ სინანულსაც არ გრძნობენ. მხოლოდ იმაზე ენვით კუჭი, რომ ფულის გადახდა არ მოუხდეთ. მერწმუნეთ, ასეთ ადამიანებთან რაიმე დათმობაზე წასვლა მხოლოდ წმინდანებსა და ანგელოზებს ხელეწიფებად. მე კი არც წმინდანი გახლავართ და არც ანგელოზი. სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დავემორჩილები და შევეცდები კონსტრუქციული მოლაპარაკება წარვმართო. მე პრობლემას არ შევქმნი. თუ "ვალენსიას" მესვეურებიც ასევე მოიქცევიან, ძალიან კარგი იქნება. თუ არა, ისევ სასამართლოზე შევხვდებით."*

ალბელდას შემდეგ ჟურნალისტების გარემოცვაში ხუან ბაუტისტა სოლერი მოექცა. პრეზიდენტი უარყოფს, რომ ხელმძღვანელობა ალბელდას იგნორირებას ახდენს: *"სამწუხაროდ, დავიდი ემოციებს ვერ უმკლავდება და ცილს გვწამებს. ჩვენ ის არ მოგვიკვეთავს. იურიდიულად ის "ვალენსიის" ფეხბურთელად რჩება. შეუძლია, თავისუფლად იგრძნოს თავი და ჩვენთან კონტაქტში შემოვიდეს. საქმე ის არის, რომ ალბელდა უნდობლად გვიყურებს და თავად გაურბის ხელმძღვანელობასთან ყოველგვარ ურთიერთობას. მან შესანიშნავად იცის, რომ რონალდ კუმანის გადაწყვეტილებასთან პრეზიდენტსა და დირექტორატს არანაირი შეხება არ გააჩნიათ. ეს წმინდა წყლის სპორტული გადაწყვეტილებაა. მიუხედავად ამისა, დავიდს ყოველთვის აქვს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის თეორიული შანსი და რაც მთავარია, საამისო უფლება. კარგი იქნებოდა, ემოციები მოეთოკა და რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დაგვხმარებოდა. გეფიცებით, არაერთხელ მივსალმებივარ, მაგრამ გამარჯობას თავად აღარ მეუბნება. რა თქმა უნდა, ეს არანორმალური ფაქტია. მიუხედავად ყველაფრისა, მზად ვარ, ალბელდასთან მოლაპარაკებები გავმართო. იმედია, რაიმეზე შევთანხმდებით და სასამართლოში აღარ წავალთ. ეს პროცესი "ვალენსიისთვის" უდიდესი სირცხვილია."*

მსოფლიო სუპერთასი

# ჰამბურგში უმედლოდ დავიწყეთ...

გუშინ, ჰამბურგში დაიწყო მსოფლიო სუპერთასის გათამაშება ძიუდოში, რომელშიც ჩვენი ნაკრები ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის. ჩვენი ნაკრებისთვის ლიცენზიების პრობლემა უკვე მოხსნილია, ევროპისთვის მოსამზადებლად კი სასტარტო პრალის შეჯიბრებაა, ასე რომ, ახლა თამამად შეიძლება ახალგაზრდების გამოცდა და გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება. შემადგენლობაც შესაბამისია და პირველი დღის შედეგიც: სამივე ჩვენებური უმედლოდ დარჩა.

გუშინ 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნებმა იჭიდავეს. 60-ში ერთადერთი მონაწილე გვყავდა - **ბეთქილ შუკვანი**, რომელიც ნელ-ნელა და სტაბილურად ყალიბდება წონის მეორე ნომრად. ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში კონკურენტებს რამდენადმე ალემატება და ჰამბურგშიც ამიტომ წაიყვანეს. შუკვანი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ორი ბრძოლა მოიგო - მასსავით ახალბედა იტალიელი **მარკო კაუდანა** იპონით დაამარცხა, უფრო გამოცდილ რუს **ევგენი კუდიაკოვს** კი კოკათი აჯობა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მოგება მასაც აუხდენელ ოცნებად ექცა: ჯერ მეოთხედფინალში იპონით დამარცხდა ავსტრიელ ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს პრიზიორ **ლუდვიგ პაიშერთან**, მერე კი სანუგეშოში - გამოცდილ არგენტინელ **მიგელ ალბარასინისთან** ასევე წმინდად წააგო.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორივე ადრევე გავარდა: **ალექსანდრე იაკობაშვილმა** ესპანელ **ხავიერ დელგადოსთან** წააგო, უმრწემესმა **ზებედა რეხვიაშვილმა** კი პოლონელ **პაველ ზაგროდნიკთან**. მოგვიანებით, მათ არც სანუგეშოში ჩართვის საშუალება მისცემიათ.

დღეს 73-ისა და 81-ის ფალავნები იჭიდავებენ, ხვალ კი დარჩენილი სამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები. ამ ორ დღეში ჰამბურგის ხალიჩაზე მხოლოდ სამი ქართველი იასპარეზებს. 73-ში, 90-ში და მძიმეში მონაწილე არ გვეყოლება. 81-ში, **ხვიჩა ხუციშვილი** პირველ წრეში მონღოლ **რეგდენ ანკჰბაატარს** ხვდება, **გრიგოლ შინჯიკაშვილი** - ახალზელანდიელ **რიან დილ-რუსელის**. 100 კილოგრამში **ნოდარ მეტრეველის** (100) მეტოქე უზბეკი **ოტკირ ყურბანოვი** იქნება. ამას თუ გასცდა, მეორეში უნგრელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **დენიელ ჰადფი** ელოდება.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ ვალერი ლიპარტელიანთან

# ოქროზე ნამდვილად არ ვოცნებობდი

## ლიპარტელიანის ტალანტი აღიარებულია



**ვალერი ლიპარტელიანის შესახებ იმდენი საქებარი სიტყვა ითქვა და დაიწერა, ახალს ვერც ვიტყვით და არც ვაპირებთ. კაცმა რომ თქვას, არცაა საჭირო, რადგან მან უკვე დაამტკიცა საკუთარი ტალანტი: ჯერ ერთი, საქართველოს ჩემპიონი გახდა უფროსებში, მეორე - თბილისის ტურნირზე რამდენიმე ტიტულოვან უცხოელს დამაჯერებლად მოუგო და მესამეზე გავიდა, წინა კვირას კი კარიერაში უფროსთა შორის პირველი სერიოზული ტურნირი მოიგო - ვენის მსოფლიო თასზე ტრიუმფით გაიმარჯვა. მან იქ ხუთიდან 4 შეხვედრა წმინდად მოიგო, თავად კი ქულა ერთადერთ ბრძოლაში დაკარგა და ისიც იაპონელთან. მისი გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ტიტულოვანი ფალავნები თუ მრავლისმნახველი მწვრთნელები ვერ იჯერებდნენ, რომ იმ ილეთების კასკადის გამკეთებელი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. ერთი სიტყვით, შტრაუსის ქალაქში მსოფლიომ ძიუდოს მომავალი "შტრაუსი" იხილა.**

**პოეზიაზე შეყვარებული ფალავანი თავისუფლად საუბრობს ინგლისურად. ის ამჟამად თბილისშია, მაგრამ მალე გერმანიაში გაემგზავრება ერთობლივ ვარჯიშებზე. ევროპის პირველობამდე ლიპარტელიანი უფროსთა ტურნირებში არ გამოვა, თუმცა წინ არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირია და ისიც ძველებური შემართებით აგრძელებს მზადებას, მით უფრო, რომ ვენაში მოპოვებულმა ჯილდომ ენთუზიაზმი შემატა. ვალერის სწორედ ამ ტურნირის შესახებ ვესაუბრეთ...**

**- ვალერი, უპირველესად, გამარჯვებას გილოცავთ. საინტერესოა, ვენაში რა მიზნებით გაემგზავრეთ? ფიქრობდით ჩემპიონობაზე?**

- მედალზე ნამდვილად ვფიქრობდი, მაგრამ მთლად ჩემპიონობაზე - არა. მედლის მოპოვება რომ შემეძლო, მჯეროდა. სამეულში მოხვედრასაც არ გამოვრიცხავდი, თუმცა ჩემპიონობაზე ასე გადაჭრით არ ვოცნებობდი და ვერც ვიოცნებებდი. მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერი ასე კარგად წარიმართა.

გაგრძელება მე-12 გვერდზე



# ტოჩინოშინი ყველას წინააღმდეგ

25 თებერვალს იაპონიაში სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდება და 20 წლის ქართველი ლევან გორგაძე კიდევ ერთ (ალბათ, ბოლოსწინა) ნაბიჯს გადადგამს ელიტარულ დივიზიონამდე. იანვარში ლევანმა ახალი წლის ბაშო მოიგო მეორე ელიტურ დივიზიონში (ძურიო), არადა კარიერაში პირველად გამოდიოდა ამ დონეზე. რეიტინგში გორგაძე ძურიოს დივიზიონის მოწინავე პოზიციებამდე ნაიწევს, საიდანაც მარტის ბაშოზე დადებითი ბალანსი ეყოფა მაკუუჩის (უმაღლეს) დივიზიონში ასასვლელად. ასე რომ, დიდი შანსია მაისის ბაშოზე ელიტაში უკვე ორი რიკიში გვყავდეს, 26 წლის ლევან ცაგურია და ლევან გორგაძე.

ლევანის წარმატებამ (66 მოგება და მხოლოდ 18 მარცხი კარიერაში) იაპონელ და უცხოელ ჟურნალისტთა ყურადღება მიიქცია, „სუმო ფენ მეგეზინში" გამოქვეყნებული ინტერვიუ, მართალია ოდნავ ძველია, მაგრამ თავად ინტერვიუს შინაარსი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს. მაშ ასე გთავაზობთ, „სუმო ფენ მეგეზინის" მთავარ რედაქტორ მარკ ბაქტონის ინტერვიუს ლევან გორგაძესთან ანუ ტოჩინოშინ ცუიოშისთან, როგორც ქართველს იაპონელები უწოდებენ.



ტოჩინოშინი

იაპონური ზამთრის ერთ მზიან დღეს შევძელი „კასუგანო ბეიას" აღზრდილ ტოჩინოშინ ცუიოშისგან ექსკლუზიური ინტერვიუს აღება. სუმოისტთა დილის საუზმის შემდეგ ჩემი რესპონდენტი ოთახში შემხვდა. მან სიცოცხლეში მეორედ გაატარა შობა-ახალი წელი სამშობლოსგან მოშორებით. 20 წლის ტოჩინოშინი საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის მკვიდრია.

**- დასაწყისისთვის, უთხარით ჩვენს მკითხველს რამდენს იწონით და რა სიმაღლის ბრძანდებით...**

- ამ წუთისთვის 142 ან 143 კილო ვარ, ჩემი სიმაღლეა 191 სანტიმეტრი.

**- სტანდარტული კითხვით დავიწყოთ, რა საკვები მოგწონთ ან არ მოგწონთ იაპონიაში?**

- აქაური საკვების უმეტესობა კარგია, მაგრამ არ მიყვარს უმი ხამანწკები. კარგად შემწვარი ან მოხარშული საკვები, კი ბატონო. იაპონური საჭმელებიდან ჩემი საყვარელია „იაკი ნიკუ", შემწვარი საქონლის ხორცი ან ღვიძლი. არც ღორის ხორცზე ვამბობ უარს.

**- რას იტყვით კორეულად მომზადებულ უმ ღვიძლზე, რომელიც ასე პოპულარულია იაპონიაში?**

- მომწონს, თუმცა უფრო ტკბილი საკვები მიყვარს.

**- იაპონური ენა კარგად აითვისეთ? ირგვლივ ყველა იაპონურად საუბრობს, ალბათ ესეც გეხმარებათ?**

- დიახ, თუმცა ჯერ კიდევ ერთი-ორი წელიწადი მჭირდება, რომ აქაური ენა კარგად ვისწავლო.

**- არის აქ ვინმე, ვისაც ქართული ესმის?**

- არა, ირგვლივ არავინაა ქართულის მცოდნე.

**- ინგლისური თუ გეხმარებათ ურთიერთობაში?**

- (იცინის) ეს შეუძლებელია, თავად არ ვიცი ინგლისური და...

**- სუმოს გარდა თუ დაინტერესდით იაპონური კულტურით, ხელოვნებით ან სპორტით? მაგალითად, ბეისბოლით?**

- არა, ბეისბოლი არ მიყვარს. სპორტში სუმოს შემდეგ ძიუდო მიტაცებს.

**- ტოკიოში ან მის შემოგარენში თუ მოგწონთ რომელიმე რაიონი განსაკუთრებით?**

- ტოკიოში შემიძლია ორიოდე უბანი დაგისახელოთ, რომელიც მომწონს. ქალაქგარეთ კი ჩრდილოეთით, ტოჩიგის პროვინციაში მომეწონა ერთი ქალაქი, თუმცა მისი სახელი არ მახსოვს. მთიანი მხარეა და ძალიან ლამაზი.

**- ბაშო სხვადასხვა ადგილას იმართება, სად უფრო მოგწონთ ასპარეზობა?**

- რა თქმა უნდა, ტოკიოს „კოკუგიკანში". ეს ხომ სუმოს მექაა.

**- სხვები?**

- ნაგოია, ოსაკა და ფუკუოკა მოშორებითაა. არა, ტოკიო ყველას მირჩევნია. „კოკუგიკანი" აქვეა ჩვენი კლუბიდან, ფანჯრიდანაც ჩანს. იქ ფეხით დავდივარ.

**- ახლა, როცა უკვე ძურიოს დივიზიონში ხართ, ისევ ფეხით ისეირნებთ დარბაზისკენ?**

- რა თქმა უნდა. კლუბში ყველა ასე იქცევა, „კოკუგიკანამდე" სულ 400 მეტრია.

**- ყველაზე ცუდად რა გახსენდებათ, რაც იაპონიაში ხართ?**

- ალბათ, ის დრო, როცა პროფესიონალი სუმოისტი გავხდი.

**- რა პრობლემები შეგექმნათ?**

- ძალიან მძიმე პერიოდი იყო. ყველაფრის კეთება თავად მიწევდა, დალაგება, საჭმლის მომზადება, ვარჯიში. ამას ემატებოდა იმის შეგრძნება, რომ საერთოდ ვერაფერს ვუგებდი ირგვლივ მყოფებს.

**- „კასუგანო ბეიაში" როგორ მოხვდით?**

- პირველად საუნივერსიტეტო კლუბში ვიყავი ერთი თვე. შემდეგ აქ ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი მოყვარულებში. ბოლოს „კასუგანოს" კლუბში მოვხვდი, არც კი ვიცი, ვისი რეკომენდაციით. ვფიქრობ, მოყვარულთა სუმოს ფედერაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით.

**- ესე იგი, ტანაკა სანის, სუმოს საერთაშორისო ფედერაციის შეფის ინიციატივით?**

- არა, საქმე მთლად ასეთ მაღალ დონეზე არ გაჩარხულა, იმ ჩინოსნის სახელი კი, სამწუხაროდ, აღარც მახსოვს. რამდენიმე ხანი დავყავი კლუბში, 2005 წლის დეკემბერში საქართველოში დავბრუნდი და იქ გადავწყვიტე კლუბში ჩარიცხვა.

**- ოჯახმა რა გირჩიათ საქართველოში?**

- დედაჩემს იდეა არ მოეწონა, მამამ მითხრა, დაფიქრდიო. ორი თვის შემდეგ ჩვენ ისევ ვისაუბრეთ და 2006 წლის თებერვლიდან იაპონიაში ვარ.

**- შობაზე რა საჩუქარი მიიღეთ?**

- არც არაფერი, იმ დროს საქართველოში არეულობა იყო და ძალიან ძნელი იყო რამის გამოგზავნა იაპონიაში.

**- თქვენ თანამემამულე კოკაის წვერის გაპასრვასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა, თავად არ გაწუხებთ ეს პრობლემა?**

- არა. საქართველოში ბიჭები გაპარსვას ადრიდანვე, 15, 16 წლის ასაკში იწყებენ.

**- სეკიტორის რანგში ბრძოლა რა ემოციას იწვევს თქვენში?**

- მხოლოდ ძალიან დადებითს.

**- კლუბში ყველაზე მეტად ვინ გეხმარებათ რჩევებით?**

- ყველა მონადინებულია. უფრო გამოცდილებიც და ახალგარზდებიც. ახლა ყველაზე მეტად ჩემი ტაჩი აის დახვეწა მაღელვებს, დანარჩენი ყველაფერი რიგზეა. ბეიაში ყველა ჩემი გულშემატკივარია.

**- კლუბში ყველაზე დიდ კონკურენტად ვის მიიჩნევთ, კიმურაიამას?**

- დიახ, კიმურა სანს. ან უბრალოდ კიმურას, როგორც ჩვენ ვეძახით.

**- სად ხედავთ თქვენს თავს ხუთი, ათი წლის შემდეგ?**

- არ ვიცი ჯერ.

**- სუმოში დიდ ხანს აპირებთ დარჩენას?**

- არა. დაუსრულებელი არაფერია და სუმოისტის კარიერაც მთავრდება. ასაკი მეც შემახსენებს თავს.

**- საქართველოში სუმო თუ, აინტერესებთ?**

- ჯერჯერობით, მოყვარულ სუმოისტთა რიცხვი დიდი არაა, თუმცა თუკი საკაის (მსოფლიო ჩემპიონატს) საქართველო უმასპინძლებს, დარწმუნებული ვარ, სუმოს მოყვარულთა და სუმოისტთა რიცხვი გაიზრდება. ახლა ჩვენთან ძიუდო და ჭიდაობა უფრო პოპულარულია. ჩემმა ძმამ ტაილანდში იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიგო. სწორედ მან მითხრა, რომ ამ ტურნირმა ტაილანდში სუმოსადმი ინტერესი ერთი-ორად გაზარდა.

**- ამჟამად ოზუმოში სამი ქართველი ხართ. თუ მეგობრობთ ერთმანეთში?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ მეგობრები ვართ.

**- ერთად თუ დადიხართ თავისუფალ დროს?**

- არა. გაგამარუ ჯერ სეკიტორი არ არის, მას თავისუფალი დრო არ რჩება. კოკაი კი ძალიან შორს ცხოვრობს, საიტამაში, იქამდე მისვლას 40 წუთი უნდა.

**- აბა დროს რითი კლავთ? რა ჰობი გაქვთ?**

- ნადირობა მიყვარს ძალიან.

**- იაპონიაში ნადირობთ?!**

- არა, საქართველოში. ჩვენთან მთებში დათვი იცის, ასევე კარგია კურდღელზე ნადირობა და მწყერებზედაც.

**- მომავალში, ალბათ, უფრო სხვებზე" მოგიწევთ „ნადირობა". ასაშორიუზე, ჰაკუჰოზე, იმავე კოკაიზე. ვის წინააღმდეგ უფრო მეტად გსურთ დოჰიოზე გასვლა?**

-ყველას წინააღმდეგ.

**-დაბოლოს, რას ეტყოდით ჩვენ მკითხველებს?**

-არ ვიცი, ასეთი რა უნდა ვუთხრა მათ. ისე, ფანებისგან წერილებს ხშირად ვიღებ, მაგრამ ინგლისურენოვანი წერილებისთვის პასუხის გაცემა მიჭირს და პასუხებსაც ვაგვიანებ. ბეიაშიც ხშირად რეკავენ და წარმატებას მისურვებენ. აქაური ქართველებიც ჩემი გულშემატკივრები არიან, მათი რიცხვი მცირეა, ყველა მათგანს ვიცნობ.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# რვანი მინიმუმ ერთისთვის



თენგიზ მესხაძე და გია გალდავა

**საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები ხვალ იტალიის ქალაქ პესკარაში გაემგზავრება, სადაც ორშაბათიდან პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირში ჩაერთვება. კრივში პეკინის საგზურები სამ შეჯიბრებაზე თამაშდებოდა. შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე ხელი მოგვეცარა. ასე რომ, დაგვრჩა პესკარასა და აპრილში ათენში გასამართი სალიცენზიო ტურნირები.**

**გუშინ, ნაკრების ხელმძღვანელობა მასმედიას შეხვდა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. პრესკონფერენციას მიჰყავდათ ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძეს, ნაკრების წევრსა და თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ დავით ნიკლაურს და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს გია გალდავას.**

**თენგიზ მესხაძე:** - მოგეხსენებათ, ნაკრები შარშან, შემოდგომით, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩავიბარე. მას შემდეგ, კრივის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის დიდი თანადგომით, ყველაფერს ვაკეთებ, რომ გუნდი მაქსიმალურად კარგად მოვამზადო და პეკინის საგზურის გარეშე არ დავრჩეთ.

მსოფლიო ჩემპიონატზე ლევან ლვამიჩავას სულ ცოტა დააკლდა ლიცენზიამდე - უფრო სწორად, მსაჯებმა არ მისცეს ამის საშუალება. ვიმედოვნებ, პესკარასა და ათენში დასახულ მიზანს მივაღწევთ. ჩვენი მთავარი ამოცანა კი მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 2 ლიცენზიაა. იტალიისა და საბერძნეთის ტურნირებზე 8 მოკრივე მომყავს, რადგან 48, 51 და 91 კილოგრამ წონით კატეგორიებში, ფავორიტები ახალგაზრდები არიან, რომელთაც ამჟამად პეკინში მოსახვედრად რეალურად ბრძოლა არ შეუძლიათ.

რაც შეეხება სალიცენზიო ტურნირებზე წამსვლელ 8 მოკრივეს, მათგან ყველას შეუძლია ოლიმპიადის საგზურის მოპოვება, მაგრამ რეალობას რომ თვალი გავუსწოროთ, ორზე მეტი ლიცენზიის მოპოვება ურთულესი საქმე და ნამდვილი გმირობა იქნება. მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს გარდა კიდევ ბევრ ქვეყანას მოეცარა ხელი, რომლებიც დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით, ყველაფერს გააკეთებენ, რომ პესკარასა და ათენში მაინც მიაღწიონ დასახულ მიზანს. ამდენად, მათთან ბრძოლა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის გვარიანად ძნელი იქნება.

ნაკრებს წინა ოლიმპიადისთვისაც ვწვრთნიდი. მაშინ დღევანდელზე გაცილებით უარესი პირობები გვქონდა და მაინც მოვახერხეთ ორი ლიცენზიის მოპოვება. ვალდებულები ვართ, რომ პეკინს მიღმა არც ამჯერად დავრჩეთ. მითუმეტეს, რომ საკმაოდ კარგ პირობებში გვიწევდა სამზადისი. წლეულს გვქონდა შეკრებები ბაკურიანში და ორჯერ უკრაინაში. ვიასპარეზეთ ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზეც. ამდენად, გუნდი პესკარასთვის მზად არის, დანარჩენს კი პესკარას ტურნირი დაგვანახებს.

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს კრივის ფედერაციას აქვს ქვეყანაში კრივის განვითარების მშვენიერი პროექტი, რომელიც სპორტის დეპარტამენტმაც მოიწონა და სახელმწიფო აუცილებლად ამოგვიდგება მხარში. პროექტის ძირითადი ამოცანებია რეგიონებში კრივის წამოწევა და საკრივო სკოლების მიხედვა. აღნიშნულ საქმეში აუცილებლად დასაქმდებიან გამოცდილი სპეციალისტები.

ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა უკრაინის კრივის ფეერაციასთან, რომელთანაც წინასწარ მოლაპარაკებას მივაღწიეთ იმის თაობაზე, რომ გავაფორმოთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. ამ პროექტის თანახმად, მოვაწყობთ ერთობლივ შეკრებას უკრაინის კადეტ, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებთან.

ასევე დაგეგმილი გვაქვს საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. 90-იანი წლების დასაწყისში, გვქონდა მშვენიერი საერთაშორისო ტურნირი "საღამოს თბილისი", რომელზეც მეც მიჩხუბია. თუმცა, მერე ქვეყანა აირია და შეჯიბრებამ ალმა ათაში გადაინაცვლა. რაკილა ახლა ოლიმპიური წელია, გადავწყვიტეთ, რომ ეს დიდი ტურნირი მომავალი წლიდან დავაბრუნოთ. აღნიშნულ საკითხზე უკვე გვაქვს შეთანხმება კრივის საერთაშორისო ფედერაციასთან.

ვაპირებთ ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირის დაფუძნებასაც. ქუთაისურ კრივს შეუსრულდა 60 წელიწადი, თან ქუთაისში შარშან სპორტის სასახლე გაიხსნა და გვინდა იქ ჩავატაროთ ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი. მოკლედ, ჩვენი გეგმის თანახმად, შემდეგ ოლიმპიურ ციკლს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში და უფრო დიდი ამბიციებით უნდა შევხვდეთ. მითუმეტეს, რომ მშვენიერი თაობა გვეზრდება.

**გია გალდავა:** - სპორტის დეპარტამენტს კრივის ფედერაციასთან ბოლო წლებში მშვენიერი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ადრე ეროვნული ნაკრების მოსამზადებელ ეტაპებზე იყო პატარა ხარვეზები, მაგრამ რაც გუნდში თენგიზ მესხაძე დაბრუნდა, მდგომარეობა გაუმჯობესდა. რაც მთავარია, კრივის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების სტრატეგია სწორი მიმართულებითაა წარმართული.

კარგად ვიცით, რომ კრივში ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება საკმაოდ რთულია, მაგრამ გუნდი ამისთვის მზადაა. ამდენად, მოკრივეებმა პეკინის საგზურები რომ მოიპოვონ, ეს მოულოდნელობა ნამდვილად არ იქნება. იმედი მაქვს, რომ იტალიასა და საბერძნეთში ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ წარიმართება.

**დავით ნიკლაური:** - პეკინის ლიცენზიის მოპოვება მსოფლიო ჩემპიონატზეც შეიძლებოდა, მაგრამ გვქონდა მცირე ხარვეზები, რამაც მიზნის მიღწევაში ხელი შეგვიშალა. ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. მოსამზადებელ ეტაპზე მაქსიმალურად კარგი პირობები გვქონდა, ნაკრების თითოეულმა წევრმა ბევრი ვიშრომეთ. დროა, ამ შრომის ნაყოფი პესკარასა და ათენში მოვიმკათ.

თენგიზ მესხაძეს პესკარაში შემდეგი მოკრივეები მიჰყავს: **ნიკოლოზ იზორია** (54 კგ), **კობა ფხაკაძე** (57), **კონსტანტინე კუპატაძე** (60), **ლევან ლვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით ნიკლაური** (81) და **ბექა ლობჟანიძე** (+91).

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვების წესებს, ოლიმპიურ საგზურს პირდაპირ მოიპოვებენ ფინალში გასული მოკრივეები. რაც შეეხება 54, 57, 69 და 75 კილოგრამ წონით კატეგორიებს, აქ პეკინში მოხვედრის შანსი ნახევარფინალში დამარცხებულ მოკრივეებსაც აქვთ. კერძოდ, ნახევარფინალში წაგებულები ერთმანეთს შეხვდებიან და გამარჯვებული ოლიმპიადის ლიცენზიას მიიღებს.

**კობა ხატისაშვილი**

# ოქროზე ნამდვილად არ ვოცნებობდი

*მე-11 გვერდიდან*

**- ტურნირი ჩინებული შედეგით მოიგეთ: წმინდა გამარჯვება 5-დან ოთხ შეხვედრაში! ერთი შეხედვით, ყველა ორთაბრძოლა იოლად მოიგეთ, მაგრამ რეალურად, მთლად ასე არ იქნებოდა...**

- რეალურად, მხოლოდ მეოთხედფინალში გამიჭირდა იაპონელ ტაცუკი მასუბუჩისთან - ერთადერთი ქულა მხოლოდ მასთან დავკარგე. ვაზარი ამილო, მაგრამ საბოლოოდ მაინც იპონით მოვუგე. ის კარგი მოჭიდავეა - ტექნიკური და ძალიან სწრაფი, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი გამარჯვებაში. საბოლოოდ, გაბედულებისა და შემართების ხარჯზე მაინც მოვუგე.

**- ფინალზე რას იტყვით? იქ ყაზახ მაქსიმ რაკოვს მოუგეთ, ვინც წინა კვირას პარიზის ტურნირზე ზურაბ ზვიადაური დაამარცხა. მასაც იოლად სძლიეთ?**

- კი, საკმაოდ იოლად. ვერ ვიტყვი, რომ გამიჭირდა.

**- საინტერესოა იმ ემოციების გახსენება, რასაც კვარცხლბეკზე დგომისას განიცდიდით...**

- გარეგნულად ემოციები არ გამოიხატავს, რადგან ეს არც მახასიათებს. გამარჯვებას მშვიდად შევხვდი, მაგრამ ცხადია, გულში უზომოდ მიხაროდა. ეს ხომ დიდ ასპარეზზე ჩემი პირველი გამარჯვება იყო და ძალიან მიხაროდა. უბრალოდ, საჯაროდ და სახალხოდ ზედმეტ ემოციებს არ ვაფრქვევ.

**- ალბათ, უცხოელთაგან შეფასებები მრავლად იქნებოდა. საინტერესოა, რას ამბობდნენ შენზე?**

- ნათქვამია, ჩემპიონებს არ ასამართლებენო. უშუალოდ მე არ დამლაპარაკებიან, მაგრამ შეფასებები, ცხადია, იყო... ეს უფრო მწვრთნელებმა იციან. თურმე, რუსი ტამერლან ტმენოვი არ იჯერებდა, რომ 18 წლისა ახლახანს გავხდი. აგრეთვე, შეჯიბრების მთავარ კომისარს ჩემზე არბიტრ მერაბ ლოსეურაშვილთან უსაუბრია. მას ჯერ კიდევ თბილისის ტურნირიდან ვახსოვდი. როგორც მითხრეს, სხვა სპეციალისტებსაც უსაუბრიათ ჩვენს მწვრთნელებთან.

**- ვენაში წასვლამდე ახალგაზრდებისა და უფროსების ტურნირებს შორის არსებულ განსხვავებაზე საუბრობდით. ვენაში კიდევ უფრო იგრძნობდით ამ სხვაობას იმის მიუხედავად, რომ ეს მთლად უძლიერესი ტურნირი არ იყო. თუმცა, მანამდე, პარიზში ერთობლივ წვრთნებშიც მონაწილეობდით...**

- სხვაობა მართლაც დიდია. აქაურები ბევრად გამოცდილები არიან, უფრო ტექნიკურები და დახვეწილები. შეიძლება, მთლად კოლოსალური განსხვავება არაა, მაგრამ მაინც სერიოზულია. აქ ბოლომდე უნდა დაიხარჯო, გაცილებით მეტი უნდა გაილო მოსაგებად, თორემ ისე არავინ არაფერს დაგითმობს. ამ შეკრებაზეც წონის თითქმის ყველა ლიდერს ვეჭიდავე - ჰოლანდიელ მარკ ჰუიზინგას, იაპონელ მასატო უჩიშიბასა და სხვებს. ზოგს მოვუგე, ზოგთანაც წავაგე, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**- პარიზში შენს კერპს, სახელოვან იაპონელ კოსეი ინუესაც გაიცნობდი...**

- კი, გავიცანი კიდეც და სურათიც გადავიღე. მაგ შეკრებაზე მეორე იაპონელს, მძიმე წონაში გამარჯვებულ სატოში იშისაც ძალიან დავუმეგობრდი და რამდენიმე ქართული სიტყვაც შევასწავლე. აგრეთვე, გუჯეჯიანის გვარიც, რომელსაც ძლივს გამოთქვამდა...

**ირაკლი თავაძე**





# პირველი კლუბი არსებობის ათვლას იწყებს

ადრე ვწერდით, რომ "ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსი ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა შეიძინა და სამართავად ვეტერან წყალბურთელებს გადასცა იმ პირობით, რომ კომპლექსი არ დაკარგავდა თავის ფუნქციას. შიდა კომუნიკაციების აუცილებელი სარემონტო სამუშაოების შემდეგ, ბაზამ ამ დღეებში მუშაობა განაახლა. საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ვეტერანი წყალბურთელი, პროფესორი **ოთარ მიმინოშვილი**, შეიმუშავა წყალბურთის კლუბის წესდება. კლუბს ეწოდა "ივერია" და ჩამოყალიბდა იურიდიულ პირად. პრეზიდენტად არჩეულია ასევე ცნობილი ვეტერანი წყალბურთელი **ნოდარ კურტანიძე**. შეიქმნა აუცილებელი სტრუქტურები.

გუშინ, გაიმართა კლუბის გაფართოებული სხდომა, რომელიც გახსნა ო. მიმინოშვილმა. ვრცელი ინფორმაციით კი, მომავალი გეგმების შესახებ ნ. კურტანიძე გამოვიდა. მან თქვა: "*გაკეთდა დიდებული საქმე, მადლობის მეტი რა გვეთქმის ქველმოქმედისადმი. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს უნარზე. პატრიოტიზმი არავის გვაკლია, მხარში დავუდგეთ ერთმანეთს. ყველამ სიყვარულით დავდოთ თითო აგური ახალი საქმის სასიკეთოდ*".

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ათეული წლების შემდეგ ერთმანეთს, ახლა, სწორედ ამ კეთილმა საქმემ შეახვედრა. ყველა მადლობას გამოხატავდა უპრეცენდენტო ქველმოქმედების გამო. სხდომაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ვეტერანმა წყალბურთელებმა: **ვლადიმერ გოიაშვილმა, ვლადიმერ ისელიძემ, ნუგზარ ერაძემ, დავით რურუამ, ზურაბ ჩაჩავამ**, პარლამენტარმა, ვეტერანმა სპორტსმენმა **ზურაბ შხვაცაბაიამ**. გამოითქვა მზადყოფნა, რომ სხვადასხვა თაობის წყალბურთელები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში წარმატებით მოღვაწეობენ, თავიანთ წვლილს შეიტანენ წყალბურთის კლუბის წინაშე დასახული მიზნების ხორცშესხმაში.

დავძენთ, რომ სპორტის საწყლოსნო სახეობებში ასეთი კლუბი პირველია საქართველოში და, იმედია, იგი მისაბაძი გახდება სხვებისთვის.



# მეხუთე, ტრადიციული...

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და ტურნიზმის დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით, ამ დღეებში ატენის ხეობაში (გორის რ-ნი) ჩატარდა საქართველოს ღია, მეხუთე პირველობა ყინულზე ცოცვაში, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულ მთამსვლელთა ხსოვნას მიეძღვნა.

შეჯიბრების პროგრამა, რომელშიც 58 ვაჟი და 18 ქალი მონაწილეობდა, ითვალისწინებდა გაყინული ჩანჩქერის 50-მეტრიანი (ვაჟებისთვის) და 30-მეტრიანი (ქალებისთვის) ყინულოვანი კედლის დაძლევას.

მარშრუტი ყველაზე სწრაფად (1.58 წ) გაიარა და 2008 წლის ჩემპიონის წოდება ვაჟებში მოიპოვა სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა მთამსვლელმა **ნუკრი გველებიანმა**. მეორე იყო ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გამოცდილი მეკლდეური **გურამ გაზდელიანი** (2.17), მესამე - შედეგით (2.37), ახალგაზრდა მეკლდეური, **ლევან გუჯაბიძე** - ცნობილი მთამსვლელის, **ბიძინა გუჯაბიძის** ვაჟი. ქალებში პირველობა არავის დაუთმო, ასევე სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულმა, საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკლდეურმა **თამარ დიდებულიძემ** (2.52), მეორე იყო ახალგაზრდა მეკლდეური, ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი **ნუცა ხუციშვილი** (3.03); მესამე ადგილი ქალებში არ გათამაშდა, დებულების პირობების დარღვევის გამო.

ყველა გამარჯვებული დაჯილდოვდა ფულადი პრემიით, ფასიანი საჩუქრებით (სპონსორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ) და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით (მთამსვლელთა ფედერაციის მიერ). სპონსორები იყვნენ: შპს "ნიკორა", "ალიონი-99", "მოგზაური", "პატარაია და პარტნიორები", "ედბრენდი", "გეოლენდი", ტურისტული კლუბი "ტონთიო".

**ვაჟა მათითაიშვილი,**
*შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული მუშაკი*

## განცხადება

**სამშაბათს, 26 თებერვალს, 13 საათზე, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიაში გაიმართება პრესკონფერენცია, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და მისი მთავარი სპონსორის, "რაკიინ დეველოპმენტის" სამომავლო ურთიერთობის თაობაზე.**

*საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრესცენტრი*

## თარიღი

**როსტომ აბაშიძე.** დაიბადა 23.02.1935, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (87, 97, 100 კგ). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1958, 62, 63), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1857, 60, 62), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1956), ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1964), მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი (1957). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე (V ადგილი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ვანო ნადირაძე.** დაიბადა 23.02.1972, გურჯაანი. რაგბი, მეორეხაზელი. საქართველოს ნაკრებში ჩაატარა 32 მატჩი (1 - კაპიტნად, 3 ლელო). 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი (5 მატჩი) და 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილე (2 მატჩი). უმაღლეს საკლუბო დონეზე უთამაშია საფრანგეთში ("ბეზიე").

**ტარიელ ჟღენტი.** დაიბადა 23.02.1945, თბილისი. სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1971, 73, 74), მეორე (1983) და მესამე (1981) პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი პირად პირველობაში (1973, 81) და ხუთგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 73, 74, 81, 84), ორგზის მეორე პრიზიორი (1975, 82 - გუნდურში), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1968, 78, 83), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1971). მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენი. 1973 წელს დაამყარა მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდი (200 შესაძლებლიდან 200 ქულა). საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-იდან). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.




სლოვაკეთი-ირლანდია. ბურთით ჯეი ლარანგა

# წინასწარ ყველას ვაშინებთ, საქმე-საქმეზე რომ მიდგება...

16 თებერვალს გამართული სანაკრებო წილისყრის შემდეგ ეროვნული გუნდის შესახებ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბესიკ ლიპარტელიანის მოსაზრებაც მოვისმინეთ, მწვრთნელის დავით უსტიაშვილისაც და, ცხადია, მატჩების განრიგიც გაგაცანით. დღეს სანაკრებო თემას მეტოქეებზე საუბრით განვაგრძობთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგით კორესპონდენტზე ერთი-ორად მეტს ისტორიული სტატისტიკა ამბობს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

## შვედეთი

მაშ ასე, დავიწყოთ პირველ კალათაში განთესილი შვედეთით, რომელიც A ლიგიდან შარშან გამოვარდა. შემადგენლობის მიხედვით სკანდინაველები ბარე სლოვაკებს ვერ სჯობიან, თუმცა, ფინეთის მსგავსად, შეკრული გუნდი ჰყავთ. სხვათა შორის, სუომელებს ყოველწლიურად ამხანაგურად ეჯიბრებიან და ხშირად უგებენ კიდეც. ასე რომ, შვედები ფინელებზე ნაკლებები არ არიან.

თუკი ვინმეს აინტერესებს, მოვახსენებთ, რომ ნაკრების წევრი **ლუნდკვისტი** ფრანგულ "ბრესტში" თამაშობს, **მარაკერი** - "პუხოლში" (ესპანეთის ქვედა ლიგა), ნატურალიზებული **კენი გრანტი** პოლონურ "ატლასში", **ლევინი** და **ნამაკა** იტალიის მეორე ლიგას წარმოადგენენ, ხოლო ყველაზე მაღალ დონეზე **მარტინ რინგსტრომი** ასპარეზობს - ბერძნული პაოკ-ის ღირსებას იცავს.

რაც შეეხება მიღწევებს, ამ მხრივ შვედები ქართველებსაც ალგვემატებიან - 1990 წლის შემდეგ ორი ევროპის ჩემპიონატი აქვთ ნათამაშები: 1995 და 2003 წლებში. ბოლო შემთხვევაში ევროფორუმზე მასპინძლის სტატუსით მოხვდნენ.

წილისყრის შემდეგ მეტოქეები მოკლედ დაახასიათა სკანდინაველთა მწვრთნელმა **პერი კედმანმა**: *"ირლანდიის ნაკრებში ამერიკულ კოლეჯებში გამოწვრთნილი კალათბურთელები თამაშობენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ იქნება. სლოვაკეთს ასაკიანი და დალაგებული გუნდი ჰყავს, ხოლო ჩვენი მთავარი მეტოქე საქართველოს ნაკრები იქნება, რომლის ღირსებას ერთი ამერიკელი იცავს, ერთი NBA-ელი და ერთიც ევროლიგის კალათბურთელი."*

## სლოვაკეთი

სლოვაკეთი-საქართველოს დაპირისპირების ვიდეოჩანაწერი ახლახან ვნახე და დღესაც თვალწინ მიდგას ახმახი სლავები, რომლებიც საკუთარ მოედანზე ლომებივით იბრძოდნენ. მათ მონდომებას **ვლადიმერ სტეფანიას** ოსტატობა ფარავდა, რომელმაც რაც ისროლა, ყველა კალათში მოათავსა, მაგრამ ბოლო წუთებზე გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. არც მაშინ თამაშობდა სლოვაკეთში ცნობილი მოთამაშე და არც დღეს, ჩვენთან კი ცენტრი სტეფანია ფაჩულიამ შეცვალა. ჰოდა, თუ სლოვაკეთში გამარჯვება გვინდა, მხოლოდ ერთი კაცის სიზუსტე ვერ გვიშველის...

სლოვაკთა ნაკრების წევრთა უმეტესობა ევროპის მეორეხარისხოვან ნაკრებებში თამაშობს - უნგრეთში, ჩეხეთში, პოლონეთში...

სლოვაკთა მთავარ საკალათბურთო საიტზე წილისყრის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი სტატიის სათაურში "გრუზინსკო" გაერია. საუბრობს მათი ნაკრების თავკაცი მილან ჟერნიკი: "შვედეთი ზედა ლიგის გუნდი იყო, მაგრამ მასზე ჯერ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. ბევრს ვერც ირლანდიაზე ვიტყვით. სამაგიეროდ საქართველოს ნაკრებზე გვაქვს საკმარისი ინფორმაცია. კავკასიელები ქვედა ეშელონის ფავორიტები არიან. მათ რიგებში ირიცხება "ატლანტა ჰოქსის" წევრი ზაზა ფაჩულია. ასევე, ჩვენთვის ცნობილია, რომ ახალ საკვალიფიკაციო ციკლს ქართველები ახალი მწვრთნელით დაიწყებენ. თუმცა, ვინ იქნება იგი, ჯერ არ ვიცით."

## ირლანდია

შარშან, აგვისტოში, ირლანდიას ვქომაგობდით - შინ შვეიცარიისთვის რომ მოეგო, საქართველო ჯგუფში არ ჩარჩებოდა. ჰოდა, თუ შვეიცარებმა იყოჩაღეს დუბლინში, ჩვენ რატომ არ უნდა გავიმეოროთ იგივე? 2007 წელს ირლანდიელებს ვერ დაეხმარა ამერიკამოვლილი **პეტ ბერკი**, მიზეზად ოჯახური პრობლემები დაასახელა. იგი ახლა რუსულ "ხიმკის" ღირსებას იცავს და შეიძლება გაისად ისევ მოირგოს ნაკრების მწვანე მაისური.

სამყურათა მთავარ ნაკრებს ახალი, მაგრამ გამოუცდელი მწვრთნელი ჰყავს - 33 წლის **ჯეი ლარანგა**, რომელიც სხვადასხვა დროს იტალიისა და ესპანეთის კლუბებში თამაშობდა. აი, როგორ იქადნება ახალგაზრდა სპეციალისტი: *"რთულ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ჩვენი მიზანი ზედა ლიგაში გადასვლაა და მჯერა, რომ ამის მიღწევა ჩვენს გუნდს შეუძლია. შვედეთი A დივიზიონიდან ახლახან გამოვარდა და უკან დაბრუნებას ეცდება. ალბათ, მაღალი მიზნები ექნება საქართველოს ნაკრებსაც, რომელშიც ზაზა ფაჩულია და არაერთი ნიჭიერი კალათბურთელი თამაშობს. ისინი ევროპის წამყვან კლუბებში არიან გაბნეულნი. სლოვაკეთთან ცუდი მოგონებები გვაკავშირებს და რევანშის აღებას ვეცდებით. არც ლუქსემბურგის დაუფასებლობა ეგების."*

ისევე როგორც სლოვაკეთი და საქართველო, ევროპის მასშტაბით წარმატებებით ვერც ირლანდია დაიკვეხნის.

## ლუქსემბურგი

ზედიზედ მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუქსემბურგელებთან მოგვიწევს დაპირისპირება. თუმცა, მადლობა უნდა ვთქვათ, რომ ბოლო კალათიდან მონტენეგროს ნაცვლად ლუქსემბურგი ამოვიდა.

ჯუჯებმა მთავარი მწვრთნელი ახლახან შეცვალეს. 2008 წელს გუნდს გერმანელი სპეციალისტი **კარსტენ შტეინერი** გაწვრთნის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ევროპის 2011 წლის შესარჩევი ეტაპი. წილისყრა

**B დივიზიონი**

A ჯგუფი: ისლანდია, პოლანდია, ავსტრია, დანია, ჩერნოგორია

B ჯგუფი: ბელარუსი, შვეიცარია, კვიპროსი, რუმინეთი, ალბანეთი

C ჯგუფი: სლოვაკეთი, საქართველო, ირლანდია, შვედეთი, ლუქსემბურგი

**C ჯგუფის კალენდარი**

**2008 წელი**

**6 სექტემბერი**
საქართველო-ლუქსემბურგი
შვედეთი-ირლანდია

**10 სექტემბერი**
სლოვაკეთი-შვედეთი
ირლანდია-საქართველო

**13 სექტემბერი**
ლუქსემბურგი-ირლანდია
საქართველო-სლოვაკეთი

**17 სექტემბერი**
შვედეთი-საქართველო
სლოვაკეთი-ლუქსემბურგი

**20 სექტემბერი**
ლუქსემბურგი-შვედეთი
ირლანდია-სლოვაკეთი

**საქართველოს ნაკრების მეტოქეები "საფეხბურთო" სტატისტიკა**

| | |
|---|---|
| საქართველო-ლუქსემბურგი | 5:1 |
| საქართველო-ირლანდია | 2:0 |
| საქართველო-სლოვაკეთი | 1:1 |
| საქართველო-შვედეთი | 0:2 |

### ევრო-1997

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**საქართველო-ლუქსემბ. 81:64**

ვაშაკიძე (16წთ, 2ქ, 2მ), კობეშავიძე (22წთ, 13ქ, 1მ, 1პ), გურასპაული (38წთ, 11ქ, 4მ, 3პ, 5ჩ), სანაძე (13წთ, 5ქ, 1პ, 1ჩ), ნაცვლიშვილი (22წთ, 7ქ, 7მ, 2ჩ), დერიუგინი (34წთ, 18ქ, 8მ, 1პ), სტეფანია (33წთ, 17ქ, 8მ, 1პ, 4ჩ), დადიანი (3წთ, 0ქ), ჩხეიძე (19წთ, 8ქ, 2მ, 1პ, 2ჩ)

**ნახევარფინალური ეტაპი**

**სლოვაკეთი-საქართველო 82:73**

ბაქრაძე (9წთ, 0ქ, 1ჩ), კობეშავიძე (24წთ, 8ქ, 1ჩ), ტურაშვილი (24წთ, 5ქ, 2მ, 2პ, 2ჩ), სანაძე (15წთ, 2ქ), ბარამიძე (17წთ, 4ქ), დერიუგინი (33წთ, 16ქ, 5მ, 3პ, 1ჩ), სტეფანია (20წთ, 29ქ, 15მ, 3პ, 4ჩ), შენგელია (27წთ, 1ქ, 1მ, 1პ, 1ჩ), ქარაბაკი (7წთ, 6ქ, 2მ), ჩხეიძე (4წთ, 2ქ)

**საქართველო-სლოვაკეთი 91:71**

ჟღენტი (6წთ, 2ქ), სტეფანია (34წთ, 22ქ, 9მ, 4ჩ), სანაძე (26წთ, 7ქ, 4მ, 1ჩ), უსტიაშვილი (32წთ, 9ქ, 7პ, 1ჩ), ნაცვლიშვილი (25წთ, 20ქ, 3მ, 2ჩ), შენგელია (4წთ, 2ქ), ქარაბაკი (30წთ, 18ქ, 6მ, 1პ, 1ჩ), დადიანი (10წთ, 1ქ, 1მ, 2პ), ბერძენიშვილი (4წთ, 4ქ, 1მ), ჩხეიძე (29წთ, 6ქ, 1მ, 2პ, 2ჩ)

### ევრო-1999

**ნახევარფინალური ეტაპი**

**შვედეთი-საქართველო 89:85**

სანაძე (27წთ, 12ქ, 3მ), სტეფანია (38წთ, 28ქ, 10მ, 2პ), ტურაშვილი (13წთ, 4ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), ბეჟანიშვილი (7წთ, 0ქ, 1ჩ), ვაშაკიძე (34წთ, 8ქ, 6მ, 6პ), ხოშტარია (7წთ, 0ქ, 1მ), ბერძენიშვილი (11წთ, 5ქ, 3მ), ნაცვლიშვილი (32წთ, 21ქ, 4მ, 1პ, 1ჩ), ჩხეიძე (31წთ, 7ქ, 2მ, 1პ, 1ჩ)

**საქართველო-შვედეთი 59:82**

ბოისა (22წთ, 8ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), ჟღენტი (26წთ, 3ქ, 2მ, 1პ, 6ჩ), აბრამიძე (35წთ, 6ქ, 1მ, 2პ), ბერძენიშვილი (3წთ, 1ქ, 2მ), ჯაფარიძე (31წთ, 16ქ, 3მ), ვ. ნაცვლიშვილი (38წთ, 11ქ, 15მ, 2პ, 1ჩ), მაისურაძე (8წთ, 5ქ), ჩხეიძე (37წთ, 9ქ, 4მ)

### ევრო-2001

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**საქართველო-ირლანდია 80:78**

თორთლაძე (6წთ, 3ქ), ბოისა (22წთ, 12ქ, 4მ), გოგობერიშვილი (4წთ, 3ქ, 1მ), ხოშტარია (31წთ, 7ქ, 1პ, 1ჩ), გ. ნაცვლიშვილი (4წთ, 0ქ), ჟღენტი (33წთ, 7ქ, 1მ, 6პ, 4ჩ), ბერძენიშვილი (13წთ, 13ქ, 3მ), ჯაფარიძე (15წთ, 6ქ, 4მ, 1ჩ), ვ. ნაცვლიშვილი (30წთ, 22ქ, 12მ, 2პ, 2ჩ), ბეჟანიშვილი (17წთ, 5ქ, 1პ), ჩხეიძე (25წთ, 2ქ, 3პ)

### ევრო-2003

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

**საქართველო-ლუქსემბ. 71:92**

ფაჩულია (21წთ, 9ქ, 9მ, 1პ), ბოისა (20წთ, 3ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), კილაძე (11წთ, 0ქ, 4მ), ხოშტარია (22წთ, 8ქ, 1მ, 1პ), ბეჟანიშვილი (20წთ, 2ქ, 2მ, 1პ), კოკოლიშვილი (13წთ, 4ქ, 2მ, 1ჩ), აბრამიძე (18წთ, 1ქ, 2მ, 1ჩ), დავითულიანი (7წთ, 0ქ, 1მ), ჯაფარიძე (1წთ, 3ქ, 2მ), გოგობერიშვილი (24წთ, 20ქ, 3მ, 2პ, 2ჩ), ქარაბაკი (28წთ, 17ქ, 7მ, 1ჩ), ცქიტიშვილი (14წთ, 4ქ, 1მ)

**საქართველო - ირლანდია 95:80**

ფაჩულია (34წთ, 20ქ, 13მ, 2პ, 5ჩ), ბოისა (12წთ, 3ქ, 2ჩ), კილაძე (11წთ, 2ქ, 2მ, 1ჩ), ხოშტარია (25წთ, 15ქ, 5პ, 3ჩ), ბეჟანიშვილი (22წთ, 6ქ, 3მ, 3პ, 1ჩ), კოკოლიშვილი (3წთ, 0ქ), აბრამიძე (10წთ, 4ქ), დავითულიანი (13წთ, 4ქ, 1მ, 2პ, 1ჩ), გოგობერიშვილი (31წთ, 16ქ, 3პ, 1ჩ), ცქიტიშვილი (35წთ, 25ქ, 7მ, 1პ, 1ჩ)

### ევრო-2005

**B დივიზიონი**

**ლუქსემბ.-საქართველო 61:87**

უილიამსი (40 წთ. 15 ქ. 5 მ. 9 პ. 6 ჩ. 1 დ.), მარკოიშვილი (29 წთ. 13 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ.), ბოისა (33 წთ. 20 ქ. 14 მ. 1 პ. 3 ჩ.), ცქიტიშვილი (26 წთ. 7 ქ. 4 მ. 1 პ. 3 ჩ.), ფაჩულია (21 წთ. 16 ქ. 10 მ. 1 პ. 2 ჩ.), გამყრელიძე (11 წთ. 5 ქ. 1 მ. 1 პ. 2 ჩ), ცინცაძე (22 წთ. 8 ქ. 2 მ. 1 პ. 1 ჩ.), ხეცურიანი (18 წთ. 3 ქ. 1 მ. 1 პ. 2 ჩ.).

**საქართველო-ლუქსემბ 87:65**

გ. მარკოიშვილი (9 წთ. 8ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ.), ვ. ბოისა (30 წთ. 25 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ.), ცქიტიშვილი (28 წთ. 8 ქ. 5 მ. 1 პ. 2 ჩ. 1 დ), ფაჩულია (31 წთ. 30 ქ. 21 მ. 4 პ. 2 ჩ. 1 დ), გამყრელიძე (26 წთ. 5 ქ. 1 მ. 11 პ. 1 ჩ), ცინცაძე (17 წთ. 4 ქ. 2 პ. 1 ჩ.), ხეცურიანი (11 წთ. 1 პ), ა. ბოისა (23წთ. 1მ. 2პ), საყვარელიძე (12წთ. 3ქ. 1პ), კეიდია (3წთ), უგრეხელიძე (7ქთ. 2ქ. 1მ. 2პ.), მდივანი (3წთ. 2ქ. 1პ)

### ევრო-2007

**B დივიზიონი**

**საქართველო-ლუქსემბ. 86:44**

გამყრელიძე (13 წთ. 2ქ. 6პ. 4ჩ. 1დ), ვ. ბოისა (17 წთ. 11ქ. 3მ. 2პ. 1ჩ), ა. ბოისა (15 წთ. 2ქ. 3მ. 2პ), ფაჩულია (26 წთ. 7ქ. 5მ. 1პ. 3ჩ), ცინცაძე (22წთ. 15ქ. 4მ. 3პ. 1ჩ), შერმადინი (4 წთ. 2ქ. 3მ), ელისი (27 წთ. 12ქ. 4მ. 5პ. 1ჩ), მარკოიშვილი (25 წთ. 11ქ. 4მ. 1პ. 2ჩ. 1დ), უგრეხელიძე (6 წთ. 4ქ), ნაცვლიშვილი (11 წთ. 7ქ. 5მ. 1პ), სანიკიძე (21 წთ. 6ქ. 5მ. 1პ. 3ჩ), ცქიტიშვილი (13 წთ. 7ქ. 4მ)

**ლუქსემბ-საქართველო 60:88**

გამყრელიძე (11 წთ. 10ქ. 3მ. 1პ. 3ჩ), ა. ბოისა (10 წთ), ფაჩულია (31 წთ. 16ქ. 5მ. 1დ. 1ჩ), ცინცაძე (20წთ. 8ქ. 4მ. 1პ. 1ჩ), შერმადინი (3 წთ. 5ქ. 4მ), ელისი (28 წთ. 10ქ. 1პ. 4ჩ), მარკოიშვილი (27 წთ. 16ქ. 2პ. 1დ), უგრეხელიძე (7 წთ. 2ქ. 2მ), ნაცვლიშვილი (21 წთ. 14ქ. 5მ. 1პ. 1ჩ), სანიკიძე (22 წთ. 4ქ. 6მ. 2პ. 2ჩ. 2დ), ბაბიაშვილი (4წთ)




ტრანსფერი

# ყველაფერი ლებრონისთვის

## კლივლენდმა შემადგენლობის 60 პროცენტი გადაახალისა

ასოციაციაში სატრანსფერო ციებცხელება მაშინ გაჩაღდა, როდესაც "ლეიკერსმა" "მემფისთან" გაცვლის შედეგად ესპანელი ფორვარდი **პაუ გასოლი** დაიმატა და ეგრევე თავსატეხი გაუჩინა სხვა გრანდებს, მერე კი წამოვიდა და წამოვიდა - **შაკილ ონილი** "ფინიქსში", **შონ მერიონი** "მაიამიში", **ჯეისონ კიდი** "დალასში", **დევინ ჰარისი** "ნიუ ჯერსიში"... შაკის შესაჩერებლად "სან ანტონიომ" ვეტერანი ფორვარდი **კურტ ტომასი** დაიმატა, მანამდე კი, ასევე ვეტერანი უკანახაზელით **დეიმონ სტაუდმაიერით** შეავსო შემადგენლობა, "ატლანტამ" უკანა ხაზი **მაიკ ბიბითი** გააძლიერა, ხოლო გუშინ შედგა სამგუნდიანი გაცვლა, რომლის შედეგადაც აღმოსავლეთში "ბოსტონსა" და "დეტროიტს" უკვე მესამე გრანდი დაემატა.

"კლივლენდ კავალიერსს" ცუდი შემადგენლობა არც მანამდე ჰყოლია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ გუნდის წარმატება მთლიანად ერთ კაცზე, **ლებრონ ჯეიმსზე** იყო დამოკიდებული, ახლა კი "კლივლენდმა" დაცვაც გააძლიერა და საერთოდაც, გაცილებით დაბალანსებული შემადგენლობა ეყოლება.

მოკლედ, "კლივლენდმა", "ჩიკაგომ" და "სიეტლმა" ივაჭრეს და შედეგად, ასეთი სურათი მივიღეთ:

**"კლივლენდი"**: "ჩიკაგოდან" დაიმატა ბებერი, მაგრამ მაინც გამოსადეგი ცენტრი **ბენ უოლასი** და მძიმე ფორვარდი **ჯო სმიტი**, "სიეტლიდან" კი ძალიან კარგი მსროლელი **უოლი შჩერბიაკი** და უკანახაზელი **დელონტე უესტი** მიიღო.

**"ჩიკაგო"**: უოლასის ნაცვლად "კლივლენდიდან" მიიღო მძიმე ფორვარდი **დრიუ გუდენი**, გამთამაშებელი **ლარი ჰიუზი**, ფორვარდი **სედრიკ სიმონსი** და მცველი **შენონ ბრაუნი**.

**"სიეტლი"**: "კლივლენდიდან" მიიღო ფორვარდები **აირა ნიუბლი** და **დონიელ მარშალი**, რომლებსაც უკანასკნელი საკონტრაქტო სეზონები აქვთ, ხოლო "ჩიკაგოდან" კი მსროლელი **ედრიან გრიფინი** დაიმატა. ამასთან ერთად, "სიეტლმა" "ბულზისგან" 2009 წლის დრაფტის მეორე წრეში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

შარშანდელთან შედარებით, "კავალიერსს" დაცვა დაუსუსტდა, სადაც ბრაზილიელი **ანდერსონ ვარეჟაოს** ტრავმამ უამრავი ნაპრალი გააჩინა, ხოლო **ჟიდრუნას ილგაუსკასი** და დრიუ გუდენი კი არასოდეს ყოფილან ძლიერი დამცველები.

"კავალიერსის" საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი **დენი ფერი** დიდი ხანია ცდილობდა ლებრონისთვის ვინმე ძლიერი, გამოცდილი მოთამაშის დამატებას, მაგრამ სეზონის დასაწყისში ჩაიშალა თითქმის შემდგარი ტრანსფერი "საკრამენტოსთან", რომლის შედეგად, ბიბი "კლივლენდში" უნდა გადასულიყო, ხოლო "მეფეები" კი ლარი ჰიუზს მიიღებდნენ.

*"არა მგონია, ამ ტრანსფერმა მთელს ლიგაში ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, მაგრამ ეს ნაკლებად მადარდებს. მთავარია, ახალი მოთამაშეებით ახალი ენერგია და თავდაჯერებულობა შევიმატოთ და პლეი ოფში რაც შეიძლება მაღალი განთესვის ადგილი დავიბევოთ"*, - მიაჩნია ფერის, რომელიც აღმოსავლეთის მთავარ ფავორიტად მაინც "დეტროიტ პისტონზს" მიიჩნევს.

ფერიმ "კავალიერსის" სასტარტო ხუთეულის 60 პროცენტი გაუშვა გუნდიდან, თუმცა შევსება საკმაოდ სოლიდურია და ამ გუნდით, "კლივლენდს" თავისუფლად შეუძლია "სელტიქსისა" და "პისტონზის" საპლეიოფო სერიაში დამარცხება.

რა შეიმატა "კლივლენდმა"?

პირველ რიგში, გამოცდილება.

უოლასი ის აღარაა, რაც თუნდაც ორი წლის წინათ, მაგრამ "დიდ ბენს" დაცვის ჩარაზვა ახლაც მშვენივრად შეუძლია და ვივარაუდოთ, რომ მაიკ ბრაუნი მას **კევინ გარნეტზე, დუაიტ ჰოვარდზე, კრის ბოშსა** და **რაშიდ უოლასზე** დაგეშავს. უოლასს ამ ხალხის წინააღმდეგ ადრეც საკმაოდ წარმატებულად უმუშავია დაცვაში.

*"უოლასი მონსტრია და ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ "ბულზში" მისი სტატისტიკა გაუარესდა. "ჩიკაგოში" სულ სხვა კალათბურთს თამაშობდნენ და "კლივლენდში" ბენს ელის ის, რამაც იგი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველ ცენტრად აქცია"*, - ასეთია კლივლენდელთა დამრიგებლის **მაიკ ბრაუნის** აზრი.

ასევე დიდი ძალაა ჯო სმიტი. თავის დროზე, დრაფტის პირველ ნომრად "გოლდენ სტეიტის" მიერ არჩეული ფორვარდი მთლად გიგანტად თუ ვერ იქცა, ყოველ შემთხვევაში, დღესაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება და "კავალიერსს" მოხსნებზეც და შეტევაშიც შეეშველება. ისიც ვთქვათ, რომ სმიტი გუდენზე გაცილებით კარგი ინდივიდუალური დამცველია. 32 წლის ჯო მიმდინარე რეგულარულში ერთ მატჩში საშუალოდ 11.2 ქულასა და 5.3 მოხსნას აგროვებს და მოედანზე 30 წუთს ატარებს.

ძირითადში დადგება შჩერბიაკი, რომელიც "სიეტლში" **კევინ დიურანის** შემცვლელად იქცა, თუმცა ლიმიტირებულ დროში მაინც ახერხებდა ერთ მატჩში საშუალოდ 13.1 ქულის დაგროვებას.

"ჩიკაგომ" კი საბოლოოდ დაამტკიცა, რომ გუნდის პოლიტიკა შემადგენლობის რადიკალურად გადახალისებაა და მომავალში ილინოისელები აქცენტს ახალგაზრდებზე გააკეთებენ. "ბულზის" გენერალური მენეჯერის **ჯონ პაქსონის** თქმით, აქცენტი **ლუოლ დენგზე, კირკ ჰაინრიხზე, კრის დიუჰონსა** და შვეიცარიელ **ტაბო სეფოლოშაზე** გაკეთდება. რაც შეეხება "ბულზის" საუკეთესო მექულეს, **ბენ გორდონს**, ნიჭიერი უკანახაზელი ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება და წინასწარი ინფორმაციით, "ჩიკაგოში" დარჩენის წინააღმდეგია. ასევე გუნდში დარჩება არგენტინელი ფორვარდი **ანდრეს ნოჩიონი**, რომელიც პაქსონის ფავორიტია და გუნდშიც საკმაოდ პოზიტიურ აურას ქმნის.

**ზურაბ თალაკვაძე**



ბენ უოლასი კლივლენდისთვის იბრძოლებს

ახალი ამბები

## ბოლო ტრეიდები

"კლივლენდს", "ჩიკაგოსა" და "სიეტლს" შორის შემდგარი გრანდიოზული გაცვლის გარდა, გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ტრეიდი განხორციელდა.

მოთამაშეები გაცვალეს "დეტროიტმა" და "ტორონტომ". "პისტონზის" რიგებში აღმოჩნდა მცველი **ხუან დიქსონი**, ხოლო კანადაში მოუწია გადაბარგება სლოვენიელ ცენტრ **პრიმოჟ ბრეჟეცს**.

■ ■ ■

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, ასევე სამგუნდიანი ტრეიდი განხორციელდა "ჰიუსტონს", "ნიუ ორლეანსა" და "მემფისს" შორის. გარიგების თანახმად, "ჰორნეთსის" მცველები - **ბობ ჯექსონი** და **ადამ ჰალუშკა** მიიღო, საპირისპირო მიმართულებით კი, აწ უკვე ყოფილი ჰიუსტონელები, ფორვარდი **ბონზი უელსი** და მცველი **მაიკ ჯეიმსი** გაემგზავრებიან. რაც შეეხება "მემფისს", მან უფლებები მიიღო ბრაზილიელ ფორვარდ **მარკ ვინიციუსზე** ("ნიუ ორლეანი") და **მალიკ ბადიანზე** ("ჰიუსტონი"), სანაცვლოდ კი, "ჰიუსტონს" უკრაინელი ფორვარდი **სერგეი ლიშჩუკი** დაუთმო.

■ ■ ■

"ჰიუსტონ როკეტსი" მხოლოდ ამ ტრეიდით არ შემოიფარგლა და შემადგენლობა "მინესოტა ტიმბერვულვზის" მცველით, **ჯერალდ გრინით** გააძლიერა. ჩატენვების კონკურსის შარშანდელი გამარჯვებულისთვის, "როკეტსს" მცველ **კირკ სნაიდერისა** და 2008 წლის დრაფტზე მეორე წრეში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლების დათმობა მოუწია.

## გიბსონი თვეზე მეტს გამოტოვებს

"კლივლენდ კავალიერზის" მცველი **დანიელ გიბსონი** 4-6 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ასეთი დიაგნოზი დასვეს ექიმებმა კალათბურთელის ტრავმირებული ფეხის გამოკვლევის შემდეგ.

გიბსონმა ტრავმა "ინდიანასთან" მატჩის მეორე მეოთხედში მიიღო, როცა **ტრევის დიენერს** შეეჯახა.

ამ სეზონში კლივლენდელმა 48 მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ შეხვედრაში 11.5 ქულას აგროვებდა.

## ბატისტა მეორე ტურის რჩეულია

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშე ისრაელის "მაკაბის" ფორვარდი **ესტებან ბატისტა** გახდა. მართალია, ისრაელის ჩემპიონი კაუნასში "ჟალგირისის" წინააღმდეგ განადგურდა (82:101), მაგრამ ურუგვაელმა კალათბურთელმა სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ბატისტამ 25 ქულას, 13 მოხსნასა და 3 ჩაჭრას მოუყარა თავი, რამაც საბოლოოდ 27 სარეიტინგო ქულა შეადგინა.

ბატისტას გარდა, ტურის MVP-ის ტიტულზე პრეტენზიას **იონას მაჩიულისი** ("ჟალგირისი"), **ერაზემ ლორბეკი** ("რომა"), **ჩაკ ეიდსონი** და **კენან ბაირამოვიჩი** (ორივე - "ლეტუვოს რიტასი") აცხადებდნენ.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მინესოტა-სან ანტონიო 99:100**

21:22, 32:31, 19:21, 27:26

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (28 ქ. 5 მ. 3 დ), მაკკენტსი (15 ქ. 5 მ. 2 ჩ), ტელფეირი (15 ქ. 4 პ), ფოიე (13 ქ. 7 პ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (44 ქ. 4 პ. 3 მ), დანკანი (24 ქ. 14 მ. 7 პ. 4 დ. 3 ჩ), ფინლი (13 ქ).

**ჰიუსტონი-მაიამი 112:100**

41:26, 21:22, 25:27, 25:25

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (23 ქ. 10 პ. 2 ჩ), მინი (21 ქ. 9 მ), ლანდრი (19 ქ. 5 მ), ალსტონი (16 ქ. 11 პ. 6 მ. 3 ჩ), ბეტიე (12 ქ. 5 მ. 4 პ), სკოლა (11 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ).

**მაიამი:** უეიდი (33 ქ. 11 პ. 4 მ), მერიონი (18 ქ. 10 მ. 2 დ), რ. დევისი (12 ქ), ბლაუნტი (11 ქ).

**პორტლენდი-სიეტლი 92:88**

23:25, 28:16, 19:26, 22:21

**პორტლენდი:** როი (19 ქ. 14 მ. 5 პ. 3 ჩ), ტ. აუთლო (19 ქ), ოლდრიჯი (18 ქ. 12 მ. 5 დ. 3 პ), ჯეკი (15 ქ. 6 პ. 4 ჩ), პრჟიბილა (5 ქ. 11 მ. 4 დ).

**სიეტლი:** დიურანი (20 ქ. 6 მ. 2 პ), ე. უოტსონი (15 ქ. 9 პ. 8 მ), კოლისონი (13 ქ. 14 მ), ჯ. გრინი (13 ქ. 9 მ), რიდნური (10 ქ).

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. II ტური

**D ჯგუფი**

**ეფეს-მონტეპასკი 76:79 (ო)**

13:12, 17:16, 14:21, 25:20, 7:10

**ეფეს პილზენი:** კოუგო (20 ქ. 7 მ. 2 ჩ), ჰატსონი (14 ქ. 4 მ), ნიკოლასი (12 ქ. 7 მ. 3 პ), გონლუმი (11 ქ. 4 მ).

**მონტეპასკი:** ტორნტონი (18 ქ. 6 მ), მაკინტაირი (12 ქ. 8 პ. 4 მ), ეზე (12 ქ. 7 მ. 4 ჩ. 2 დ), სატო (12 ქ. 5 ჩ).

**პანათინაიკოსი-პარტიზანი 67:65**

21:23, 13:17, 15:16, 18:9

**პანათინაიკოსი:** სპანულისი (20 ქ. 3 მ. 3 პ. 3 ჩ), დიამანტიდისი (9 ქ. 5 ჩ), ბატისტე (9 ქ. 12 მ. 2 პ. 2 ჩ).

**პარტიზანი:** კეჩმანი (13 ქ. 3 მ), პალასიო (11 ქ. 4 ჩ), ვიტკოვაჩი (10 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ), ტეპიჩი (9 ქ. 4 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 2-0 | +20 |
| 2. ეფეს პილზენი | 1-1 | +7 |
| 3. პანათინაიკოსი | 1-1 | -8 |
| 4. პარტიზანი | 0-2 | -19 |

**E ჯგუფი**

**ტაუ-ფენერბახჩე 103:84**

25:17, 25:21, 24:18, 29:28

**ტაუ:** ვიდალი (14 ქ. 3 პ), პლანინიჩი (14 ქ. 3 პ), რაკოჩევიჩი (13 ქ. 5 პ), ტელეტოვიჩი (!2 ქ. 4 მ), სპლიტერი (12 ქ. 4 მ. 2 დ), მაკდონალდი (11 ქ. 7 პ), მუონეკე (10 ქ. 2 ჩ).

**ფენერბახჩე:** შავაში (20 ქ. 5 მ), სოლომონი (14 ქ. 4 მ. 2 ჩ), კაანი (12 ქ), კინსი (10 ქ).

**ლ. რიტასი-არისი 89:74**

27:11, 22:20, 16:18, 24:25

**ლიეტუვოს რიტასი:** ეიდსონი (18 ქ. 5 პ. 2 ჩ), ლუკაუსკისი (18 ქ), ბაირამოვიჩი (17 ქ. 7 მ), ჰ. პრაისი (15 ქ. 5 პ), პეტრაიჩუსი (9 ქ. 5 მ).

**არისი:** მასეი (19 ქ. 8 მ), დ. ვაშინგტონი (11 ქ. 3 პ. 3 ჩ), ცალდარისი (10 ქ. 4 მ), ვ. ბოისა (5 ქ. 2 მ. 1 პ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 2-0 | +22 |
| 2. ლიეტუვოს რიტასი | 1-1 | +12 |
| 3. ფენერბახჩე | 1-1 | -11 |
| 4. არისი | 0-2 | -23 |

**F ჯგუფი**

**ჟალგირისი-მაკაბი 101:82**

21:26, 27:22, 31:14, 22:20

**ჟალგირისი:** მაციულისი (22 ქ. 7 მ), მ. ბრაუნი (19 ქ. 3 მ. 3 პ), კოლინზი (12 ქ. 7 პ), ნდიაიე (11 ქ. 12 მ. 4 ჩ), პოპოვიჩი (11 ქ).

**მაკაბი:** ე. ბატისტა (25 ქ. 13 მ. 2 ჩ), უ. ბინუმი (13 ქ. 3 მ. 2 ჩ), კამინგსი (11 ქ).

**რეალი-ოლიმპიაკოსი 80:70**

27:14, 18:21, 17:18, 18:17

**რეალი:** მუმბრუ (16 ქ. 4 მ), ბალოკი (14 ქ. 3 პ), ჩ. სმიტი (13 ქ. 3 პ. 3 ჩ), თუნჩერი (9 ქ).

**ოლიმპიაკოსი:** ლ. გრირი (15 ქ. 3 პ. 2 ჩ), მ. ჯექსონი (11 ქ. 3 მ), ვუდსი (11 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ), ვასილოპულოსი (10 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 2-0 | +13 |
| 2. ჟალგირისი | 1-1 | +16 |
| 3. მაკაბი | 1-1 | -11 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 0-2 | -18 |

**G ჯგუფი**

**ცსკა-ბარსელონა 72:55**

16:11, 16:14, 16:18, 24:12

**ცსკა:** დ. ანდერსენი (20 ქ. 8 მ), შიშკაუსკასი (16 ქ), ლენგდონი (10 ქ. 5 ჩ. 3 პ), გორე (9 ქ. 7 მ).

**ბარსელონა:** ლაკოვიჩი (11 ქ. 3 მ. 2 პ), კასუნი (7 ქ. 4 მ).

**რომა-უნიკახა 75:67**

12:17, 27:17, 19:19, 17:14

**რომა:** უკიჩი (19 ქ. 2 ჩ), დ. ჰოკინსი (11 ქ. 4 მ), სრეფანსონი (10 ქ), გაბინი (10 ქ), ე. ლორბეკი (9 ქ. 6 მ. 4 ჩ).

**უნიკახა:** ჰეისლიპი (20 ქ. 6 მ), ველში (12 ქ. 5 მ. 3 პ), კუსი (11 ქ. 3 მ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2-0 | +18 |
| 2. რომა | 1-1 | +7 |
| 3. ბარსელონა | 1-1 | -15 |
| 4. უნიკახა | 0-2 | -10 |

მძლეოსნობა

მსოფლიო თასი

# პაუელმა მოგებით დაიწყო

ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს იამაიკელმა რეკორდსმენმა **ასაფა პაუელმა**, ვინც, მუხლის ტრავმის მიუხედავად, დიდი პრიზის სერიის მელბურნის შეხვედრაზე მაინც იასპარეზა და მართალია, თავისივე რეკორდამდე (9.74) ბევრი დააკლდა, მაგრამ მაინც ყველა მეტოქე ადვილად ჩამოიტოვა.

პაუელმა სტარტიდან 40 მეტრში ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა და ფინიშამდე ლიდერობა იოლად შეინარჩუნა. გარბენი მან 10.04 წამში დაასრულა და 0.21 წამით ჩამოიტოვა მეორეზე გასული თავისი თანამემამულე **მაიკ ფრეიტერი**.

*"ჩემგან ყველა გამარჯვებას ელოდა, მაგრამ თავად ძალიან გაოცებული ვარ. ორი კვირაა, არ მივარჯიშია, რაც მუხლი დავიზიანე, მას შემდეგ სარბენი ფეხსაცმელიც კი პირველად ჩავიცვი"*, - განაცხადა პაუელმა, ვინც ამავე ტრავმის გამო, დიდი პრიზის სერიის სიდნეის შეხვედრა გამოტოვა და მელბურნში გამოსვლაზეც ბოლო მომენტში მიიღო გადაწყვეტილება.

მელბურნში პაუელის გამოსვლა, ტურნირის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც სათუო იყო. საბოლოოდ, სპრინტერმა გარისკვა ამჯობინა და ამით ძლიერ გაახარა მაყურებელი, რომელთა წინაშეც, ორი წლის წინათ, მელბურნის "კრიკეტ გრაუნდზე" თანამეგობრობის თამაშებში გაიმარჯვა. ახლაც, რეკორდსმენის სანახავად, ასპარეზობას უამრავი მაყურებელი დაესწრო და იამაიკელმაც ისინი არ გააწბილა.

*"ჩემი ტრავმა არც ისე სერიოზულია – კუნთი არ დამზიანებია. ამიტომ, ძალიან მოვინდომე და საასპარეზოდ გამოვედი. ავსტრალიაში სავარჯიშოდ და ამ ორ ტურნირზე გამოსასვლელად ჩამოვედი და არ მინდოდა, აქედან ისე წავსულიყავი, ერთხელ მაინც არ მერბინა. ჩემი შედეგი იმას მეუბნება, რომ სეზონის დასაწყისში იმაზე უფრო სწრაფად დავრბივარ, ვიდრე ორი წლის წინათ, როცა აქ თანამეგობრობის თამაშებზე გავიმარჯვე. ჰოდა, მეც კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა 25 წლის პაუელმა, ვისაც ჯერ ერთი დიდი ტურნირიც (მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადა) არ მოუგია.

მელბურნში კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯერემი უორინერმაც** იასპარეზა, ვისაც ბრონქები აქვს გაციებული, მაგრამ მაინც იოლად მოიგო თავისი გარბენი.

*"ორი კვირაა, გაციებული ვარ – მახველებს და ყელიც მტკივა, რის გამოც, სირბილისას სუნთქვა მიჭირს. მაგრამ ამის მიუხედავად, ტურნირზე გამოსვლა მაინც გადავწყვიტე. ჩემი შედეგით კმაყოფილი ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ახლანდელი კონდიცია მეტის საშუალებას არ მაძლევს"*, - განაცხადა 24 წლის ამერიკელმა, ვინც დისტანცია 44.82 წამში გაირბინა, ფინიშის შემდეგ კი სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ტამპა ბეი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 შატანი-14 (ბერგენჰაიმი-10, ფატა-1).

**ფილადელფია-სან ხოსე 1:3**

0:1, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 ჩიჩუ-17 (ჯ. ტორნტონი-52, ვლასიჩი-10), 1:1 ნუბლი-22 (რუჟიჩკა-3, მ. რიჩარდსი-43), 1:2 მ. მიხალეკი-20 (ჯ. ტორნტონი-53, მაკლარენი-7), 1:3 დ. მიურეი-1 (პაველსკი-10, ბერნიე-10).

**კაროლინა-ატლანტა 5:3**

0:0, 3:2, 2:1

გოლები: 1:0 რეი უიტნი-25 (ე. სტაალი-26), 1:1 პერენი-11 (მარიან ჰოსა-28, ვიაჩ. კოზლოვი-18), 2:1 ბაიდა-2 (გლისონი-11, ს. უოკერი-12), 3:1 სამსონოვი-7 (ფ. კაბერლე-14, ლეტოვსკი-4), 3:2 რეკი-11 (კოვალჩუკი-28, მარიან ჰოსა-29), 4:2 ს. უოკერი-7 (უესლი-5, ლეტოვსკი-5), 5:2 კ. ოკუანი-4 (ს. უოკერი-13, ბაიდა-1), 5:3 ტ. უაიტი-14 (კოვალჩუკი-29, რეკი-24).

**ტორონტო-ბაფალო 1:5**

0:1, 1:3, 0:1

გოლები: 0:1 ბ. კემპბელი-5 (მპაჩეკი-18, მეირი-5), 0:2 ვანეკი-26 (მპაჩეკი-19, ბ. კემპბელი-38), 1:2 კუბინა-5 (ტ. კაბერლე-32, ტოსკალა-1), 1:3 კოტალიკი-15 (ვანეკი-20, ლიდმანი-16), 1:4 დ. რუა-23 (ვანეკი-21, პომინვილი-38), 1:5 კოტალიკი-16 (გოსტადი-18).

**მონრეალი-პიტსბურგი 4:5**

0:2, 2:1, 2:2

გოლები: 0:1 რაიან უიტნი-12 (მალკინი-46, სიკორა-25), 0:2 ი. რუუტუ-2, 1:2 ს. კოივუ-12 (ს. კოსტიცინი-10, ო'ბირნი-4), 1:3 მელოუნი-20 (რაიან უიტნი-19, სიკორა-26), 2:3 ჰიგინსი-19 (კოვალიოვი-33, მარკოვი-36), 3:3 რაიდერი-12 (მტრაიტი-33, გორჯესი-5), 4:3 ჰამრლიკი-4 (ს. კოივუ-33, კოვალიოვი-34), 4:4 მალკინი-35 (მელოუნი-17), 4:5 გონჩარი-10 (რაიან უიტნი-20, მალკინი-47).

**ოტავა-კოლამბუსი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 სტილმანი-22 (ვერმეტი-21, კელი-14), 1:1 ნეში-32 (მოდინი-3), 2:1 მეზაროში-9 (ვერმეტი-22, ჰიტლი-36), 2:2 ფიოდოროვი-9 (ბრული-4, ჟერდიოვი-28).

ბულიტები გაიტანეს: ნეში (კოლამბუსი), ჟერდიოვი (კოლამბუსი).

**ფლორიდა-ბოსტონი 4:5 (ბ)**

1:0, 3:2, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ბოუმისტერი-11 (ბ. ალენი-12, კრეპსი-15), 1:1 შტურმი-20 (კობესოუ-13, ვიდემანი-18), 2:1 მონტადორი-6 (ოლეში-9, გ. კემპბელი-10), 3:1 ოლეში-10 (მონტადორი-12, სალეი-20), 3:2 ვიდემანი-9 (სავარი-53, შტურმი-21), 4:2 კრეპსი-6 (ბუტი-12), 4:3 ხარა-12 (შტურმი-22, სავარი-54), 4:4 კესელი-15 (კრეისი-12, ლუჩიჩი-12).

ბულიტები გაიტანეს: შტურმი (ბოსტონი).

**ნეშვილი-ვანკუვერი 2:3 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 რეიმონდი-6 (შენონი-4, კუკი-9), 1:1 არნოტი-22 (დუმონი-35, ჟიდლიცკი-31), 1:2 ედლერი-6 (რეიმონდი-12, შენონი-5), 2:2 ჟიდლიცკი-5 (ლეგვანდი-27, არნოტი-36).

ბულიტები გაიტანეს: რეიმონდი (ვანკუვერი).

**ლ. ანჯელესი-სტ. ლუისი 5:1**

0:0, 4:0, 1:1

გოლები: 1:0 კოპიტარი-26 (ო'სალივანი-20, ვიშნოვსკი-25), 2:0 ფროლოვი-17 (კამალერი-19, ო'სალივანი-21), 3:0 ფროლოვი-18 (ო'სალივანი-22, კამალერი-20), 4:0 ო'სალივანი-15 (ბ. სტიუარტი-16, კოპიტარი-31), 5:0 ფროლოვი-19 (კამალერი-21, ო'სალივანი-23), 5:1 რუჩინსკი-5 (სტემპნიაკი-22, ე. ჯონსონი-20).

## ტურის მოვლენები

- "აილენდერსის" მეკარემ **რიკ დიპიეტრომ** 32 დარტყმა მოიგერია და სეზონში მესამე, ხოლო კარიერაში მე-14 შათაუტი შეასრულა.

- "კუნძულელებმა" 2003 წლის შემდეგ პირველად შეძლეს ზედიზედ 6 მატჩის მოგება. გარდა ამისა, ნიუიორკული კლუბი ზედიზედ ათი მატჩია მინიმუმ ქულას ილებს შეხვედრაში.

- ექვსმატჩიან მოგებათა სერიაში, დიპიეტრომ საკუთარ კარში მხოლოდ 12 გოლი გაუშვა.

■ ■ ■

-"ფილადელფიას" მოუგებელმა სერიამ 9 მატჩს მიაღწია და ერთი თვის წინ აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი პლეი ოფის ზონის მიღმა აღმოჩნდა.

- "სან ხოსემ" შეწყვიტა 5-მატჩიანი წაგებათა სერია.

■ ■ ■

- "კაროლინამ" თავისი კაპიტნის, **რობ ბრინდამორის** დაკარგვის შემდეგ 6 შეხვედრა ჩაატარა და 4 მოიგო. გარდა ამისა, ამ გუნდმა ბოლო 6 საშინაო მატჩში 5 გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

- "ბაფალომ" ბოლო 14 მატჩში მეათედ მოიგო და ახლა ეს გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილს იყოფს "ნიუ იორკ რეინჯერსთან".

■ ■ ■

- პიტსბურგელი **ევგენი მალკინი** პირველი ჰოკეისტია ამ სეზონში, ვინც 80-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. რუსი ვუნდერკინდის ანგარიშზე 82 ქულაა (35+47). მალკინი ზედიზედ 10 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს.

- "პიტსბურგის" კიდევ ერთმა რუსმა ლეგიონერმა, მცველმა **სერგეი გონჩარმა** კარიერაში მე-600 ქულა დააგროვა. ამ შედეგის მისაღწევად ვეტერანს 883 მატჩი დასჭირდა.

- "პინგვინზი" ქულათა რაოდენობით გაუთანაბრდა "ნიუ ჯერსი დევილზს" და ამ გუნდთან ერთად პირველ ადგილს იყოფს ატლანტის ოკეანის დივიზიონში.

■ ■ ■

- "კოლამბუსმა" თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიგო ოტავაში.

- აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერმა "ოტავამ" ბოლო 5 მატჩში მეოთხედ წააგო.

- უგოლოდ დატოვა მოედანი "ოტავას" პირველმა შემტევმა სამეულმა. **დანიელ ალფრედსონმა, ჯეისონ სპეცამ** და **დენი ჰიტლიმ** ჯამში ერთი საგოლე პასი მიითვალეს. ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ტრიოს ბოლო ხუთ მატჩში მხოლოდ ორი გოლი აქვს გატანილი.

■ ■ ■

- "ბოსტონმა" ბოლო 6 გასვლით შეხვედრაში 5 გამარჯვება მოიპოვა.

- "ფლორიდამ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო, ბოლო 6 ტურში კი, მეხუთედ დამარცხდა.

- "ბოსტონის" ფორვარდმა **მარკ სავარმა** ორი საგოლე პასი მიითვალა და 54 შედეგიანი გადაცემით ლიგის ლიდერი გახლავთ.

- ბოსტონელმა **პი ჯეი აქსელსონმა** NHL-ში მე-700 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- "ლოს ანჯელესის" რუსმა ლეგიონერმა **ალექსანდრ ფროლოვმა** კარიერაში მესამე ჰეთ-თრიკი შეასრულა.



მალკინი 80 ქულამდე ავიდა

# TV სპორტი

### 23 თებერვალი. შაბათი

**I არხი**

14:05 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ოლიმპი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ჰანოვერი.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მიდლსბრო (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
23:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:37 სპორტკლუბი.
08:51 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:18 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:48 ფეხბურთი. Barca TV.
09:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:07 სპორტდოსიე.
10:37 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:08 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
11:37 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
13:42 სპორტის სამყარო.
14:12 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
16:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი (LIVE).
18:45 სპორტკლუბი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მიდლსბრო (LIVE).
20:57 სპორტკლუბი.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
23:12 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
00:54 სპორტკლუბი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. სან კაეტანო-ბარუერი (LIVE).
03:07 სპორტდოსიე.
03:38 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VII ეტაპი. კვალიფიკაცია. ს. აფრიკა.
05:29 პროფესიული კრივი. IBF/WBO. სუპერმძიმე წონა. ვლადიმერ კლიჩკო-სულთან იბრაჰიმოვი. ნიუ იორკი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. სპრინტი. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
13:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
14:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. მასსტარტი. 10 კმ. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 15 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
16:00 მულტისპორტი.
16:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 30 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
18:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
22:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:00 კიკბოქსინგი (LIVE).
01:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
01:45 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლევერკუზენი-გალათასარაი.
15:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰელსინგბორგი-ეინდჰოვენი.
16:30 სნოუბორდი. ნორვეგია (LIVE).
17:45 მულტისპორტი.
18:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. დოჰა. კატარი.
20:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ბარსელონა (ესპანეთი).
22:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. სლაგელსე (დანია)-ვიბორგი (დანია).
23:30 ახალი ამბები.
00:00 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
01:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. სან ხოსე აშშ (LIVE).
02:45 სნოუბორდი. ნორვეგია.
03:30 ახალი ამბები.

### 24 თებერვალი. კვირა

**I არხი**

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მაკაბი-ენერჯიინვესტი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი.
13:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:35 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-აიაქსი (LIVE).
17:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:45 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ასტონ ვილა.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ბოლტონი.
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი (LIVE).
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:32 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
10:18 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბორდო-ანდერლეხტი.
12:01 ფეხბურთი. Barca TV.
12:08 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
14:13 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:43 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:13 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ოტავა.
17:01 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:29 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:59 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ფიორენტინა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ლევანტე (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე (LIVE).
01:56 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ლაციო.
03:42 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
05:44 სპორტდოსიე.
06:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ბოლტონი.

**EUROSPORT**

11:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. დოჰა. კატარი.
12:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დოჰა. კატარი.
13:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
14:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
15:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა 4x10 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
19:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 7.5 კმ. ზაკოპანე. პოლონეთი.
19:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
22:15 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:15 კრივი.
01:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
03:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
04:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
14:15 ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა 4x5 კმ. ფალუნი. შვედეთი (LIVE).
16:00 ახალი ამბები.
16:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. სპრინტი 7.5 კმ. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. დოჰა. კატარი.
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. გუდმე (დანია)-სელიე (სლოვენია) (LIVE).
20:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ბარსელონა (ესპანეთი).
21:15 სნოუბორდი. ნორვეგია.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
23:30 ახალი ამბები.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. გუდმე (დანია)-სელიე (სლოვენია).
01:00 სნოუბორდი. ნორვეგია.
01:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
02:45 ახალი ამბები.
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სან ხოსე აშშ (LIVE).
03:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი — I ლიგა** | |
| ჰარტლპული-ნორთჰემპტონი | 0:1 |
| სუონსი-ლუტონი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| ბოხუმი-ჰანოვერი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-მიუნხენი | 0:0 |
| ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი | 2:0 |
| მაინცი-კარლ ცაისი | 2:2 |
| **საფრანგეთი — II დივიზიონი** | |
| ამიენი-აიაჩო | 4:0 |
| ანჟერსი-ნიორი | 1:1 |
| ბასტია-ლიბურნი | 2:1 |
| ბრესტი-გრენობლი | 1:0 |
| შატორუ-ბულონი | 1:0 |
| კლერმონი-გენიონი | 1:0 |
| მონპელიე-გინგამი | 0:0 |
| რეიმსი-ტრუა | 0:1 |
| ჰავრი-დიჟონი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| სპარტა-უტრეხტი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| დენ ჰააგი-ომნიუორლდი | 1:1 |
| ემენი-ტოპ ოსი | 2:1 |
| დენ ბოში-იგლზი | 3:1 |
| დორდრეხტი-ჰაარლემი | 1:1 |
| ცვოლე-მაასტრიხტი | 7:0 |
| ფორტუნა-ეინდჰოვენი II | 3:0 |
| ჰელმონდი-როსენდალი | 2:0 |
| ვაალვიკი-ვოლენდამი | 2:3 |
| ტელსტარი-აპელდოორნი | 4:4 |
| ვეენდამი-კამბური | 4:4 |
| **ბელგია** | |
| გენკი-სტ. ტრუიდენი | 0:1 |
| **პორტუგალია** | |
| გიმარაეში-ნავალი | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| შტურმი-ლინცერი | 1:2 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| ჰიკ-ტამპერე | 2:1 |
| ჰაკა-ლაჰტი | 1:2 |
| იარო-ინტერი | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| დენიზლი-ბეშიქთაში | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| ლკს-იაგელონია | 0:0 |
| კორონა-ვისლა | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-ზაგრები | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| დებრეცენი-დიოშდიორი | 3:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-პო ორტეზი | 96:97 |
| ნანსი-დიჟონი | 72:78 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| აისბარენი-იზერლონი | 6:3 |
| აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 2:2 ო.ტ. 3:2 |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 4:3 |
| კიოლნი-დუისბურგი | 4:4 ო.ტ. 5:4 |
| ფრანკფურტი-მანჰაიმი | 3:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვანი | 3:4 |
| კეჟმაროკი-ჟილინა | 6:3 |
| ნიტრა-სკალიცა | 2:6 |
| პოპრადი-კოშიცე | 6:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 3:3 პენ. 3:4 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| კარლოვიჩი-ზვერევი | 6:3, 6:1 |
| ლოდრა-ჰაასე | 7:6, 7:6 |
| სიოდერლინგი-სეპი | 6:3, 6:2 |
| სიმონი-გაბაშვილი | 6:3, 6:2 |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| აკასუსო-ანდრეევი | 3:6, 6:1, 6:3 |
| ვოლანდრი-კალერი | 6:4, 6:4 |
| **WTA. დოჰა** | |
| ა. რადვანსკა-ციბულკოვა | 6:4, 6:7, 6:4 |
| ზვონარევა-ბამერი | 2:6, 6:2, 6:0 |
| შარაპოვა-ვოზნიაჩკი | 6:0, 6:1 |
| იანკოვიჩი-ნა ლი | 3:6, 4:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ვივესი-ერანი-ლაგოსტერა | 7:5, 6:1 |
| მიულერი-ხოსამი | 3:6, 1:6 |
| დუკე მარინო-სალერნი | 3:6, 6:4, 4:6 |
| კასტანიო-სუარეს ნავარო | 6:7, 4:6 |

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# გრუბერმა ოლიმპიურ ფერდობზე მოიგო

კანადის ქალაქ ვანკუვერის (ბრიტანული კოლუმბია) სამთო კურორტმა უისტლერის ოლიმპიურმა ფერდობმა, სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპს, სუპერგიგანტს უმასპინძლა, რომელიც ავსტრიელი **კრისტოფ გრუბერის** გამარჯვებით დასრულდა.

გრუბერმა სულ რაღაც 0.03 წამით აჯობა თავის თანამემამულე **ჰანეს რაიხელტს** და კარიერაში მეხუთე, მიმდინარე სეზონში კი პირველი გამარჯვება მოიპოვა. მესამეზე კი სლოვენიელი **ალეშ გორზა** გავიდა, ვისთვისაც ეს კარიერაში პირველი საკვარცხლბეკო ფინიშია.

"ამ გამარჯვების შემდეგ, ერთი სული მაქვს, როდის გავა ორი წელი და აქ ვანკუვერის ოლიმპიადაზე საასპარეზოდ ჩამოვალ. ოლიმპიადამდე ამ ტრასაზე ასპარეზობა არ მოგვიწევს. არადა, მას ძალიან კარგი კონფიგურაცია აქვს. ვიმედოვნებ, რომ ვანკუვერის ოლიმპიადაზე ასპარეზობის საშუალება მექნება", - განაცხადა გრუბერმა, ვისაც მსოფლიო თასზე მოპოვებული ხუთი გამარჯვებიდან ოთხი სუპერგიგანტში აქვს მოპოვებული (აქედან სამი გერმანიის გარმიშში), ერთი კი - გიგანტურ სლალომში (ბორმიო, იტალია).

უისტლერში ფინიშს რამდენიმე მოთხილამურემ, მათ შორის, აბსოლუტური კლასიფიკაციის ამერიკელმა ლიდერმა **ბოდე მილერმა** და სახელოვანმა ავსტრიელმა **ჰერმან მაიერმა** ვერ მიაღწია. მილერის ხელის მოცარვით ისარგებლა მისმა მთავარმა კონკურენტმა, ავსტრიელმა **ბენი რაიხმა**, ვინც, მართალია, რბოლა მე-11 ადგილზე დაასრულა, თუმცა ქულები მაინც მიიღო.

**უისტლერი (კანადა). კაცები. სუპერგიგანტი**

1. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:26.60; 2. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) 1:26.63; 3. ალეშ გორზა (სლოვენია) 1:26.71; 4. ერიკ გაი (კანადა) 1:26.89; 4. პატრიკ სტაუდახერი (იტალია) 1:26.89; 6. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:27.00; 7. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:27.01; 8. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:27.02; 9. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:27.17; 10. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:27.29...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1. ბოდე მილერი (აშშ) 1067; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 998; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 918; 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟიტ (საფრანგეთი) 682; 5. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 670; 6. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 654; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 635; 8. ტედ ლიგეტი (აშშ) 612; 9. მარიო მატი (ავსტრია) 540; 10. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 462...

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. სეზონის წინ

# ალონსოს პესიმიზმი მოეძალა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** აცხადებს, რომ სეზონის პირველ რბოლაში, რომელიც 16 მარტს მელბურნში (ავსტრალია) ჩატარდება, მას და მის გუნდს "ფერარისთან" და "მაკლარენთან" კონკურენციის არანაირი შანსი არ ექნებათ.

ბარსელონას "კატალუნია მონტმელოზე" ტესტირების მორიგი სესიის შემდეგ, ალონსო პრესას გაესაუბრა. ინტერვიუს დროს მან განაცხადა, რომ საგრძნობი პროგრესი აქვს "ბეემვე ზაუბერს", რომელსაც თავისუფლად შეუძლია, მელბურნში სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

*"ამ ეტაპზე, ჩვენ ლიდერებისგან საკმაოდ შორს ვართ. ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ მელბურნში კვარცხლბეკზე ასვლის იმედი მქონდეს, ეს მეტისმეტი ოპტიმიზმი იქნებოდა"*, - ამბობს ალონსო.

მისი თქმით, ამ ეტაპზე, აშკარა ლიდერი "ფერარია", რომელსაც კვალში "მაკლარენი" და "ბეემვე ზაუბერი" უდგანან. "რენო" მომდევნო ჯგუფშია, სადაც ფრანგული საჯინიბოს გარდა, "უილიამსი" და "რედ ბულიც" იქნებიან.

*"მაგრამ ფორმულა ერთში ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. ორი-სამი კვირის წინათ, "ბეემვე" უფრო შორს იყო ლიდერებისგან, ახლა კი სურათი შეიცვალა. ეს გუნდი ძალიან სწრაფად ვითარდება. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს გუნდი თავის კოზირებს ჯერ სრულად მაინც არ აჩენს. ტესტების დროს, ორივე მანქანა ყოველთვის ავსებული ავზებით გამოდის და ამის მიუხედავად, კარგი შედეგები აქვთ"*, - დასძენს ალონსო.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონი "ბეემვემ" კონსტრუქტორთა პირველობაზე მეორე ადგილზე დაასრულა. თუმცა, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ "მაკლარენი" დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ესპანელი პილოტი ამბობს, რომ ტესტებზე "რენოს" მთავარ პრობლემად აეროდინამიკა გამოიკვეთა. ამის გამოსასწორებლად კი გუნდს ბევრი მუშაობა და გარკვეული დრო დასჭირდება. რაც შეეხება უფრო კონკრეტულ პროგნოზს პირველი ეტაპისთვის, ალონსო ამბობს, რომ სეზონის პირველ კვალიფიკაციაზე პირველ ათეულში შესვლაც კი ძალიან ძნელი იქნება.

კითხვაზე, მეტისმეტად პესიმისტურად ხომ არაა განწყობილი, ალონსო პასუხობს: *"პესიმიზმი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ვხედავ, რომ პრესაში ჩვენი გუნდისადმი ზედმეტად ეიფორიული დამოკიდებულებაა. ბევრი მიიჩნევს, რომ ჩემი აქ გადმოსვლით, გუნდი ლიდერთა შორის დაბრუნდება. დაგამშვიდებთ და ვიტყვი, რომ ახლა მანქანა იმაზე გაცილებით უკეთესად მუშაობს, ვიდრე "რენოში" ჩემი დაბრუნების მომენტში მუშაობდა. კარგ შედეგებს კი ალბათ, სეზონის მეორე ნახევარში უნდა ველოდოთ"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ფერნანდო ალონსო

## ჩოგბურთი



რაფაელ ნადალი

ტურნირების მიმოხილვა

# ნადალი მეორე წრეში ჩარჩა

როტერდამში მიმდინარე ტურნირს, ყველასთვის მოულოდნელად, მეორე წრეშივე გამოეთიშა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, ვინც სამ სეტში იტალიელმა **ანდრეას სეპიმ** დაამარცხა. ტურნირს მეორე წრეში კიდევ რამდენიმე ძლიერი მეჩოგნე გამოეთიშა. მათ შორის, რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**, ესპანელი **დავიდ ფერერი** და ჩეხი **ტომაშ ბერდიხი**.

ნადალმა თამაში თავის სერვისზე წაგებული გეიმით დაიწყო, თუმცა მოგვიანებით, ჩამორჩენა აღმოფხვრა და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორეში კი სეპიმ მოპოვებული უპირატესობა ხელიდან გაუშვა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. უფრო მეტიც, გადამწყვეტ სეტშიც მან თავიდანვე ორმაგი ბრეიკი აიღო და თამაშიც გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამგვარად, რეიტინგში 42-ე ადგილზე მყოფმა იტალიელმა ტურნირი ორ ტიტულოვან ჩოგბურთელს დაატოვებინა - პირველ წრეში მან ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** დაამარცხა.

*"წაგება ყოველთვის საწყენია, მით უმეტეს მიმაჩნია, რომ ცუდად არ მითამაშია. პირველ სეტში ყველაფერი კარგად გამომდიოდა, მერე კი რატომღაც ყურადღება გამეფანტა და რამდენიმე ისეთი შეცდომა დავუშვი, დამწყებ ჩოგბურთელსაც არ ეკადრება. არ ვიცი, ასე რატომ მოხდა. არც ის მინდა, რომ ეს წაგება რაღაც სუბიექტურ გარემოებას დავაბრალო"*, - ნამატჩევს განაცხადა ნადალმა.

დავიდენკო ფრანგ **მიშელ ლოდრასთან** ორ სეტში დამარცხდა, ფერერს კი გერმანელმა **მიშა ზვერევმა** მოუგო. ამ მოგებით, ლოდრამ დავიდენკოსთან ავსტრალიის ღიას პირველ წრეში წაგებისთვის სრული რევანში აიღო. სხვათა შორის, მეორე სეტში დავიდენკოს მარჯვენა მხარსა და იდაყვზე მასაჟი დასჭირდა, თუმცა ამან მაინც ვერ უშველა.

არანაკლებ სენსაციური მეორე წრე ჰქონდა ყატარის ღია პირველობას, რომელსაც მეორე წრეში სამი ძლიერი ჩოგბურთელი - ამერიკელი **ვენუს უილიამსი**, სერბი **ანა ივანოვიჩი** და რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა** გამოეთიშა. ივანოვიჩმა პირველ წრეში, ბელარუს **ოლგა გოვორცოვასთან** შეხვედრის (რომელიც მოიგო) მინურულს მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და ამის გამო, მეორე წრეში სათამაშოდ, კორტზე აღარ გამოსულა.

კუზნეცოვა ავსტრიელ **სიბილ ბამერთან** დამარცხდა, ვენუსმა კი ვერაფერი მოუხერხა სლოვაკ თინეიჯერ **დომინიკა ციბულკოვას**, ვინც გუშინაც კარგად ითამაშა, მაგრამ პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** მაინც სამ სეტში დამარცხდა.

ივანოვიჩი ამბობს, რომ ფეხი ძალიან სტკივა, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ დუბაის ტურნირზე გამოსვლას მაინც შეძლებს. *"მთელი ღამე ფეხზე ყინულს ვიდებდი, საათში ერთხელ ვიღვიძებდი და ყინულს ვიცვლიდი. ძილი კი დამაკლდა, მაგრამ თამაშს მაინც ვაპირებდი. თუმცა, არაფერმა მიშველა და ვწუხვარ, რომ ტურნირს ამგვარად გამოვეთიშე"*, - განაცხადა ივანოვიჩმა..

**ATP**

ABN AMRO WORLD TENNIS

როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 824 000 ევრო**

**1/8 ფინალი**

**ანდრეას სეპი (იტა)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 3:6, 6:3, 6:4; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2) 6:3, 7:5; **მიშა ზვერევი (გერ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:2, 7:5; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ტომას ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:4, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:4, 6:1; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 5:7, 6:3, 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

კარლოვიჩი-ზვერევი; ჰაასე-ლოდრა; სეპი-სიოდერლინგი; სიმონი-გაბაშვილი.

**Copa Telmex**

ბუენოს აირესი (არგენტინა). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 466 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**იგორ ანდრეევი (6)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 0:6, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 8)**-სერხიო როიტმანი (არგ) 7:5, 7:5; **ხოსე აკასუსო (არგ)**-დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ) 6:3, 6:4; **აგუსტინ კალერი (არგ)**-ლუის ორნა (პერ) 3:6, 6:2, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ნალბანდიანი (1)-სტარაჩე (7); ჩელა (4)-ალმაგრო (5); ანდრეევი (6)-აკასუსო; ვოლანდრი (8)-კალერი.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:2, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-ჯესი ლევინი (აშშ) 6:3, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ტომი ჰაასი (გერ, 3) 4:6, 7:6 (6), 6:3; **მარდი ფიში (აშშ)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:7 (4), 6:3, 6:3; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:4, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

როდიკი (1)-ფიში; ჯინეპრი-ბლეიკი (2); ლუ-შტეპანეკი; ისნერი-გარსია ლოპესი.

**WTA**

QATAR TOTAL OPEN

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 500 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 16)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 1) ივანოვიჩის უარი; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 15)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 6:3, 7:6 (8); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-აი სუგიამა (იაპ) 6:1, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:2, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 6) 6:3, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს)**-დინარა საფინა (რუს, 11) 7:5, 6:3; **ნა ლი (ჩინ)**-შაარ პეერი (ისრ, 12) 6:1, 6:3; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 3:6, 7:6 (3), 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ა. რადვანსკა (16)-ციბულკოვა; ზვონარევა-ბამერი (15); შარაპოვა (4)-ვოზნიაჩკი; იანკოვიჩი (3)-ნა ლი.

**Copa Colsanitas**

ბოგოტა (კოლუმბია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 185 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**კატალინა კასტანიო (კოლ)**-პოლინ პარმენტიე (საფ, 3) 3:6, 6:4, 6:4; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ედინა გალოვიტცი (რუმ, 7) 6:4, 6:3; **ბეტინა ხოსამი (არგ)**-მარია კორიტცევა (უკრ) კორიტცევას უარი; **მარტინა მიულერი (გერ, 9)**-სორანა კრისტეა (რუმ) 6:2, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ერანი (6)-ლაგოსტერა ვივესი; მიულერი (9)-ხოსამი; დუკე მარინო-სალერნი; კასტანიო-სუარეს ნავარო.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბიძი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sport.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა